# საერთო გაზეთი

№30 (622)
ოთხშაბათი
18 აგვისტო,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

## ნაციონალები და იაპონური თხა სეროუ – მგელი თხის ტყავში



● „ქართულმა ოცნებამ“ წინასწარ იცის, რომ მოიგებს, ოპოზიციამაც წინასწარ იცის, რომ წააგებს. ამოცანა გვეკითხება: კარგია თუ ცუდია ეს ყველაფერი?

● სააკაშვილი ჯერ ისევ წალენჯიხის ავტობუსში ზის და იქიდან ვერა და ვერ გადმოდის






## ელიზბარ ჯაველიძე: ქართველი ერის სულიერი ამაღლება დიდგორიდან უნდა დაიწყოს!

## საქართველოში მელიების დინასტია იწყება



ერთი მელია დასავლეთში დაჯდება ფაშად, მეორე თბილისში, სააკაშვილს კი ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დასვამენ „პრეზიდენტად“

## საქართველოში რომ ევროპა არსებობდა, მაშინ ევროპაში არ იყო ევროპა

## კანონია, თუ ქვეყნის თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილი?

## ისრაელში კორონავირუსის საწინააღმდეგო პრეპარატი შექმნეს

# გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შესახებ



**● „ქართულმა ოცნებამ“ წინასწარ იცის, რომ მოიგებს, ოპოზიციამაც წინასწარ იცის, რომ წააგებს. ამოცანა გვეკითხება: კარგია თუ ცუდია ეს ყველაფერი?**

**● ნაციონალები და იაპონური თხა სეროუ – მგელი თხის ტყავში**

**● სააკაშვილი ჯერ ისევ წალენჯიხის ავტობუსში ზის და იქიდან ვერა და ვერ გადმოდის**

ვახტანგ ხარჩილავა:

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს „ქართული ოცნება“ რომ მოიგებს, ამაში ეჭვი, ალბათ, თვით „ნაცმოძრაობასაც“ არ ეპარება, რომ არაფერი ვთქვათ დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებზე, რომელთა წარმომადგენლები კი მონაწილეობენ არჩევნებში, მაგრამ წინასწარ იციან, რომ დამარცხებისთვის არიან განწირულნი.

მოკლედ რომ ვთქვათ, დღეს ასეთი რეალობაა: „ქართულმა ოცნებამ“ წინასწარ იცის, რომ



მოიგებს, ოპოზიციამ ასევე წინასწარ იცის, რომ წააგებს.

ამ მოსაზრებას ამტკიცებს და ადასტურებს სოციოლოგიური კვლევებიც, რომლის მიხედვითაც, თბილისის მერობისთვის ბრძოლაში უალტერნატივოდ ლიდერობს კახა კალაძე, რომლის რეიტინგი 61%-ს შეადგენს, დანარჩენ 39%-ს პროცენტს ოპოზიციური პარტიები იყოფენ — ნიკა მელია — 26%, გიორგი გახარია — 6% და ა. შ.

თუ რაღაც ზებუნებრივმა ძალებმა სასწაულები არ მოახდინა, არ არსებობს არანაირი შანსი, ოპოზიციის ეს 39% 50 პროცენტად იქცეს და, შესაბამისად, მეორე ტურის აუცილებლობა დადგეს.

შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ კახა კალაძე თბილისში პირველსავე ტურში დამაჯერებლად გაიმარჯვებს და, დარწმუნებული ვარ, იგივე მოხდება სხვა ქალაქებშიც — „ქართული ოცნების“ კანდიდატები, უმრავლეს შემთხვევაში, პირველ ტურში მიაღწევენ წარმატებას.

ასე რომ, აბსოლუტურად ზუსტი გვგონია ის მოსაზრება, რომელიც წერილის დასაწყისში ვთქვით: „ქართულმა ოცნებამ“ წინასწარ იცის, რომ გაიმარჯვებს, ოპოზიციამ, ასევე წინასწარ იცის, რომ არჩევნები წაგებული აქვს.

კარგია თუ ცუდია ეს ყველაფერი?

ჩემი აზრით, კარგიც არის და ცუდიც, იმავდროულად.

რა თქმა უნდა, კარგია, როცა თავიდანვე იცი, რომ იმარჯვებ, მაგრამ იქვე არსებობს საშიშროება, რომ ამისმა ცოდნამ, შეიძლება, მოგადუნოს, მოტივაცია დაგიკარგოს, ზედმეტად თავდაჯერებული გაგხადოს, შეცდომები დაგაშვებინოს, რითაც აუცილებლად ისარგებლებენ შენი კონკურენტები, რომლებსაც სხვა პოლიტიკური კაპიტალი არ გააჩნიათ, გარდა ერთისა — როგორმე შეცდომებზე გამოგიჭირონ და ეს შეცდომები, თუნდაც უმნიშვნელო, კატასტროფად და ქვეყნის დაქცევად წარმოაჩინონ.

როგორც ჩანს, ეს საშიშროება კარგად აქვს გააზრებული და გაცნობიერებული „ქართულ ოცნებას“, რომელიც, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, ძალიან აქტიურ საარჩევნო კამპანიას ატარებს და ისე ირჯება, თითქოს წონადი და სერიოზული კონკურენტები ჰყავდეს.

სწორად შერჩეული ტაქტიკა და სტრატეგიაა ეს, რომელიც აუცილებლად „ქართული ოცნების“ ისეთი ღირსეული გამარჯვებით დამთავრდება, რომელიც მცირეოდენი დაეჭვების არავითარ შანსს არ დაუტოვებს თუნდაც ყველაზე ჩასაფრებულ და ჩაკირკიტებულ ოპონენტსაც კი.

სულ სხვა მდგომარეობაა ოპოზიციასთან დაკავშირებით, რომელმაც, როგორც ვთქვით, წინასწარ იცის, რომ ამ არჩევნებში მარცხისთვის არის განწირული, თუმცა ოპოზიციას, ცხადია, დამარცხება კი არა, გამარჯვება უნდა.

მოდით, ზოგადად ოპოზიციაზე საუბარს თავი ვანებოთ და ვილაპარაკოთ კონკრეტულად „ნაცმოძრაობაზე“ და მის მიერ თბილისის მერად წარდგენილ კანდიდატზე ნიკანორ მელიაზე.

„ნაცმოძრაობამ“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ამ არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე წააგო ძალადობაზე, აგრესიაზე, დესტრუქციაზე და დაპირისპირებაზე აგებული თავისი უგუნური პოლიტიკის წყალობით,




რომლის ავტორი ბატონი სააკაშვილი ბრძანებდა.

ცუდი სტრატეგოსი აღმოჩნდა პატივცემული სააკაშვილი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ 18 წელი გავიდა მას შემდეგ, მაინც ვერ გათავისუფლდა „ვარდების რევოლუციის“ ეიფორული პათოსისგან და დღემდე დაჟინებით ცდილობს, „ვარდების რევოლუცია №2“ მოახდინოს საქართველოში.

სააკაშვილი დღემდე წალენჯიხის ავტობუსში ზის და ვერა და ვერ გადმოვიდა იქიდან.

მისთვის დრო არ გასულა, მის კალენდარზე ახლაც 2003 წელია და ის პოლიტიკურად ახლაც ზუსტად იმდენი წლისაა, რამდენისაც 2003 წელს იყო.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბიჭობის ასაკიდან ვერ გამოდიან და ვერ კაცდებიან.

სააკაშვილი დაუღვინებელი, დაუკაცებელი კაცია, რომელსაც წლების გამოცდილებამ ვერც სიბრძნე შეჰმატა, ვერც სიდინჯე და წინდახედულება, ვერც ლავირების უნარი.

ის დარჩა პროვოკატორად და ავანტურისტად, რომელიც ერთი და იგივე ტექნოლოგიებით, ერთი და იგივე ხერხებით და მეთოდებით ცდილობს წარმატების მიღწევას.

იგივე რიტორიკა, იგივე პიარტექნოლოგიები, ახალი სახეებით შენიღბული იგივე „რუსთავი-2“-ები აწ უკვე გაჭაღარავებული გვარამიებით და ჩასუქებულ-ჩადედლებული გრიგოლიებით და აბსოლუტურად იგივე სინტაქსი: მიაწექით! შეიჭერით! შევარდით! ბლოკირება გაუკეთეთ! დააშინეთ! დაატერორეთ!

თბილისის მერობის მომავალი კანდიდატი ნიკანორ მელიაც მიაწვა, შეიჭრა, შევარდა და... „ნაცმოძრაობიის“ და მელიას რეიტინგიც კატასტროფულად დაბლა დაეშვა.

„ნაცმოძრაობამ“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საპარლამენტო არჩევნების დროს და მის შემდგომ პერიოდში წააგო, წააგო წინასწარ, ვადაზე ადრე და წააგო იმ მოძველებული, ყავლგასული ტაქტიკის და სტრატეგიის გამო, რომელიც მან აირჩია მთავარ სამოქმედო გეგმად.

„ნაცმოძრაობა“ ვერ მიხვდა, რომ მან საქართველოს მოსახლე-











ობა დაღალა მუდმივი ჯანჯღარით, მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლით, ძალის და ძალადობის დემონსტრირებით, მუდმივად არასტაბილური და ფეთქებადსაშიში სიტუაციით.

„ნაცმოძრაობამ“ ვერ შეძლო, ადამიანებისთვის დაევიწყებინა და მშვიდობიანი, ჰუმანური, კაცთმოყვრული პოლიტიკური რიტორიკით გადაეფარა შიშისმომგვრელი ხსოვნა იმ სასტიკი და ულმობელი მმართველობისა, რომელიც კოშმარივით ახსოვს საქართველოს მოსახლეობას.

პირიქით, ოპოზიციაში ყოფნის



პერიოდშიც „ნაცმოძრაობა“ თავისი ქმედებებით კიდევ უფრო უმტკიცებდა ეჭვებს ადამიანებს, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგაც იგივეს გააკეთებდა, რასაც 2003–2011 წლებში აკეთებდა.

ყველაფერი ეს, ერთად შეკრებილი და ერთად თავმოყრილი, სრულ საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ „ნაცმოძრაობა“ ობიექტურ, მიუკერძოებელ არჩევნებში ვერც ახლა მიაღწევს წარმატებას და ვერც მომავალში.

ის პოლიტიკურად გაკოტრებული ძალაა, რომელსაც განვითარების პერსპექტივა არ აქვს.

ყველაზე საუკეთესო გამოსავალი ის იქნებოდა, მომხდარიყო „ნაცმოძრაობის“ სრული დემონტაჟი და ეს თვითონ ამ პარტიას გაეკეთებინა.

ასე ჯობია თავად ამ პარტიისთვისაც, მისი წევრებისთვისაც და ქვეყნისთვისაც.

თუმცა, ვეჭვობ, „ნაცმოძრაობას“ და მის ლიდერს, სააკაშვილს, ამის გამბედაობა და წინადხედულება ეყოს.

— ჩვენ რატომ უნდა მოვახდინოთ პარტიის დემონტაჟი? ჩვენ ხომ ყველაზე მრავალრიცხოვანი, ყველაზე მთავარი ოპოზიციური ძალა ვართ? — შემომედავებიან, ალბათ, პატივცემული ნაცები.

კი, არიან, როგორ არა, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რა კოლოსალური თანხები უჯდებათ „ნაცმოძრაობის“ მესვეურებს და მის ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დონორებს ამ პარტიისთვის მთავარი ოპოზიციური პარტიის სტატუსის შენარჩუნება.

მილიონებზე კი არა, მილიარდებზე საუბარი, მაგრამ „ნაცმოძრაობას“ მაინც არაფერი შველის და არც არაფერი ეშველება.

„ნაცმოძრაობა“ ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიერთებულ ავადმყოფს ჰგავს, რომელსაც ჰალუცინაციური ბოდვები აქვს უკვე დაწყებული და რეალობის გრძნობა დაკარგული აქვს.



რამდენ ხანს შეიძლება ეს ავადმყოფი აცოცხლონ მისმა ჭირისუფლებმა ამ ხელოვნურად მიწოდებული „ჟანგბადით“ — მილიონებით და მილიარდებით, ან რა აზრი აქვს ამ სასიკვდილოდ გადადებული ავადმყოფის ამდენ ხანს შენახვას?

●

ამასწინათ გიორგი გაბუნიას „აღსარებას“ ვუსმინე „მთავარზე“, მომღერალ ლელა წურწუმიას საავტორო გადაცემაში „მხოლოდ ლელასთან“.

დავიწყოთ იმით, რომ, ჩემდა გასაკვირად, მომღერალი ლელა წურწუმია უფრო მეტად ჰგავს კვალიფიციურ ჟურნალისტს, ვიდრე „მთავარის“ სხვა ჟურნალისტები.

ჰოდა, ამ ჟურნალისტებზე უფრო კვალიფიციურმა მომღერალ-ჟურნალისტმა წურწუმიამ, რომელიც იმ საღამოს შეთავსებით დედაოს როლსაც ასრულებდა, ისეთი გამაოგნებელი „აღსარება“ ჩაიბარა გაბუნიასგან, სახტად დავრჩი.

ბოდიშს ვიხდი, რომ საუბრის სტენოგრაფიულ ჩანაწერს ვერ გაწვდით, მაგრამ, მერწმუნეთ, საუბრის შინაარსი აბსოლუტურად ზუსტად არის გადმოცემული.

ქალბატონმა ლელამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ ქართულ ტელეჟურნალისტიკაში რაღაც ვერ არის წესრიგში, დაიკარგა ურთიერთობის ნორმალური ფორმები, მოიშალა სტანდარტები, საზოგადოება უკმაყოფილოა.

— ჩემო გიორგი, ამ უმძიმეს მდგომარეობას ჟურნალისტიკაში ხომ შენ დაუდე სათავე. ხომ შენ ხარ ის კაცი, რომელმაც ყოველგვარი სტანდარტების ნგრევა დაიწყე. ჭრელაჭრულა პერანგით, შემოტკეცილი შარვლით და ბოტასებით რომ წარსდექი მაყურებლის წინაშე და პოლიტიკური შოუს წაყვანა ასე ჩაცმულმა გაბედე. ცოტაოდენ პასუხისმგებლობას მაინც თუ გრძნობ იმის გამო, რაც დღეს ჟურნალისტიკაში ხდება: — ჰკითხა ლელამ გიორგის.

— ცოტაოდენ პასუხისმგებლობას კი არა, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ... მართლაც მე ვიყავი პირველი, ვინც ასეთი გადაცემების გაკეთება დავიწყე. უხეშობა იყო ჩემი ინსტრუმენტი, რომ ყურადღება მიმექცია და, აქედან გამომდინარე, უხეში და აგრესიული ვიყავი, თუმცა, ვცდილობდი, პიროვნული შეურაცხყოფა არავისთვის მიმეყენებინა. რა მოიტანა ამ უხეშობამ და აგრესიამ? არაფერი, სიძულვილის გარდა. რატომ დავხურე გადაცემა „არჩევანი“? იმიტომ, რომ უკვე არავინ მოდიოდა ჩემთან. საერთოდ არ გვთვლიდნენ ტელევიზიად. არადა, ადრე მოდიოდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. ახლა არავინ არ მოდის.

კი, მე ვიყავი პირველი, ვინც სტერეოტიპები დავამსხვრიე, მაგრამ ახლა ყველამ იგივეს გაკეთება დაიწყო, რიგითმა ჟურნალისტებმაც კი.

იმდენად განვიცადე ეს ყველაფერი, ერთი პერიოდი ისიც კი ვიფიქრე: მოდი, საერთოდ წავალ ჟურნალისტიკიდან, საერთოდ დავიკარგები და გავქრები ტელეეკრანებიდან-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი ამის გაკეთება. მივხვდი, რომ ამის გაკეთება გაქცევა იქნებოდა.

ძალიან ბევრი რამის გამო მრცხვენია, ძალიან ბევრ რამეს ვნანობ, თითქმის ყველაფერს ვნანობ, გარდა ერთისა — პუტინს რომ შევაგინე, აი, იმ შეგინებას არავითარ შემთხვევაში არ წავიღებ უკან, სხვა ყველაფერს ვნანობ.

ჩვენ ერთმანეთთან დამაკავშირებელი ხიდები დავწვით და ახლა ამ ხიდების აღდგენა ძნელია, მაგრამ უნდა ვეცადოთ.



მე, მაგალითად, გადავწყვიტე, რომ არასოდეს არ გამოვიყენო უხეში ფრაზები.

ზოგჯერ თავისდაუნებურად მომადგება ეს უხეში სიტყვა ბაგეზე, მაგრამ თავს ვაკონტროლებ და ბაგის იქით არ ვუშვებ.

მომღერალ-ჟურნალისტი წურწუმია თვალცრემლიანი უსმენდა მონანიების ხასიათზე დამდგარი გაბუნიას მონოლოგს, რომელმაც ისე ემოციურად და არტისტულად წარმოთქვა მონოლოგის ტექსტი, რომ მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა მეც კი, გაბუნიას მიმართ საკმაოდ კრიტიკულად და უნდობლად განწყობილ ადამიანს, გამიჭირდა, თუმცა როცა გამახსენდა, რომ ის, რაც გაბუნიამ თქვა, ერთიერთში ჯდება ბოლო ხანებში „ნაცმოძრაობის“ მიერ არჩეული რიტორიკის ჩარჩოებში, მივხვდი, რომ „აღსარების“ გულისამაჩუყებელი სცენა დადგმული იყო.

ორი-სამი თვე, ნაციონალები აგრესიული, შემტევი სტილიდან უცებ სათნოების, სიყვარულის, ჰუმანიზმის ენაზე გადმოეწყვნენ და მამა აბრამის ბატკნებად იქცნენ.

შორს ნუ წახვალთ — მარტო ნიკანორ მელიას დააკვირდით — ისეთი დანაზებული და მწყაზარი ხმით ლაპარაკობს, ისე მიამიტურად აფახულებს მაყვლისფერ თვალებს, ისე რომანტიკულად მიგრიხ-მოგრიხავს ერთმანეთში გადახლართულ წარბებს, გეგონება, თავის ცხოვრებაში ჭიანჭველისთვის არ დაუდგამს ფეხიო.

ფაქტია, „ნაცმოძრაობა“ ახალი იმიჯის, ახალი ნიღბის მორგებას ცდილობს და ამით აპირებს ქართველი ხალხის ცდუნებას და მოტყუებას.

გიორგი გაბუნიას საჯარო „აღსარება“ და მონანიების რიტუალი „დედაო“ ლელასთან, „ნაცმოძრაობის“ ახალი ტაქტიკის და სტრატეგიის ნაწილია და მეტი არაფერი.

●

იაპონიაში ბინადრობს გარეული თხის ერთი უცნაური ჯიში, სახელად სეროუ.

ამ სეროუს რომ შეხედავ, გარეგნულად ჩვეულებრივი თხაა — თხასავით კიკინებს, თხასავით ბალახეულით იკვებება, თავზეც რქები ადგას თხასავით, მოკლედ რომ ვთქვათ, ტიპიური თხაა, თუმცა ხანგრძლივი კვლევის შედეგად მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სეროუ, სინამდვილეში, თხა კი არა, თხის ტყავში გახვეული მგელია.

ნაციონალებიც სეროუები, ანუ თხის ტყავში გახვეული მგლები არიან...

# ქართველი ერის სულიერი ამაღლება დიდგორიდან უნდა დაიწყოს!

## „ნაციონალური მოძრაობა“ არის კიბო, რომელიც საქართველოს მოსპობას ცდილობს



*გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, წლების წინ, მიხეილ სააკაშვილმა მწერლები მწერალთა კავშირიდან გამოყარა. თქვენი აზრით, შეძლებს კულტურის სამინისტრო მწერალთა სახლი მის კანონიერ პატრონს — ქართველ მწერლებს დაუბრუნოს?**

— წინა კვირას, დიდგორობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებას დავესწარი. მინდა გითხრათ, რომ აღფრთოვანებული, სულიერად ამაღლებული ვარ. ბრწყინვალე დადგმა ვიხილე. რაც მთავარია ხაზგასმული იყო შემდეგი — სამშობლო, ვითარცა ღმერთი, ერთია. ჩვენი სულიერება, ეროვნულობა უმთავრესია. დიდგორის ბრძოლა,



სწორედ, სიმბოლოა იმისა, რომ ქართველმა ხალხმა, ღმერთის შემწეობით, გაცილებით მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაამარცხა. ეს გახლდათ ქართული, ერთიანი სულის ზეიმი და გამარჯვება. სამწუხაროა, რომ ზოგი სტუმარი, წარმოდგენა არ ჰქონდა რა ხდებოდა, ისე მისჩერებოდა ამ ზეიმს. ღარიბაშვილს ოდითგანვე პატივს ვცემ სწორედ იმიტომ, რომ პირველი, რაც განაცხადა იყო: ქართველი ერის სულიერი ამაღლება დიდგორიდან უნდა დაიწყოსო. ანუ, აქ, წარმოჩენილია პროცესი, თუ როგორ უნდა აღიზარდოს ადამიანი და არა ისე, როგორც გახარია ბრძანებდა: კონკურენტუნარიანი ადამიანი უნდა აღვზარდოთო. ამ მხრივ, მომეწონა თეა წულუკიანის გამოხმაურება: ჩვენ, კონკურენტუნარიანი კი არა, მთავარია, ქართველი კაცი აღვზარდოთ თავის სულიერებით, ზნეობით, კულტურით და ა.შ. დიახ, უნდა აღვზარდოთ სამშობლოზე მოფიქრალი ადამიანი და არა ისეთი თავი კიტრად რომ მოაქვს და ამ დროს, ბადრიჯანია. მას, არავითარი, სულიერება არ გააჩნია. ასეთი ხალხი საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა იყვნენ, როგორც სააკაშვილი. განათლების მინისტრი განათლებული კაცია, პატივს ვცემ, მაგრამ ბავშვის ორენოვანი აღზრდა, დაუშვებელია. ეს გამორიცხულია. იგი მშობლიურ ენაზე უნდა აღიზარდოს, ბავშვობიდანვე გაითავისოს რა არის სამშობლო და ამის შემდეგ, რამდენიც უნდა იმდენი ენა ისწავლოს. დღეს, უკვე, დიდიხანია საქართველოში უცხოტომელის ანუ, მსოფლიო მოქალაქის ცნება მკვიდრდება, ხოლო ის კი, რამაც გადაგვარჩინა — ქართული რელიგია, რწმენა, ტრადიციები და რაც მთავარია, ქართული მწერლობა, იდევნება. ეს შემთხვევით როდი მოხდა. სააკაშვილმა მწერლებს ბუდე მოუშალა. დიახ, შენობა რომელიც ქართულმა მწერლობამ საჩუქრად მიიღო როგორც ქართული კულტურის შემქმნელმა, მან შეგნებულად დაანგრია. აქ, დიდი მწერლები მოღვაწეობდნენ: გოგლა ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, მუხრან მაჭავარიანი და ა.შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო. მაშინ ქართული კულტურა ჰყვაოდა. იმიტომ, რომ ყველაფერში — ცეკვაშიც, სიმღერაშიც ქართული სულის ყივილი ისმოდა. დიდგორობას გამართული ცერემონიალიც იმიტომ მომეწონა, რომ სიმღერაშიც, ცეკვაშიც ქართული სულის ყივილი ისმოდა. ეს ყივილი ზოგიერთებს არ ესმით, ან თავს ძალით იყრუებენ, ან ვიგინდარები არიან. დღეს, ქართულ განათლებას თუ გადავხედავთ რომელიც, წესით, ქართველ კაცს უნდა ზრდიდეს, სინამდვილეში, პირიქითაა — სკოლის სახელმძღვანელოში არცერთი პატრიოტული, ეროვნულობის გამომხატველი ლექსი არ არის შეტანილი. დიდი მადლობა მინისტრს, რომ იაკობ გოგებაშვილი გააცოცხლა და ისევ, შეიტანა სკოლებში, მაგრამ დღეს, სკოლებში იმ პროგრამით ასწავლიან, რაც ნაძირალა ლომაიამ შეიმუშავა, რამაც დაღუპა ქართული მეცნიერება, ლიტერატურა, მწერლობა. აი, ეს არის უბედურება, რაც დიდიხანია გვჭირს. ახლა, დღევანდელ მწერლობაში ვნახოთ, რა ხდება. ვითომ, სიახლე შემოიღეს — ხაზარაძემ შეგნებულად დააწესა „საბას“ პრემია, რითაც იმ მწერლებს აჯილდოვებს, ახალისებს, რომლებიც ძალიან მარტივ პროგრამას ასრულებენ. კერძოდ, ამბობენ: მწერლობა არ გახლავთ ზნეობის მქადაგებელი, არამედ უზნეობისო. შედეგად, რა მივიღეთ? —, ხორციელი ჟინის გამომხატველი ცარიელი ვნება, ხოლო სულიერებასთან რაც ზიარებულია იმის მოსპობა. დღეს, ეს ტენდენცია გრძელდება. მე, ერთგული კაცი ვარ. ბევრი ეცადა ჩემს გადაბირებას — დაწყებული შევარდნაძიდან სააკაშვილით დამთავრებული. მათ არ გავეკარე იმიტომ, რომ ვიცოდი, ქართული ცნობიერების, ეროვნების მოსპობას, გადაგვარებას გვიქადდნენ.

**— ზემოთ, უცხოტომელი ახსენეთ. დღესაც, იგივე რეალობაა...**

— დიახ, დღესაც იგივე ხდება — უცხო კაცი — შარლ მიშელი ჩამოდის საქართველოში, რომელიც ჩვენს კონსტიტუციას არაფრად აგდებს და თავის წესებს გვიკანონებს, გვკარნახობს: რა გავაკეთოთ და რაც მთავარია, გვაიძულებს ეს ხულიგანი მელია კუდაგრძელია ციხიდან გამოვუშვათ. ხელისუფლებაც, სწორედ, ამ საკითხზე კამათობდა — გამოეშვათ თუ არა ნიკანორი. აქეთ, თავად, მელია იბრიქებოდა: ვერ დამიჭერთო, მერე, იძახდა: არ გამოვალ ციხიდანო. აი, რაზე იყო მთელი ჩვენი ცნობიერება აგებული. დავუბრუნდეთ, მწერლობას. მისასალმებელია, რომ თეა წულუკიანის ყოველ გადადგმულ ნაბიჯში ვხედავ, რომ მას, სურს ქართველი ერის უმდიდრესი კულტურა წარმოაჩინოს. ჩვენ, სწორედ, ამ კულტურამ, მწერლობამ გადაგვარჩინა. დღეს, რას ვხედავთ? — თანამედროვე მწერლობა სულიერი სიბილწითაა გაჟღენთილი. ისინი, ამბობენ: ჩვენ, მსოფლიო მოქალაქეები ვართ, რა დროს სამშობლოზე ლაპარაკიაო.

**— და, ამ დროს, ჩვენი პარტნიორებიც პრაიდების ჩატარებას გვახვევენ თავს...**

— ე.წ. მეგობრები, სტრატეგიული პარტნიორები დიახ, ბოდიში და თავს გვახვევენ ბოზობას, კახპობას, ამორალურობას და ა.შ. რა უფლება აქვთ აქ, ჩამობრძანებულ ელჩებს ამათი აღლუმი დაგვიწესონ, რომელიც მთელი კვირა გრძელდებოდა. ორ დღეზე მეტს, აღდგომას ვერ ვზეიმობთ. მათ კი, ერთი კვირა იზეიმეს და მერე, კიდევ, რუსთაველზე მოუნდათ ზარ-ზეიმით ჩავლა. ეს ნიშნავს ქართულ ცნობიერებაზე გადაბიჯებას, გადათელვას. ესენი მოდიან და თავს მახვევენ თავის უზნეობას, მეუბნებიან: ბავშვი 18 წლის რომ გახდება, უნდა ჰკითხო ბიჭია თუ გოგოო. აი, ასეთ გადაგვარებას, ამორალურობას ქადაგებენ. ეს ნაძირლები გამოდიან და ზნეობაზე, სამშობლოს სიყვარულზე მელაპარაკებიან. დიახ, სამშობლოს სიყვარულს გვასწავლის სააკაშვილი, კაცი რომელმაც ისე მოსპო ქართული ეროვნული სული, რაც თემურ-ლენგსაც არ გაუკეთებია. ეს უკანასკნელი და სხვანი დაგვიპყრობდნენ და მიდიოდნენ. სააკაშვილმა კი ქართველი ხალხი კიდეც დაიპყრო, სულშიც ჩაუძვრა და მათი გაღატაკება, ჩაგვრაც დაიწყო. მერე, ფსიქოლოგიურადაც გარყვნა.

**— ამ უზნეობის პროპაგანდას ტელევიზიებიც უწყობენ ხელს. გამოსავალი რაშია?**

— ის სამი ტელევიზია — „მთავარი“, „ფორმულა“ და „ტვ-პირველი“, რომლებიც უზნეობას, უსამართლობას, ქართველი ერის მოსპობას ემსახურებიან, უნდა დაიხუროს, ყველა ერთიანად უნდა ამოიშანთოს. მიკროფონებით დარბიან და პირში თხრიან ადამიანებს, ესაა ჟურნალისტიკა?! მათ უმეცრების, ბოროტების მეტი არაფერი მოუტანიათ. შვიდი გაზეთის რედაქტორი ვიყავი მაშინ, როცა საჭმელი ჭირდა, ხელფასები არ იყო, მაგრამ ქართველი ერის სული ჰყვაოდა. დღეს, რა ხდება? — ორ ტელევიზიას შეიძლება უყუროს კაცმა — „პოსტ-ტვ“-ს და „იმედს“. შედარებით ზომიერად იქცევა „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. სხვა მხრივ, სრული კატასტროფაა. მარტო ეს ტელევიზიები კი არა, ვითომ მწერლებიც რყვნიან საზოგადოებას. წეღან ხაზარაძე ვახსენე. აბა, დააკვირდით, როგორ „მწერლებს“ ურიგებს პრემიებს. იგი, იმ ხალხს ახალისებს, ვისაც თავისუფალი აზროვნებით მოაქვს თავი, ამახინჯებს ქართულ ენას, ტრადიციებს. აი, მათი სიუჟეტები: მწერალ კაცს ესიზმრება საკუთარ დედასთან როგორ ამყარებს სექსუალურ კავშირს. ან კიდევ: საჭირო ოთახში შედის და იქ, ახსენდება საკუთარი დედის საჯდომის სითბო. მისჩერებიან, ამ იდიოტ სააკაშვილს, ბოდიში მომითხოვია და იმ ჩაუბანელ საჯდომს ულოკავენ. ახლა, არ მითხრათ: ასეთი სიტყვების თქმა როგორ შეიძლებაო. მათთან, აკადემიური საუბარი შეუძლებელია. მათ, ადამიანური საუბარი არ ესმით. ცხოველებს ესმით, მათ — არა, იმიტომ, რომ ესენი სატანის შვილები, თავად სატანები არიან. ეს არის მთელი უბედურება. გამაგებინეთ, რა ხდება, რა უნდათ? შეხედეთ, ვის უტევენ ეს ნაძირლები? — ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც თქვა: ქალი და კაცი არის



ქართული ოჯახის საფუძველი. ასევე, ნაძირლებთან საუბარი არ შეიძლებაო. სწორედ, ასეა. ნაცები სიკვდილის მთესველნი არიან. პრემიერმა, ასევე, თქვა: თანამდებობა წარმავალია, მთავარია სამშობლო, ოჯახი, ერთგულება, უფლის სიყვარული. ასევე, უტევენ თეა წულუკიანს იმიტომ, რომ ამ პატარა გოგოში სვანური სისხლი დუღს. იგი, იბრძვის თავისი სიდინჯით, სიმშვიდით და მათ უმსგავსობას ამხელს. ყოველ მის გადადგმულ ნაბიჯში ჩანს, რომ წულუკიანი ეროვნული მოღვაწეა. კობახიძესაც უტევენ იმიტომ, რომ ის ნაცებს პირდაპირ ეუბნება: თქვენ, ნაძირლები ხართო. ამ ყველაფრის მერე, თქვენ, ახლა, გიკვირთ „საერთო გაზეთს“ რომ უტევენ?! გიტევენ იმიტომ, რომ „საერთო გაზეთი“ ეროვნულ ცნობიერებას აღვივებს. სირცხვილი ის იქნება, თქვენ, მათი ქების ობიექტი რომ გახდეთ. თქვენ, ამას ყურადღება კი არ უნდა მიაქციოთ, არამედ ისინი მიწასთან უნდა გაასწოროთ. დიახ, ეგენი ყველანი მიწაში ჩადეთ. აბა, ჩემთან მოვიდნენ და მიკროფონი პირთან მომიტანონ. იმ მიკროფონს ერთ ადგილას რომ შევურჭობ და წიხლსაც მივაყოლებ, აი, მაშინ გაიგებენ, როგორ უნდა ჟურნალისტიკის პატივისცემა. რომელია მათგან ჟურნალისტი? ერთი რეგვენი კაცი რომ გაუშვეს, ახლა, „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ აბსნაძე, ეგ არის ჟურნალისტი?! ავიღოთ, გვარამია, ყოფილი პროკურორი. ვინ აგდია? — პარლამენტში გამოვიდა და თქვა: ტოლსტოის არ წავიკითხავო. საწყალი ტოლსტოი საფლავში გადაბრუნებულა — გვარამიამ როგორ არ წაიკითხა ჩემი შემოქმედებაო. შენ, ხარ იდიოტი, ამხანაგო გვარამია. შენ, ტოლსტოის ვერც წაიკითხავ და ვერც გაიგებ, ამიტომ ხარ უბედური, იკლაკნები როგორც ჭია. ვაი, თქვენს პატრონს, თქვენსას.

**— ნაცები, მიუხედავად იმისა, რომ 9 წელია ხელისუფლებაში აღარ არიან, მაინც ყველგან პარპაშებენ. ამას, როდის უნდა მოეღოს ბოლო?**

— ეს, ბატონი ბიძინა ივანიშვილის დიდსულოვნების შედეგია. ეს არ არის დემოკრატია, ტოლერანტობა. ტოლერანტობა ბიოლოგიური ტერმინია, როდესაც უცხო მოლეკულები, ბაცილები სხეულში შედიან. სხეულს უნდა ჰქონდეს უნარი, რომ ისინი აითვისოს და მოარჯულოს. მაგრამ თუ ვერ აითვისა, მოარჯულა, მაშინ კიბოს იწვევს და კლავს. დღეს, „ნაციონალური მოძრაობა“ არის კიბო, რომელიც საქართველოს მოპობას ცდილობს. ამიტომ, მას არაფერი ეშველება, საჭიროა ოპერაცია და მისი მოკვეთა. ნაცები ქართულ მიწაზე არ უნდა დადიოდნენ. უდუმაშვილია თუ უდუმოვი — ეს ბეცი, უწიგნური, ჭკუას რომ მარიგებს, ამ დროს ერთი წიგნი არ აქვს წაკითხული. ბერძენიშვილები რას წარმოადგენენ? ამაშუკელმა კარგად თქვა: შევიდნენ ძმები და გამოვიდნენ დებიო. რას ბოდავს, ლევანი, ეგ არის მეცნიერი? ეგ გახლავთ კაგებეშნიკი. თამაზ წივწივაძემ გააშიშვლა ორივე ძმა. მერე, მე, სამჯერ დავწერე წერილი თუ როგორ აღიარებს ბერძენიშვილი: მე, ვაჟკაცი არ ვარ, იძულებული ვიყავი მთელი პარტია ჩამეშვაო. ესენი იწუნებენ ვაჟას, მსოფლიოში უდიდეს მწერალს?! მთელი უბედურება რა არის? — თავს მოგვახვიეს კოაბიტაცია. ამან გამოიწვია ის, რომ სოროში შემძვრალი სოროსელები გამოძვრნენ, მეტიც, თავის დანაშაულს „ქართულ ოცნებას“ აბრალებენ, ესენი კიდევ თავის მართლების რეჟიმში არიან. ვის წინაშე იმართლებენ თავს — მელიას, უგულავას და სხვათა?! უგულავა ორჯერ დაიჭირეს და გამოუშვეს. რაღას უშვებენ თუ დასაჭერია, დაიჭირონ. 50 მილიონი წაიღო. საზოგადოების გარკვეული ნაწილი გასუსულია, მაგრამ არჩევნების დღეს მიდის და რატომღაც, ამ ავადმყოფ სააკაშვილს აძლევს ხმას. დააკვირდით, ახლაც, დორბლებს იწმინდავს. იმიტომ, რომ ბავშვობაში დუჟი მოსდიოდა და იწმენდდა. მისი დუჟისგან, შხამისგან გაწმენდა ადვილი არ არის. ამისთვის საჭიროა ქართული სიტყვა, დიდგორის ბასრი ხმლის მოქნევა. ერთი ამბავი ატეხეს: შარლ მიშელის დოკუმენტი როგორ უარყვეს, ევროპისკენ მიმავალი გზა გადაჭრესო. რომელი ევროპისკენ მიდიან, საინტერესოა? ამ საკითხთან დაკავშირებით, არ მომეწონა პრეზიდენტის სიტყვები. რას არ იზიარებს? ხმა მივეცი იმიტომ, რომ მისი კონკურენტი კაგებეშნიკი ვაშაძე იყო. საბოლოო დასკვნა ასეთია: ჩვენ, ნაცები უნდა ამოვშანთოთ. ესენი, აქედან, უნდა მოვკვეთოთ, განვდევნოთ. ნუ დავიჭერთ, საერთოდ, საქართველოში ყოფნა ავუკრძალოთ. პარლამენტს მიღებული აქვს დადგენილება, რითაც მათ პოლიტიკურ სივრცეში გამოჩენა ეკრძალებათ, მაგრამ ეს არ ხორციელდება. გავიძახით: რას იტყვის, მერე, ჩვენზე ამერიკაო. ამერიკამ საკუთარ თავს რა უქნა. როგორ დაიჭირეს 250 კაცი და 5 მიასაკლავეს. აი, ამას მიხედონ. მორფინისტი ფლოიდი ღმერთად, კერპად გაიხადეს.

**— ამიტომაც არის ნაცების შემოტევისგან ყველა დაუცველი. წულუკიანისადმი მიწერილ წერილზე, ბევრი მწერალი ხელს აწერდა, თუმცა, მოულოდნელად განზე გადგნენ. ასე უნდა იქცეოდეს მწერალი?**

— ვინც ხელმოწერა უარყო, ის მწერალი არ არის. ეს იმას ჰგავს, ე.წ. ინტელიგენციამ ეროვნული ხელისუფლება რომ უარყო და ამ დროს, რუსეთს თუ ამერიკას იყვნენ მიყიდულნი. მთელი უბედურება ისაა, რომ საქართველო ამ ჭაობიდან ვერ ამოვიდა. ამიტომაც, ესმის ქართველ ხალხს ბაყაყების ყიყინი. ჭაობი მწვანე ბაყაყებით არის გავსებული, კალმახს ვერ ნახავთ. თუ ამ ჭაობიდან არ ამოვედით, ჩათვალეთ რომ საქართველო, ქართველი ერი აღარ იქნება. თუნდაც, შეხედეთ, პარლამენტში რა მანდილოსნები გვყავს. ზოგს, შეხედავ ქალია, მაგრამ ენას აამოძრავებს და სისინი გესმის, ზოგი, კივის, წივის. აბა, მამულაშვილს შეხედეთ. ეგ მამულოვია, მამულაშვილები ქართველები არ არიან. რა ქნა? — ახტა მაგიდაზე. ეგ მაიმუნების გალიაში უნდა გამოამწყვდიო და იქ, იხტუნაოს. თურმე, უცხოეთში სწავლობდნენ. ვაი, მათ პატრონს. ერთი სიტყვით, ამ ჭაობიდან ქვეყნის გათავისუფლება, სწორედ, „ასავალ-დასავალს“, „საერთო გაზეთს“ შეუძლიათ. ქართველმა კაცმა მხოლოდ ეს გაზეთები უნდა იკითხოს. ასევე, იმ ორ ტელევიზიას უყუროს, რომელიც ზემოთ ვახსენე, დანარჩენს უნდა მიაფურთხოს. ჟურნალისტს თურმე არ შეიძლება ხელით შეეხო და მე რომ მაყენებს შეურაცხყოფას, შეიძლება?! პოლიციას რომ აყენებს შეურაცხყოფას, ეს შეიძლება?

**თამარ შველიძე**
555 23 28 24





# შევუნარჩუნოთ პროფილი აბასთუმნის ფილტვის ცენტრს

საუკუნენახევარზე მეტია, აბასთუმანი ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის ცენტრია საქართველოში, ამიტომაც აქაურ სამედიცინო პერსონალს ფილტვის დაავადებათა მკურნალობის დიდი გამოცდილება დაუგროვდა.

აბასთუმნის ფილტვის ცენტრის ხელმძღვანელია ჯანდაცვის გამოცდილი მენეჯერი რევაზ ჟღენტი, რომელსაც დიდ პატივს სცემენ თანამშრომლებიც და პაციენტებიც. დაწესებულება ერთიანი, დიდი ოჯახია, სადაც პაციენტებს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან.

ცენტრში ერთდროულად 100-მდე პაციენტი მკურნალობს. ეს ადამიანები გადაურჩნენ განსაკუთრებით საშიშ ინფექციას — ავადმყოფობას, მაგრამ მეტ-ნაკლებად გამოხატული დარღვევები დიდხანს გაჰყვებათ. ცალკე თემაა მიღებული ფსიქიკური ტრავმის ნარჩენი გავლენები.

მადლობის ღირსნი არიან ამ ცენტრის შექმნის იდეის ავტორები და პრაქტიკულად, განმახორციელებლები. პირდაპირ ვთქვათ: იდეაც და დაფინანსებაც ცნობილ ქველმოქმედს, პატრიოტ მამულიშვილს, ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. დიდი მადლობა მას ამ დიდებული საქმისთვის!

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი უნიკალური ცენტრი პირველია და სამაგალითო სხვა ქვეყნებისთვის. კოლექტივს, მის ხელმძღვანელს, რეაბილიტაციის მეთოდების გაუმჯობესების ახალი, პერსპექტიული გეგმა აქვთ შემუშავებული. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების ხელშეწყობით გეგმა წარმატებით განხორციელდება, რეაბილიტაცია უფრო ეფექტური გახდება და ქვეყანა იამაყებს ცენტრის შედეგებით.

ცენტრის მომსახურე პერსონალში და პაციენტებში დიდი შეშფოთება გამოიწვია გავრცელებულმა ხმებმა, თითქოს მიღებულია გადაწყვეტილება, დაწესებულება დროებით გადაკეთდეს კოვიდ-ინფექციის მწვავე შემთხვევათა მკურნალობის ცენტრად, რაც შეცდომა გვგონია. ჯერ ერთი, დაწესებულება არაა მზად მწვავე პაციენტთა მისაღებად — ამისათვის არც შესაფერისი აღჭურვილობა და არც გამოცდილება აქვთ (არ არის რეანიმაციის, ფილტვის სათანადო ხელოვნური ვენტილაციის აპარატურა და მუშაობის გამოცდილება, ურომლისოდაც შეუძლებელია ასეთი მძიმე კონტინგენტის მკურნალობა, რაც უნდა მოკლე ვადით იქნას მწვავე გადამდებ ინფექციათა სამკურნალოდ გადაკეთებული, მოიშლება კოვიდგადატანილთა რეაბილიტაციისთვის აწყობილი სისტემა.

ვთხოვთ ხელისუფლებას, დატოვოს აბასთუმნის ფილტვის ცენტრი კოვიდ-ინფექციის გართულებათა რეაბილიტაციის დაწესებულებად, შევინარჩუნოთ კარგად აწყობილი სამსახური.

ულრმესი პატივისცემით,

**აკაკი ბერიძე**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



# საქართველოში რომ ევროპა არსებობდა, მაშინ ევროპაში არ იყო ევროპა



## მჯერა ქალბატონი თეა წულუკიანი კულტურის სფეროში ბევრ სასიკეთო ცვლილებას განახორციელებს

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი ნიკუშა შენგელაია:*

**— ბატონო ნიკუშა, ნაცებმა და მისმა ტელევიზიებმა თეა წულუკიანს ომი გამოუცხადეს. ისინი, ისევ, ყველა სფეროში არიან გაბატონებულნი, ასევე, მწერლობაშიც. როგორ ფიქრობთ, გაჩნდა შანსი რომ ქართული კულტურა განვითარების ნორმალურ გზას დაუბრუნდეს?**

— ნაცები რასაც აკეთებდნენ, ყველამ ვიცით. ტერმინი — ჩარეცხილებიც ხომ მათ დროს გაჩნდა. თეა წულუკიანი შეხვდა კულტურის წარმომადგენლებს, ეცნობა მათ პრობლე-



მატიკას. სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ასევე, ჩვენი ისტორიული, კულტურული მემკვიდრეობაც, რითაც ქვეყანა მდიდარია. იმ რესურსით, რაც გაგავაჩნია, ბიუჯეტს ვგულისხმობ, პრობლემების მოგვარება ძალიან რთულია. ქალბატონი მინისტრის მჯერა, აქტიური ადამიანია, თავის სფეროს საკმაოდ სერიოზულად მოეკიდა. მის მიმართ კრიტიკა გასაკვირი არ არის — ვინც საქმეს აკეთებს, ყოველთვის, კრიტიკის ობიექტი ხდება. ჯერ ახალი მინისტრია, შედეგებს დრო გვაჩვენებს. ქალბატონი თეა, მეიმედება. ვფიქრობ, მისი მიდგომა საკითხებისადმი მართებულია. ხომ ნახეთ, როგორ მიუდგა ხელოვნების მუზეუმის, გელათის და ა.შ. თემებს.

**— ხელოვნების მუზეუმი ახსენეთ, რაზეც ნაცებს ერთი ამბავი აქვთ ატეხილი: ბიძინა მუზეუმს გვინგრევსო.**

— ნაცებისთვის ყურის გდება როგორ შეიძლება. მათ რომ დაუჯერო: მთვარე მზეა და პირიქით, მზე — მთვარე. ამ აბსურდს როდემდე უნდა ვუსმინოთ. ისინი გაბოროტებულნი არიან. მათ სულ არ აინტერესებთ საკუათარი ქვეყანა როგორ განვითარდება. ჩემი რჩევაა: მათ, ნუ ვუსმენთ. ისინი, საერთოდ, ყურადღების ღირსნიც არ არიან. ასეთი ადამიანები ყოველთვის იყვნენ, არიან და იარსებებენ, მერე რა? ადამიანი, ბოლოს, მის მიერ გაკეთებული საქმეებით ფასდება. ისტორია ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

მას შემდეგ რაც 2012 წელს ბეჭებზე დავდეთ, მათი აზრი ვინმეს აინტერესებს? ახლა, თავიანთ ტელევიზიებში, ერთმანეთში რას ჭორაობენ, საერთოდ არ მაინტერესებს.

ვინ არიან ნაცები? — ისინი ნორმალური საზოგადოების დღის წესრიგში დიდი ხანია აღარ არსებობენ. დიახ, სწორედ ასე დაწერე: ჯანსაღი საზოგადოების დღის წესრიგში, „ნაცმოძრაობა“ როგორც ოპოზიცია, აღარ არსებობს.

**— ნახევარი მილიონი ადამიანი ვინც მათ ხმას აძლევს, საზოგადოების რა ნაწილს წარმოადგენს?**

— რა ვქნათ, საზოგადოება, ხალხი ჭრელია. 3 მილიონიან ერში ნახევარი მილიონი ასეთი რომ იყოს, გასაკვირი არაა. ყველა ერში ასეა. ადამიანი ყველა ერთნაირია? — ზოგს აქვს სინდისი, ნამუსი, გონიერება, ზოგს — არა. რას ვიზამთ, მათ თავიდან ხომ ვერ აღვზრდით.

ეს გახლავთ დემოკრატია. მთავარია, რომ ხელისუფლებაში, ქვეყნის სათავეში ვერასდროს მოვლენ, ადამიანების ბედს ვერ განაგებენ როგორც ამას ადრე აკეთებდნენ და უამრავი უდანაშაულო ადამიანი ციხეებში ჰყავდათ გამოკეტილი, ხალხს ქონებას ართმევდნენ და ა.შ. იყვნენ თავისთვის და ასხან შენობებს სალებავები, იწიკვინონ და უსტვინონ „სვისტოკში“ რამდენიც უნდათ.

**— ხოშტარია, აღნიშნულ ქმედებებს სულაც არ თვლის სამართალდარღვევად და შესაბამის სამსახურში დაბარებას პოლიტიკურ დევნას უწოდებს.**

— რას ჰქვია პოლიტიკური დევნა?! ჩვეულებრივ მოქალაქეს რომ იგივე გაეკეთებინა, ხომ დაიბარებდნენ და ჯარიმასაც გადაახდევინებდნენ. ეგ რა, წითელი კოჭია, თუ ვინ არის, რა დამსახურებისთვის უნდა ეპატიოს რაც ჩაიდინა?!? პოლიტიკაში ყოფნა ინდულგენცია არ არის. კანონი უნდა კანონობდეს და ყველასთვის ერთი იყოს — ჩვეულებრივი ადამიანისთვის, გლეხისთვის, მუშისთვის, პოლიტიკოსისთვის, პარლამენტარისთვის.

**— ნაცები რასაც შეეხენ, ყველაფერი გაანადგურეს. სამართლიანობისკენ ნაბიჯი რატომ ვერ გადავდგით?**

— სამართლიანობა, ნაწილობრივ, აღდგა, რადგან ნაცები ქართველმა ხალხმა პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრა. გეთანხმები, ამ მხრივ, კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მეტი ანალიტიკური გადაცემები უნდა გადიოდეს, პრესაც უნდა წერდეს ამ პრობლემებზე, შედგეს კონსესუსი და შემდეგ, მათ პასუხი მოეთხოვოთ. ასე არ შეიძლება — ვიღაც, გუშინ ერთ მხარეს იყო, დღეს — მეირე მხარესაა. ვეღარ გაიგებ, რა ხდება? ერთიდაიგივე ხალხი წრეზე ტრიალებს. პრობლემა არსებობს, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდება. ახლა, ქვეყანას უნდა მივხედოთ, პანდემიამ ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა. ირაკლი ღარიბაშვილი პრობლემების დაძლევას ცდილობს. ათწლეულის გეგმაც დადეს და მუშაობენ, რათა როგორმე, ქვეყანაში მშვიდობა, სტაბილურობა შეინარჩუნონ და განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები დაიდოს. საქმე ხომ კეთდება, ამაზეც ვილაპარაკოთ. ჩვენ, იმ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ რაშიც დღეს ვიმყოფებით. მითებში და სიზმრებში ყოფნა, არ გვარგია, რადგან მერე, ვიღვიძებთ და ცხვირწინ პრობლემები გვხვდება. ეს უნდა გავიაზროთ.

**— დღეს რა პოლიტიკური რეალობის წინაშე ვართ?**

— ძალიან რთული რეალობა გვიდგას. კერძოდ, რეგიონში — აზერბაიჯანში, სასომხეთში რუსეთის პოზიციები ძლიერდება. აგერ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დგანან და არსად წასვლას არ აპირებენ. აქვე, შავზღვისპირეთშიც იძაბება მდგომარეობა, სადაც დასავლური სამყარო, ნატო გავლენებს ზრდიან და ა.შ. ქვეყანაში ურთულესი ვითარებაა. ამ დროს, მედია ჭორიკნობით არის დაკავებული და მთავარ პრობლემებზე ანალიტიკოსები არ საუბრობენ. სერიოზულ პრესას არავინ კითხულობს. მხატვრებმა, პოეტებმა ერთმანეთს ველაპარაკოთ და ასე განვიცადოთ ქვეყნის ბედი თუ რა ვქნათ?“ სად არიან პოლიტოლოგები, ისტორიის მცოდნენი — შეაფასონ, რა ხდება ქვეყნის გარშემო.

**— რა არის ის მთავარი პრიორიტეტები, რაზეც გსურთ, რომ პოლიტოლოგებმა, პოლიტიკოსებმა იმსჯელონ?**

— ვიმსჯელოთ: როგორ გადავრჩეთ, განვვითარდეთ, როგორ შევიდეთ, რეალურად, ევროპულ ოჯახში. რამდენი წელია ერთიდაიგივე გვესმის. არსებობს საკითხები, რასაც სამწუხაროდ, ჩვენ, ვერ ვწყვეტთ. ჩვენს მაგივრად ამას უფრო დიდი ქვეყნები აკეთებენ. აი, ამაზე უნდა ვიმსჯელოთ. ყურადღება მივაქციოთ იმას, რითაც საუბარი დავიწყეთ — კულტურას, ხელოვნებას, მწერლობას, განათლებას, განათლებას და ისევ, განათლებას. დიახ, ვისაუბროთ იმაზე: რა რეალობაში ვართ და ხვალ რა გველოდება. სულ მიკვირს: რატომ ცდილობს ოპოზიცია ქვეყნის არევას, დანგრევას? განა, თავად აქ არ ცხოვრობენ? სკამის გულისთვის სამშობლოს წირავ?!

**— ახლა, ევროპული ოჯახი ახსენეთ, სადაც გეი-პარადის ჩაშლის გამო, საყვედურები გვითხრეს. რეალური ევროპა როგორია?**

— ევროპული ოჯახი არის ფასეულობები, ღირებულებები. ჩვენც, ხომ ევროპული ოჯახის წევრები ვართ. აქ რომ ევროპა არსებობდა, მაშინ ევროპაში არ იყო ევროპა. ტრადიციული ევროპა სულ სხვაა. მას.მედია არ აშუქებს იმას, რაც ფასეულია და რაზეც ევროპა დგას. ეს არის შრომა, ქვეყნის სიყვარული. ჩვენ, მენტალურად, კულტურულად, აბსოლუტური ევროპელები ვართ. კარს გვიღებენ თუ არა, ეს სხვა თემაა. არსებობს კულუარული, სცენური პოლიტიკა. ბევრი პრობლემაა, თუნდაც, ნატოსთან დაკავშირებით. ისინი ანგარიშს უწევენ უზარმაზარ ქვეყანას — რუსეთს. ჩვენ, გვინდა ევროპულ ოჯახში, მაგრამ როგორ მოხერხდება ეს, მხოლოდ ჩვენზე კი არა, ევროპელებზეა დამოკიდებული. რაც შეეხება პრაიდს, ამის წინააღმდეგ საფრანგეთშიც გამოვიდნენ და უნგრეთშიც. იცი რა, მზის ქვეშ არსებობის უფლება ყველას აქვს. ოღონდ, ეს პრობლემატიკა თავსმოხვეული არ უნდა იყოს.

**— რას ნიშნავს, როცა აშშ-ში კაპიტოლიუმში შეჭრისთვის პირი ტერორისტია, ხოლო აქ, იგივე ქმედებისთვის გმირი?**

— ვინ თქვა, რომ მელია გმირია. იგი, იმიტომ გაათავისუფლეს, რომ ქუჩაში ეს არეულობა დამთავრებულიყო, ოპოზიცია პარლამენტში შესულიყო. რუსეთისგან შესაძლო საფრთხეა და აქ, არეულობა არ აწყობთ. ხომ შეიძლება ამით რუსეთმა ისარგებლოს? ამიტომ, ოპოზიცია საკანონმდებლო ორგანოში შეიყვანეს, რათა პროცესები პარლამენტში გადასულიყო. ყველამ აღიარა, რომ მელია დამნაშავე იყო და კანონი დაარღვია. ისიც კი არ უთქვამთ: პოლიტ.პატიმარიაო.

**— ახლახან, „ენ-დი-აი“-ს კვლევა გამოქვეყნდა — საქართველოში დემოკრატიის ხარისხი გაუარესებულიაო. რეალურად, რა დემოკრატია გვაქვს საქართველოში?**

— მე რომ მკითხო, დღეს, დემოკრატია დიდი დოზითაც კი გვაქვს. დიახ, ისეთი დემოკრატია გვაქვს, მგონი, ბევრ ქვეყანასთან შედარებით, გადამეტებულიცაა.

**— წინა კვირას ხელისუფლება შარლ მიშელის დოკუმენტიდან გამოვიდა. რა უთხრა ამით დასავლელ პარტნიორებს, ქართველ ხალხს „ქართულმა ოცნებამ“?**

— უთხრა ის, რომ სადავეები საგარეო პარტნიორებიდან გადმოიბარა ქვეყანამ, რომელსაც ქართველმა ხალხმა ხმა მისცა. სამწუხაროდ, დოკუმენტში ვალდებულებები ჩაიდო, რაც არჩევნების ფუნდამენტს არანაირად არ ეფუძნებოდა. არჩევნების თემას, წესით, ქართველი ხალხი წყვეტს. 43% გაუგებარი ინიციატივა იყო. პარტნიორი კი არ უნდა გკარნახობდეს პირობებს, არამედ, ქვეყნის კონსტიტუციას, საკანონმდებლო ბაზას უნდა დაეყრდნო.



თამარ შველიძე
555 23 28 24

# საქართველოში მელიების დინასტია იწყება

### ერთი მელია დასავლეთში დაჯდება ფაშად, მეორე თბილისში, სააკაშვილს კი ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დასვამენ „პრეზიდენტად“

## მადლობა, მამა, ანუ სხვის დედას საკუთარი მამა გერჩივნოს!



2021 წლის 15 აგვისტოს საქართველოში მოხდა ყველასთვის მოულოდნელი რამ... ყოველ შემთხვევაში, როგორც ნიკა გვარამიამ გვითხრა იმავე 15 აგვისტოს ღამეს, ეს იყო მეტად სასიხარულო ამბავი ნორმალური საზოგადოებისთვის და უფრო მეტად შოკისმომგვრელი „ქართული ოცნების“ მომხრეებისთვის, ასევე საპარლამენტო უმრავლესობისთვის და მთავრობისთვის. არა, მიწისძვრას არ ვგულისხმობ, ეგ 16-ში იყო გამთენიისას. მართალია, მე არ მჯერა ბუნებრივი კატაკლიზმების კავშირი ცოცხალ ადამიანებთან, მაგრამ საქართველოში ბევრმა ეს მიწისძვრა სწორედ იმ მოვლენას დაუკავშირა, რომელზეც ახლა უნდა მოგახსენოთ.

დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, დიდმა თავგადადებულმა მამულიშვილმა, ერის მოამაგემ და უანგაროდ მსახურმა, რომელიც თვეების განმავლობაში გახლდათ გამომწყვდეული ბიძინა ივანიშვილის ციხეში, სადაც რაღაცნაირად დაავადდა, ნიკანორ მელიამ ზუგდიდის მერობის კანდიდატად დაასახელა საკუთარი მამა, ექიმი, კარდიოლოგი, ასევე თავგადადებული მამულიშვილი, დიდი ქველმოქმედი, სიკეთის განსახიერება, ანზორ მელია!



გამოგიტყდებით, მე პირადად არ ველოდი ასეთ ბრძნულ გადაწყვეტილებას. აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ამხელა გამოცდილების კაცი, ბუმბერაზობის განსახიერება ყველაფერს გვერდზე გადადებდა, კედელზე მიყუდებულ ბუცებს ჩაიცვამდა და ისევ დიდ ავიაციას კი არა და... დიდ პოლიტიკას დაუბრუნდებოდა? ახლა არ მკითხოთ, ანზორ მელია როდის იყო დიდ პოლიტიკაშიო? საქმეც ეგ არის, რომ იყო, ყოფილა, მეც არ ვიცოდი, თვით ნიკანორმა გაამჟღავნა წარდგენისას (აქამდე სიტყვაც არ დასცდენია), რაც კი რამ კაცური გამაჩნია, რაც კი რამ ადამიანური გამაჩნია, რაც კი რამ მისწავლია, რაც კი რამ მომიხმარებია ჩემი სამშობლოსთვის, ყველაფერი ამ ადამიანის დამსახურებააო. აი, სწორედ ამ უზადო სულის პატრონმა აღზარდა გმირად და ტიტანად, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა კავკასიონის ქედზე მიმაბა ჯაჭვებით და ახლა დადგა დრო, ავიწყვიტოვო. მე დავრწმუნდი, თუ ამ საქმეში მამა არ დამეხმარა, ვერ ავიწყვეტ, ვერ გავიმარჯვებ, ეს კაცი სულ სხვანაირ სტიმულიანობას მაძლევსო.

როგორც ჩიტმა მომიტანა ამბავი, წარდგენის წინა ღამეს მიხოსა და ნიკანორს შორის უსიამოვნო საუბარი შემდგარა.

მიხოს დედამისი გიული უნდოდა ზუგდიდის მერად, ნიკანორს — მამამისი ანზორი.

გაბრაზებულ მიხოს ნიკანორისთვის მიუხლია:

— სხვათა შორის, მამაშენი ფარული ქოცია. დაგავიწყდა, 2012-ში ხეს ამოფარებული რომ უჭერდა მხარს „ქართულ ოცნებას“?! თვითონ თქვა „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში და ამას ისიც მოაყოლა — ჩემი შვილი ნიკა „ნაცი“ არ არის, ქართველიაო.

მამამ შვილის ამბავი ყველაზე კარგად იცის — შენც ქოცი რომ არ ხარ მამაშენივით, ნიკა?

არც ის დამვიწყნია, მამაშენმა მამაჩემს ძაღლის სტენტი რომ ჩაუყენა...

მოკლედ რომ მოვჭრათ, ბევრი უჩხუბიათ და უკამათიათ მიხოს და ნიკას, ბოლოს მიხოს ხელი ჩაუქნევია და დასტური უთქვამს, ოღონდ ისიც დაუყოლებია: აბა, ერთი, არ გაგიმარჯვიათ მელიებს თბილისში და ზუგდიდში, თქვენი ტყავებისგან ორ ქურქს შევაკერინებ — ერთს ჩემთვის, ერთს დედაჩემისთვისო.

ნიკანორი გახარებულა, რომ თავისი გაიტანა.

ცხადია, სხვის დედას საკუთარი მამა სჯობია.

სხვათა შორის, ნიკანორ მელიამ მერობის კანდიდატების წარდგენისას ხაზგასმით განაცხადა, ახლა ჩვენ ყველაზე მეტად სტიმულირება გვჭირდება ყველა რგოლსა და სახსარშიო.

მას შემდეგ, რაც ნიკანორმა ყველა წარადგინა, ზოგი სად გაამწესა, ზოგი — სად, ცოტა წინ წამოდგა, მიკროფონს სასოებით შეეხო, შთაგონებით სივრცეში გაიხედა და დაიწყო: მადლობა, მამა, ამ ყველაფრისთვისო... რომ გამაკეთე, გამზარდე, ვაჟკაცად მაქციე და სამშობლოს სიყვარული შთამაგონეო. განა ჩემისთანა გმირის გაზრდა იოლი საქმე იყოვო? მადლობა, მამა, ამისთვისო და იმისთვისაც, უარი რომ არ უთხარი ქვეყანას დახმარებაზე, რომელიც დღეს განსაცდელშიაო. აქ ნიკანორს წესით თვალთაგან ცრემლები უნდა წამოსვლოდა, მაგრამ არ წამოუვიდა, მხოლოდ ქვედა ტუჩი აუკანკალდა.

ტაში!

დამსწრე საზოგადოება (ძირითადად ბალღობა) ფეხზე წამოდგა. კულისებში ნათლად გამოჩნდა გმირის აღმზრდელის დაღლილი, მაგრამ ენერგიული სახე. ქართველმა ხალხმა ტელევიზორში მძაფრი მუსიკის ფონზე იხილა კაცი, რომელსაც ეკუთვნის ისტორიული სიტყვები: „თუ ჩემი შვილის პარტია არჩევნებში დამარცხდება, თავს მოვიკლავ“! ეს სიტყვები რომელიღაც წიგნში ოქროს ასოებითაა შეტანილი. დიახ, 2016 წელს „ნაცმოძრაობა“ დამარცხდა საპარლამენტო არჩევნებში და ბატონი ანზორი აპირებდა კიდევაც საკუთარი თავის განგმირვას, მაგრამ ვინ დაანება? მის განზრახვას წინ აღუდგა არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობა, არამედ შეშფოთებული წერილები გამოაგზავნეს ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულმა პარტნიორებმა, სენატორებმა, კონგრესმენებმა და პრეზიდენტებმა. ბატონი ანზორი არ აპირებდა დათმობას, მაგრამ გაკოჭეს, პირზე „სკოტჩი“ააკრეს და წაუკითხეს აბრაამ ლინკოლნის „ემანსიპაციის პროკლამაცია“. აი, აქ კი დამშვიდდა გმირის მამა, მიხვდა, რომ უსაგნოდ თავის გაწირვა არ ღირს. მერე რა, თუ „ნაცმოძრაობა“ სულ მარცხდება? როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა (ნიკა მელიამ) თქვა, მოვლენებს განაპირობებს არა რეალობა, არამედ წარმოსახვაო. წააგე? ეგ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მართლა წააგე, უნდა გამოხვიდე და განაცხადო, რომ მოიგე, გაიმარჯვე. გაიხსენეთ, განა ჩვენ ასე 2008 წლის აგვისტოში ომი არ მოვიგეთ? განა რუსთაველზე არ ვიზეიმეთ? განა ჰოლივუდს 20-მილიონიანი ფილმიც არ გადავაღებინეთ? განა შერონ სტოუნიც არ ჩამოვიყვანეთ და რაღაცნაირად გაბრექილ კობა ნაყოფიას გვერდით არ მივუსვით? რატომ მივუსვით? იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილმა ფილმის გადასაღები ფული მაგას დაადებინა. ჰო, ფული გინდათ და ბატონი კობა შერონის გვერდით რომ დაჯდეს, ეგ არ გინდათ, ხო? ეგრე სად არი?!




ჰო, მოკლედ... ნიკანორმა თქვა, ძალიან მიჭირსო, მშობელ მამას ამხელა ტვირთს რომ ვკიდებ, მაგრამ რა ვქნა, როცა მამული განსაცდელშია და მსხვერპლს ითხოვსო? წესით მამა სახლში უნდა იყოს მხართეძოზე წამოწოლილი და ხელში ტელევიზორის პულტი უნდა ეჭიროს, მაგრამ არ გამოდისო, დავით აღმაშენებელი მკვდარიაო, ალექსანდრე მაკედონელი აღარ არი, ნაპოლეონ ბონაპარტე ელენეს კუნძულებზე გადაასახლეს, სად ვეძებო, მარტო ესღა დარჩა კაცობრიობის გადამრჩენელად და მასტიმულირებლადო. მართლაც, აბა, ვინ, თუ არა ბატონი ანზორი? თუ ვინმე პრეტენზია გაქვთ, გამოდით და თქვით, ვინ გეგულებათ მსგავსი? ვერ გამოხვალთ, ვერ იტყვით, რადგან არ არსებობს!

15 აგვისტოსვე, საღამოს ანზორ მელია ნიკა გვარამიამ ტელესტუდიაში მიიწვია (ამაზე ზემოთ უკვე გითხარით) და საქვეყნოდ განუცხადა, თქვენი კანდიდატურა ყველაზე მეტად შოკში „ქართული ოცნების“ დეპუტატებს ჩააგდებსო. ვეთანხმები ამ ბრძენ ადამიანს, რაც აქამდე უთქვამს, ყველაფერი ახდა, ზოგი წაღმა, ზოგი უკუღმა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ხომ ახდა? იცით, რა უპასუხა მხცოვანმა პოლიტიკოსმა? მეო, თანამდებობა და ეგეთი რაღაცები საერთოდ არ მაინტერესებს, გავიმარჯვებ, მტერს დავამარცხებ და მერე გადავდგები, ვისაც უნდა, ის იყოს მერიო. აი, როგორც სანდო წყარო მატყობინებს, ბატონი ანზორი რომ გაიმარჯვებს, მტერს რომ დაამარცხებს, მერის თანამდებობას როლანდ ახალაიას დაუთმობს. თუმცა ერთი პირობით... როგორც მან გვარამიასთან საუბარში გაამხილა, ისეთ ზუგდიდზე ოცნებობს, როგორიც მის ბავშვობაში იყო — ლაღი, ლამაზი, მხიარული და დემოკრატიული. ჰოდა, გეგმა აქვს, ზუგდიდი ისეთ ქალაქად უნდა გადააქციოს, მის ბავშვობაში რომ იყო. ოღონდ არ უთქვამს, ზუგდიდელებმა „კერასინკები“ თვითონ უნდა მოიმარაგონ თუ ნიკანორი დაურიგებს? მე პირადად მჯერა, მელიების გამარჯვების შემთხვევაში არა მხოლოდ ზუგდიდი გახდება ლაღი, მხიარული და დემოკრატიული, როგორიც ანზორის ბავშვობის პერიოდში იყო, საქართველოც მიაღწევს მსგავს „წარმატებას“.

საქართველოში მელიების დინასტია იწყება — ერთი მელია დასავლეთში დაჯდება ფაშად, მეორე თბილისში, სააკაშვილს კი ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დასვამენ „პრეზიდენტად“

ეს წერილი დაწერა
შოკირებულმა
**გელა ზედელაშვილმა**
555 48 48 61

# კანონია, თუ ქვეყნის თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილი?

## 21-ე საუკუნეში ქვეყანამ გიგა ბოკერიას და ლევან რამიშვილის დაწერილი აბდაუბდით როგორ და რატომ უნდა იცხოვროს?!

საქართველოში თითქმის მუდამ იყო წესად... ჯერ ასპარეზზე გამოსვლა, ტრაბახი, მამულიშვილურად ბაასი, გულის ფიცარზე მუშტის ბრაგუნი, ყალყზე შედგომა და შემდეგ... შემდეგ კი უცებ შედრკომა, ფერ-ფურის დაკარგვა, განზე განდგომა, ნათქვამის უკან წაღება, დამალვა, გადამალვა და ათასი დოზანა. მსგავსი შემთხვევები მე პირადად ძალიან ბევრი მქონია, მით უფრო სააკაშვილის ზეობის პერიოდში, როცა ადამიანები მოდიოდნენ, ჩიოდნენ, სიმართლეს ლაპარაკობდნენ, ვბეჭდავდი, მერე „ჩვენებას'' ცვლიდნენ და კატეგორიულად ითხოვდნენ, მომდევნო ნომრებში მათი „ჩვენებები" მეც შემეცვალა. მახსოვს, ერთმა ფრიად პატივსაცემმა ადამიანმა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობა სწყუროდა, ერთხელ მეტად გაავდა და ვიღაცები გამოლანძღა. მეორე დღეს, როცა გაზეთი გამოვიდა, ფრიად შეშფოთდა, უიმე, დედიკო, ეს რა მივქარეო და მომთხოვა, შენ დაიბრალე, ვითომ შეცდომა გაგეპარაო, ვითომ შეგეშალაო, ვითომ გონზე არ იყავი, აზრებს თავი ვერ მოუყარე და ეგეთი რაღაცა უნებლიედ დაგეწერინაო. რას ამბობ, ქალო, ნინიას ბაღია თუ



გაზეთი-მეთქი? ერთი კვირა მეჩალიჩა, ვერაფერი გამაგებინა და ბოლოს „დამკარგა". სხვათა შორის, ასეთი უაზრო რამე-რუმეების გამო ბევრი „დავკარგე", ბევრი გაუდგა კუდიგორის გზას. იცით, თქვენ წარმოიდგინეთ, არავის ვამტყუნებ, არც იმათ, გუშინ რომ უარგვყვეს, არც იმათ — გუშინწინ რომ განგვიდგნენ. ჯერ კიდევ ძველები ამბობდნენ, ყველას გმირობას ვერ მოვთხოვთო, საკუთარ თავზე ბევრის აღება ყველას არ შეუძლია, თითოეულმა ადამიანმა იმდენი უნდა ასწიოს, რამდენსაც დაძრავსო. ზოგიერთს ჰგონია, ბევრის აწევა შეუძლია, მაგრამ მერე მიხვდება ხოლმე, რომ ვერა, ვერ აქვს მაგდენის თავი და „ზადნავს". სხვათა შორის, უკან დახეულობასა თუ „დაზადნვას" აქვს თავისი ობიექტური მიზეზები, რაც ადამიანებს არ აძლევს გმირობის გამოვლენის საშუალებას. მაგალითად, დღეს რისი (ვისი) ეშინია უამრავ მამულიშვილს, რატომ ერიდება აზრის გამოთქმას, რატომ იკავებს თავს, გამოვიდეს და უჯიშოთა მოდგმას შეუტიოს? რისი ეშინია და სიმართლის თქმას რომ გადაწყვეტ, აუცილებლად ცხენიც უნდა გყავდეს შეკაზმული, რომ ე.წ. ტელევიზიებისა და ე.წ. არასამთავრობოების ზეწოლას გაუძლო. სხვა რომ არაფერი, მარტო სოციალურ ქსელებში გაგაშავებენ ისე, გაჩენის დღეს გაწყევლინებენ. მოდით, ამჯერად წინა პლანზე წამოვწიოთ **კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელიც 2004 წელს დაწერეს გიგა ბოკერიამ და ლევან რამიშვილმა**. ეს კანონი გახლავთ იმ ბოროტების საწყისი და საფუძველი, რომელმაც ბევრი იმსხვერპლა და ბევრსაც იმსხვერპლებს, თუ არ შეიცვალა, ვგულისხმობ ცილისწამებათა ნიაღვარს, 2004 წლიდან რომ მოედინება ჩვენს ქვეყანაში. ფაქტობრივად ეს იყო სააკაშვილის ხროვაზე მორგებული კანონი, ვითომ დემოკრატიული, მაგრამ სინამდვილეში უზურპატორული. ნახეთ, როგორია კანონის პირველი მუხლი:

„სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით".

ესე იგი, სახელმწიფო იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. გაიგეთ რამე? მე მხოლოდ ის გავიგე, რომ ხელისუფლების განხორციელებისას სახელმწიფოს და ხალხს ეკრძალება სიტყვის თავისუფლება. გარდა იმისა, რომ ეს კანონი ჩიქორთული ქართულით არის დაწერილი, შიგ ძალიან ბევრი სისულელეა. სახელმწიფო და ხალხი შეზღუდულნი არიანო, სააკაშვილის ზეობის პერიოდში სააკაშვილის ხროვას ნამდვილად აწყობდა ასეთი აბდაუბდა, ყველა ტელევიზია ხომ მაგათი იყო? რომელიც არ იყო, კი შერბოდნენ სპეცრაზმებით და „აწესრიგებდნენ" სიტუაციას. **შეიცვალა ხელისუფლება 2012 წელს და ძალა, რომელიც სათავეში მოვიდა, ეგრევე აღმოჩნდა ამ ჩიქორთული კანონის მძევალი და დღემდე „დროს ატარებს" მძევლობაში**, ადამიანი არ გამოჩნდა საპარლამენტო უმრავლესობაში, რომელიც გამოვა და ხმამაღლა იტყვის: ძმებო, დებო, დეიდებო, ბიძიებო, დროა, კანონი მივიღოთ ცილისწამების შესახებ, იქნებ იქვე ისიც ჩავწეროთ, რომ საჯარო მოხელეც ადამიანიაო. როგორც ამბობენ, შიგნით პარტიაში კი ყოფილა ამაზე საუბარი, მაგრამ ოფიციალურად არავინ ლაპარაკობს.

მუხლი მეორე: „ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს: ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; ბ) პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას; გ) ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას; დ) ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოობა და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები".

სასაცილოა, მეორე მუხლი მთლად აფარჩაკებს საჯარო მოხელეს, მას უკრძალავს ყველანაირ აქტივობას და ნებართვას აძლევს მეორე მხარეს, იყოს გიჟივით თავისუფალი. ჟურნალისტის უფლებააო, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოობა (რა მაგარი ქართულია!) და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებებიო. კი, მაგრამ სად არის ამ ქვეყანაში სინდისი და ნამუსი? ეგ კი არა, დაჯდება ვიღაც წერა-კითხვასთან მწყრალი ბოგანო, მოიგონებს საჯარო მოხელეზე ან არასაჯარო მოხელეზე ზღაპარს, თუ როგორ შოულობს ფულს ბავშვების ყიდვა-გაყიდვით. იქით შეედავები? ვერაფერს დააკლებ, გამოვა და იტყვის, ეს ინფორმაცია სანდო წყარომ მომაწოდაო, რომლის ვინაობასაც ვერ გავამხელო. სინამდვილეში სანდო წყარო არ არსებობს, შენზე ბინძური ზღაპარი ბინძურმა ბოგანომ მოიგონა და შენ ვალდებული ხარ, საზოგადოების წინაშე თავი იმართლო, რომ ფულს ბავშვების ყიდვა-გაყიდვით კი არა, სხვა გზებით შოულობ. მეტიც, შენ უნდა დაამტკიცო, რომ არც აქლემი ხარ და არც იფურთხები. შეიძლება დაამტკიცო, რომ აქლემი არ ხარ, მაგრამ არ ვიფურთხებიო, ამას ვერ დაამტკიცებ, ბოგანო სანდო წყაროზე დაყრდნობილ მტკიცებულებებს მაინც წარმოადგენს.

ჩვენში დიდ პრობლემად იქცა ცილისწამება, ეს არის დღეს დამოკლეს მახვილი, რომელსაც ბევრი გაურბის და გაურბიან ისეთებიც, რომლებიც მერე „ზადნავენ". მიხეილ სააკაშვილის კანონში სიტყვასიტყვით ასე წერია (მუხლი 5, თავი პირველი):

„ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია პოლიტიკური დებატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით".



გაიგონეთ? ცილისწამება არ ისჯება, თუკი ის გაკეთებულია პოლიტიკური დებატების ფარგლებში. მიდი, მოვდივარ, დაჯექი ინგა გრიგოლიასთან, დაარქვი დებატი და დააბრალე ადამიანს საკუთარი ბებიის გაუპატიურება, პასუხს არავინ მოგთხოვს.

გინდათ, გაცინოთ? თურმე ამ კანონის შემდგომი მუხლის პირველი თავის თანახმად, ცილისწამებაზე შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში: „თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს".

მეგობრებო, თქვენ შეგიძლიათ, ცილისმწამებელს იქით უჩივლოთ, თუ გაქვთ ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე, რომელიც აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. არა, შეიძლება კანონი იყოს გაუმართავი, ჩიქორთული, უხეიროდ ნათარგმნი, მაგრამ ასეთი გაუგებარი და ცინიკური? რას ნიშნავს ნათელი და განჭვრეტადი? რას ნიშნავს სიკეთე, რომელიც აღემატება მიყენებულ ზიანს? იქნებ არ აღემატება, მერე რა ვქნათ? იქნებ ნათელია, მაგრამ არ არის განჭვრეტადი? მე მაპატიეთ, ასეთ ბოდვას რომ გაკითხებთ, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, საკუთარი თვალით უნდა ნახოთ, როგორ კანონებს წერდნენ მიხეილ სააკაშვილის „განათლებული" ხელქვეითები. თურმე შესაძლებელი ყოფილა ცილისწამების შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირებაც, რომლის თანახმადაც, შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირებისას დაუშვებელია გამოხატვის საგნის შეზღუდვა. მე-10 მუხლის მეორე თავი გვეუბნება: „შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ გამოხატვის ადგილის, დროისა და ფორმის მიხედვით ისეთ არადისკრიმინაციულ შეზღუდვას, რომელიც გავლენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამომხატველობით ეფექტზე ან ტოვებს მათი სხვა გზებით გამოხატვის ეფექტიან შესაძლებლობას".

ისევ ვერ გაიგეთ ვერაფერი, ხომ? ვერც მე! თუმცა ერთი წიაღსვლა მომეწონა — როდესაც იჩივლებთ, ეცადეთ, გავლენა არ მოახდინოთ ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე.

არ დაიჯერებთ, თურმე ყოფილა ასეთი მცნებაც: „კვალიფიციური პრივილეგია ცილისწამებისათვის". ესე იგი, პირს ენიჭება კვალიფიციური პრივილეგია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებისათვის: „თუ მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად, იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს".

და ბოლოს მთავარი... მუხლი 16. პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა.

მორჩა, წერტილი დასმულია, წადი და ირბინე რამდენიც გინდა, ნებისმიერ ე.წ. ჟურნალისტს შეუძლია დაგწამოს ცილი, კედლებზე გატაროს და სასამართლოში თქვას, მე არ ვიცოდი, რას ვავრცელებდიო. მე თქვენ გეტყვით, მართლა იციან, რას ავრცელებენ და რას ბოდავენ?!

ახლა კი მივმართავ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს: პატივცემულო დეპუტატებო, არ გრცხვენიათ, როდესაც ამ კანონს კითხულობთ? იქნებ არ წაგიკითხავთ და არც წითლდებით? მაშინ წაიკითხეთ, უბრალოდ სირცხვილია, 21-ე საუკუნეში ქვეყანამ გიგა ბოკერიას და ლევან რამიშვილის დაწერილი აბდაუბდით როგორ და რატომ უნდა იცხოვროს?!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# არის ფული, არის გავლენა, არის ძალაუფლება და ეს ყველაფერი აქვს მასმედიას

## ჟურნალისტებს ვურჩევ, ხშირად წაიკითხონ სულხან-საბას არაკი „ენით დაკოდილი“



*გვესაუბრება ფსიქოლოგი, პროფესორი ზურაბ მხეიძე:*

**— ბატონო ზურაბ, ბოლო ხანებში თვალნათელი გახდა დაპირისპირება ჟურნალისტებსა და ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს შორის. რა მოვლენაა ეს?**

— მოგესალმებით.

რომ გითხრათ, კარგად ვიცნობ დღევანდელ ქართულ ჟურნალისტიკას-მეთქი, არ ვიქნები მართალი, რადგან, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სისტემატურად არ ვუყურებ ქართულ ტელევიზიებს და არც ქართულ გაზეთებს ვკითხულობ.

მაგრამ მე შევისწავლე საინფორმაციო სივრცის ეკოლოგია, იმ მიზნით, რომ, რაც ჯანმრთელობისთვის საზიანოა, უნდა იქნას შესწავლილი.

სულ რომ არ გქონდეს სამედიცინო განათლება, უნდა იცოდე, რომ ემოცია არის ბიოქიმიური ცვლილება ორგანიზმში, რომელიც იწვევს რეაქციას. გამოდის, რომ სიტყვების საშუალებით შესაძლებელია ადამიანის ბიოქიმიური მდგომარეობის შეცვლა, მაგალითად, როგორც ბედნიერების ემოციის წარმოქმნისას ჩნდება ენდორფინი, სტრესის შემთხვევაში გამომუშავდება კორტიზოლი, აგრესიის შემთხვევაში — ადრენალინი და ა. შ. ანუ როცა, მაგალითად, აგრესიას აფრქვევენ და საპირისპირო მიმართულებით აგზავნიან, იცვლება ადრესატის ენერგეტიკა და ეს დიდად სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

ერთი რამ კი ცხადია — ფიზიკური ძალადობა არაფერია ფსიქოლოგიურ ძალადობასთან შედარებით, იმიტომ რომ, ფიზიკური ძალადობის განრიდება სივრცეში შესაძლებელია, მაგრამ ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი თუ გახდი, ეს ტრავმა, მოსალოდნელია, მთელი სიცოცხლე გაგყვეს.

ფსიქოლოგიური დარტყმა გაცილებით მძიმე გადასატანია, ვიდრე ფიზიკური.

იურიდიულ ტერმინოლოგიაში არსებობს დეფინიცია — თვითმკვლელობამდე მიყვანა, მაგრამ არ არის გამოყოფილი, ვთქვათ, კუჭის წყლულამდე, ინფარქტამდე მიყვანა, ინსულტის გამოწვევა, რაც შეიძლება ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგი იყოს.

როცა ამბობენ, რომ ძალადობა მხოლოდ ფიზიკური შეიძლება იყოს, ეს არაა სწორი. ეს მიუთითებს, რომ იმას, ვინც ამაზე ლაპარაკობს, არათუ დაბალი ინტელექტის ადამიანია, არამედ უსინდისოც არის.

**— ბატონო ზურაბ, ასეთ რამეებს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ხომ ასწავლიან და მერე, პრაქტიკაში, რა ხდება?**

— მიმაჩნია, რომ ჟურნალისტიკა 5 წლით უმაღლეს სასწავლებელში არ ისწავლება, მაგრამ დავანებოთ თავი ამას.

მე დავინტერესდი ჟურნალისტიკის საფუძვლებით, სხვა ლიტერატურასთან ერთად გავეცანი ერთ ფრანგ ავტორსაც, რომელიც თავისი წიგნის დასაწყისში წერს: „ჟურნალისტი, ეს არის ნახევრად განათლებული, ცერცეტი ახალგაზრდა“. გავოგნდი. ერთხანს ვატრიალე ის წიგნი ხელში, ვფიქრობდი, საქართველოში, ქართველის მიერ არის დაწერილი თუ რა ხდება-მეთქი?

მოკლედ, ინტრიგა ძალიან ძლიერი იყო და გავაგრძელე კითხვა.

აღმოჩნდა: წიგნი დაწერილია 1970 წლამდე და, ცხადია, იმდროინდელ ვითარებაზეა საუბარი და ნახეთ, რა წერია შემდეგ: თუ გინდათ გავლენიანი ჟურნალისტი იპოვოთ, მისი მოძებნა გაგიჭირდებათო.



რატომ მოხდა ასე?

ერთ მაგალითს გავიხსენებ: პრესკონფერენციაზე პრეზიდენტ ნიქსონს ერთმა ჟურნალისტმა უთხრა: თქვენ ვეღარ გახდებით პრეზიდენტიო.

ნიქსონმა ხელები ასწია — რადგან ჟურნალისტმა თქვა, ე.ი. ასე იქნებაო.

ჟურნალისტს ჰქონდა ნდობა, ის იცნობდა საზოგადოების განწყობას და ის იყო ავტორიტეტი, ეს ავტორიტეტი კი ვიღაცას უშლიდა — დიდი კომპანიები, რომლებიც ინფორმაციებით არიან დაინტერესებული, ხვდებიან, რომ ავტორიტეტული ჟურნალისტი სახიფათოა, რადგან იმ ჟურნალისტის ძალა აღემატება მათ კაპიტალს.

ამას გარდა, ამ ჟურნალისტს უნდა გადაუხადო გაცილებით მეტი, რადგან ასეთი ჟურნალისტი, პრაქტიკულად, შეუცვლელია.

ამიტომ იმ წიგნში პირდაპირ წერია: თუ გსურთ სერიოზულ ჟურნალისტად ჩამოყალიბება, ან ხართ ასეთი ჟურნალისტი, მაშინვე გაწინაურებენ, გადაყავხართ პროდიუსინგში, ან უკანა პლანზე, რომ გაწყდეს კავშირი ჟურნალისტსა და საზოგადოებას შორის.

**— ე.ი. მოთხოვნაა ნაკლებად პროფესიონალ ჟურნალისტებზე?**

— დიახ და იცით, რატომ? ჯერ ერთი, მას უხდიან ათჯერ თუ ასჯერ ნაკლებს, მეორე — რას აკეთებს, თვითონაც არ იცის და მესამე — ცვლიან პანტაპუნტით. თუ გაქრება ეკრანებიდან, მეორე დღეს ის არავის ემახსოვრება.

იმ წიგნში წერია, რომ ეს არის დღევანდელი მსოფლიო ტენდენცია. აღარ არიან ჟურნალისტები, რომლებსაც უზარმაზარი გავლენა ჰქონდათ და მათი ავტორიტეტი მსხვილი კორპორაციების კაპიტალს უტოლდებოდა.

მინდა აღვნიშნო, რომ ეს იყო ჩემი აღმოჩენა იმ საინფორმაციო სივრცეში, რომელშიც ვიმყოფებით.

**— ანუ, 70-იანი წლებიდან იწყება ყველაფერი ეს?**

— არა, ეს არის უფრო ბოლო პერიოდის მოვლენა, რადგან ყველანი გაყიდვებზე გადავედით.

გაძლიერდა ტენდენცია: ხარისხს არ აქვს მნიშვნელობა, არამედ ნახვების რაოდენობას.

როცა ნახვების რაოდენობა გახდა განმსაზღვრელი იმისა, თუ რამდენად კარგია ჟურნალისტი, უკვე აღარ დასჭირდა ჟურნალისტს ჭკუა, ნიჭიერება, ანუ, ვთქვათ, გავშიშვლდეთ და ვიცეკვოთ, ან რაიმე არაადეკვატური ჩავიდინოთ და გადავიღოთ, რომ ამას ნახვების ყველაზე დიდი რაოდენობა ჰქონდეს. ანუ, დებატებში რომ წამოდგე და თქვა, ბუმბულს გაგიკეთებ ყურში, ეს იქნება მეორე დღეს სალაპარაკო და ნახვების რეკორდს მოხსნის ეს სიუჟეტი.

ფაქტია, რომ დეფორმაცია მოხდა შეფასებაში.

ჟურნალისტებთან კარგი ურთიერთობა მაქვს და როცა პირადად მათ ველაპარაკები, ისინი მეუბნებიან: რასაც თქვენ გვეუბნებით, ამას 50 ადამიანი წაიკითხავს, მაგრამ თუ დავწერთ, რომ, დავუშვათ, ასაკოვანმა გააუპატიურა არასწრულწლოვანი, ამას კითხულობს ერთი მილიონი. რედაქტორი კი მეუბნება: არ მჭირდება აკადემიური სტატია, მე სკანდალები მაინტერესებს და მეც ვმუშაობ სკანდალებზეო.

სამწუხაროა, რომ ჟურნალისტებისთვის პროფესიული საკვები გახდა სიბინძურე.

დავუშვათ, არაფერი არ მოხდა ქალაქში, არ მომხდარა კრიმინალი, რაიმე უბედურება, ჟურნალისტი უფუნქციოდ რჩება და რადგან სკანდალი ვერ მონახა, მისი პროფესიონალიზმის საკითხიც დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

რაც შეეხება ჟურნალისტურ ელიტას, იქაც წავიდა პროფესიონალური ნიშნით შეფასება — თუ მან, მაგალითად, კამერა დადო და სისხლმდინარე დაჭრილს მიეხმარა, მისი პროფესიონალიზმი ნულს გაუტოლდება, რადგან მას ბოლომდე უნდა გადაეღო სისხლისგან დაცლის პროცესი.

შესაბამისად, როცა ახალგაზრდას სურს ჟურნალისტიკის ელიტაში მოხვდეს, იმ „ელიტების“ წესებითა და იმათი ღირებულებებით უნდა იმოქმედოს.

ერთმა ჟურნალისტმა მითხრა: რაიმე კარგი თუ ხდება ქალაქში, ან ქვეყანაში, ეს ჩვენ არ გვჭირდება, ეს არ არის ჩვენი საქმეო. გამოდის, რომ, ვთქვათ, თუ ბავშვი გაიტანა მანქანამ, ეს ძალიან კარგია, მინისტრმა თუ გაიტანა, ორჯერ უფრო კარგია, პრემიერ-მინისტრმა თუ გაიტანა, ხომ მთლად სუპერ, მაგრამ თუ ეს პრემიერ-მინისტრი ნასვამი იყო, აი, ეს არის, საერთოდ, ზესკანდალი.

აი, ეს არის პროფესიული დეფორმაცია და მე რომ კვლევებს ვკითხულობდი, იქვე იყო აღნიშნული, რომ თვით ჟურნალისტებს, დროთა განმავლობაში, ეწყებათ ფსიქოლოგიური პრობლემები.

ჟურნალისტებმა კი, თუ არაფერს კითხულობენ, ეს მაინც წაიკითხონ, რადგან ეს მათ ჯანმრთელობას ეხება.

**— ენას თუ ენიჭება მნიშვნელობა? მე ვგულისხმობ უცხო სიტყვების მრავლად გამოყენების ტენდენციას.**

— რომელი ენის პატივისცემაზე და ანგარიშის გაწევაზეა საუბარი, როცა გამოდიან და ლაპარაკობენ, მაგალითად, როგორია ვიღაცის ლაივ-სტილი, ან ვის უყვარს, ვთქვათ, თრეველინგი.

საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში იყო მაკონტროლებელი, რომ ქართულად სწორად გელაპარაკა. ტოტალიტარულ რეჟიმშიც ახერხებდნენ ქართული ენის დაცვას. ახლა თავისუფლებაა და ნახეთ, რას დაამსგავსეს ქართული ენა.

საქმე რაშია, იცით, არის ფული, არის გავლენა, არის ძალაუფლება და ეს გავლენა აქვს მასმედიას.

**— ანუ მასმედია თუ ხელისუფლება?**

— დიახ, დიახ. ბრძოლა მიმდინარეობს — რომელი უფრო გავლენიანია — ბიზნესი, მასმედია თუ ხელისუფლება. ამ შეჯიბრში გადავედით და უნდა ითქვას, მასმედიამ დიდი გავლენა მოიპოვა თავისთავად, არადა, მას შეეძლო ძალიან სასიკეთო როლი შეესრულებინა ქვეყნისთვის.

დააკვირდით, რამდენი გვარი იცით, რომელთა არსებობა არაფერს გეუბნებათ და თავი გამოჭედილი გაქვთ ამ უინტერესო ადამიანების არსებობით. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც, უბრალოდ, არ გვჭირდება. აი, ვთქვათ, ახალგაზრდამ არ იცის, ვინაა, სიტყვაზე, ფელინი, ან ანტონიონი, მაგრამ იცის სრულიად არაფრისმთქმელი ადამიანების გვარები.

თუ გახსოვთ, ჟურნალისტები გია დვალზე ალაპარაკდნენ, გადაცემებიც მიუძღვნეს და რა მოხდა? — ფიზიკის ფაკულტეტზე ჩაბარების მსურველთა რიცხვმა მოიმატა.

ამიტომ ვამბობ, რომ ჟურნალისტებს ძალიან ბევრი კარგი რამე შეეძლოთ გაეკეთებინათ ქვეყნისთვის და რაოდენ სასმწუხაროა, რომ ამ შანსებს ხელიდან უშვებენ.

არასწორად იქცევიან, იმიტომ რომ, თავში რომ აგივარდება, ზუსტად მაშინ წააგებ ყველაფერს…

კი, ჩამოყალიბდნენ ხელშეუხებელ კასტად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საუკეთესოდ იქცევიან.

ცნობილია, რომ ნეგატივს აქვს თვისება, შემოიკრიბოს ყველა სხვა ნეგატივი. თუ მაყურებელს ტელევიზიიდან ესმის ნებისმიერი ტიპის ნეგატივი, გონება ეძებს თავის თავში მსგავსი ტიპის ემოციებს. ნეგატივს აქვს ეს თვისება, მას სურს, რომ „გაიზარდოს“.

მაგრამ დააკვირდით ტელეჟურნალისტებს, რამდენჯერ ამბობენ სიტყვას — სავარაუდოდ.

ფსიქოლოგებმა კარგად იციან, რომ გონება არაემოციურ სიტყვებს გაისვრის, აგდებს, აი, ასე ვთქვათ, გიორგი, სავარაუდოდ, აფეთქებდა ხიდს. აქ სიტყვა სავარაუდოს მსმენელი ვერ აღიბეჭდავს გონებაში, ის იმახსოვრებს თავად ფაქტს „სავარაუდოს“ გარეშე.

ერთ პატარა სიუჟეტს მოვუსმინე, სადაც ჟურნალისტმა 31-ჯერ თქვა სიტყვა — სავარაუდოდ.

რამდენჯერაც უნდა თქვას ჟურნალისტმა „სავარაუდოდ“, იმდენჯერ ამოვარდება ის ცნობიერებიდან და იქ რჩება მხოლოდ აღნიშნული ფაქტი.

**— „სავარაუდოდ“, როგორ გამოვალთ ამ მდგომარეობიდან?**

— მე ვფიქრობ, დრომ თავისთავად უნდა დაალაგოს ყველაფერი, თორემ რა კანონებიც არ უნდა შემოვიღოთ, ყველამ ვიცით, არსებობს კეთილშობილური კანონები, რომლებიც გამოყენებულია ბოროტად. მე არ მეგულება რეგულაცია, რომელიც არ შეიძლება ვიღაცამ სათავისოდ არ გამოიყენოს.

ადამიანებმა, აუდიტორიამ, ყველა ინფორმაციას ბრმად კი არა, კრიტიკული კუთხით უნდა უყუროს და თუ ერთგვარ ფილტრს დააყენებს თავის გონებაში, მერე აღარ ნახავს ისეთ ინფორმაციას, რაც მას არაფერს აძლევს, შესაბამისად, იმ ტელევიზიის რეიტინგი დაეცემა და გახდება ბანკროტი. სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# მეტი სიცოცხლე ყველა უბანში

## თბილისის მერისა და მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა




**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა თბილისის მერობის კანდიდატის კახა კალაძის წარდგენაზე**

„მთავარი მონაპოვარი, რომელიც ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა მოიტანა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის არის თავისუფლება, მშვიდობა და სტაბილურობა, რომელიც არის საფუძველთა საფუძველი ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. ძალიან ბევრი შეიძლება ვისაუბროთ იმის თაობაზე, თუ რა მიღწევები აქვს „ქართულ ოცნებას“, დაწყებული ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით, უვიზო რეჟიმით, თავისუფალი ვაჭრობის მიღწევით, ჯანდაცვის რეფორმით, სოფლის მეურნეობის სექტორში რეალური, ხელშესახები პროგრესით, ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერით და აშ.. ამაზე მე არ მინდა, რომ დღეს აქ ვისაუბრო, ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, რომ თითოეულ მუნიციპალიტეტში კიდევ ერთხელ შევახსენოთ ჩვენს მოქალაქეებს მიღწეული პროგრესი და ვისაუბროთ ჩვენს მომავალზე.

მე მინდა ჩვენს მოქალაქეებს კიდევ ერთხელ შევახსენო შემდეგი: ყოველი არჩევნები არის განმსაზღვრელი ჩვენი მომავლის, ჩვენი შვილების მომავლის. არჩევნებში მონაწილეობით ჩვენი თითოეული მოქალაქე თანამონაწილე ხდება ჩვენი აწმყოსი და ჩვენი მომავლის. ამიტომ, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის შემდგომი სტაბილური განვითარების განმსაზღვრელია. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი არჩევნები ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. რა თქმა უნდა, ჩვენს ოპონენტებს და დაპირისპირებულ მხარეს სამწუხაროდ, ჩვენდა საუბედუროდ, არ აქვთ რეალური დღის წესრიგი. მათი მთავარი ამოცანაა ჩვენი ქვეყნის დესტაბილიზაცია, მუდმივი არეულობა და ქაოსი.

მე მჯერა, რომ, როგორც დედაქალაქში, რომლიც კანდიდატიც არის უალტერნატივო, ასევე ყველა ქალაქში, ყველა მუნიციპალიტეტში, „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად გაიმარჯვებს და ეს იქნება გარანტი ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების. დიდი მადლობა!

**კახა კალაძე:**

მოგესალმებით მეგობრებო,

პირველ რიგში, მადლობას გიხდით მობრძანებისთვის, მივესალმები პრემიერ - მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, კახა კუჭავას, მთავრობის, პარლამენტისა და საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას, მადლობა მობრძანებისთვის.

მინდა, განსაკუთრებით მივესალმო ჩვენი ქალაქის მოსახლეობას, თბილისელებს, რადგან სწორედ ისინი ქმნიან თბილისის რეალობას და მათზეა დამოკიდებული დედაქალაქის ხვალინდელი დღე.

ყველა პროექტი, რაც ბოლო წლების განმავლობაში განვახორციელეთ, გაკეთდა თბილისელების დაკვეთით, მათი მხარდაჭერით, მათი გულშემატკივრობით.

დღეს, ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი დღეა, რადგან პოლიტიკური გაერთიანება "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" საზოგადოებას წარუდგენს დედაქალაქის ათი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს, ადამიანებს, რომლებსაც თბილისელების მხარდამჭერის შემთხვევაში, ქალაქისა და აქ მცხოვრები თითოეული ადამიანის წინაშე, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო მისია ექნებათ შესასრულებელი.

დღეს, თბილისი ბევრად უფრო მწვანე, ჯანსაღი, კომფორტული და მოწესრიგებული ქალაქია, სადაც აღმოფხვრილია უკანონო მშენებლობები, გვაქვს თანამედროვე, მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც კიდევ უფრო წესრიგდება და კიდევ უფრო განვითარდება, სოციალური პროგრამები, რომლებიც მორგებულია თბილისელების საჭიროებებზე.

მიღწეული წარმატებების კვალდაკვალ, რა თქმა უნდა, კარგად ვხედავთ, რომ კიდევ ძალიან ბევრი გამოწვევა გვაქვს დასაძლევი და ნურავის ექნება ილუზია, რომ ამხელა შრომის გაწევა მხოლოდ ერთ, ან რამდენიმე ადამიანის შეუძლია.

მასშტაბური და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, არსებული გეგმების რეალობად ქცევა და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი, თითოეული პოლიტიკის კუთხით წარმატებული გზის გაგრძელება, შეუძლებელია კვალიფიციური, ერთგული გუნდის გარეშე.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით,




სიამაყით წარმოგიდგენთ ადამიანებს, რომლებიც გასული ოთხი წლის განმავლობაში, სხვადასხვა პოზიციიდან, ჩემთან ერთად წერდნენ სიცოცხლით სავსე ქალაქის ისტორიას.

მაშ ასე, წარმოგიდგენთ თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს:

მინდა, პირველ რიგში, წარმოგიდგინოთ, ჩვენი გუნდის ერთ - ერთი გამორჩეული ლიდერი, დედაქალაქის საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**, რომელიც ჩვენი გუნდის მაჟრიტარობის კანდიდატი იქნება ვაკეში.

მთაწმინდაზე ჩვენს გუნდს წარმოადგენს **ზურაბ აბაშიძე**, დარწმუნებული ვარ, საკრებულოში, ჩვენი გუნდისთვის ის უდიდესი შენაძენი იქნება და მომდევნო 4 წლის მანძილზე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელიც ჩვენი ქალაქის წინაშე დგას.

სამგორში ქართული ოცნების კანდიდატი კვლავაც იქნება ჩვენი გუნდის გამოცდილი წევრი, მოქმედი დეპუტატი **რევაზ სოხაძე**. მინდა წარმატებები ვუსურვო რეზის და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ყველა აუცილებლად გავიმარჯვებთ.

ისანში ჩვენი გუნდის წარმომადგენელი, მოქმედი გამგებელი **კახა ლაბუჩიძე** იქნება, რომელიც დარწმუნებული ვარ, გაიმარჯვებს და გაათმაგებული ენერგიით ამჯერად უკვე საკრებულოდან განაგრძობს საკუთარი რაიონისა და დედაქალაქის სამსახურს.

კრწანისში ჩვენი გუნდის დეპუტატობის კანდიდატი მოქმედი მაჟორიტარი **ლევან ჯაფარიძე** იქნება, რომელიც საკუთარ მოვალეობას გასული წლიდან ასრულებს. დარწმუნებული ვარ, კრწანისელებისთვის სწორედ ლევან ჯაფარიძე იქნება საუკეთესო მაჟორიტარი.

ნაძალადევში ჩვენს გუნდს წარმოადგენს ამ შესანიშნავი რაიონის მოქმედი გამგებელი **ირაკლი ხელაძე**, ის აუცილებლად გაიმარჯვებს და ახლა უკვე საკრებულოდან, მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაციის პირობებში განაგრძობს საკუთარ ქალაქსა და რაიონზე ზრუნვას.

გლდანში მინდა წარმოგიდგინოთ **კონსტანტინე ზარნაძის** კანდიდატურა. კოტემ სულ მცირე დროში, გლდანის გამგებლის მოადგილედ მუშაობის პერიოდში დაამტკიცა, რომ ნამდვილად შეუძლია, ჩემი გლდანელების ღირსეული წარმომადგენელი იყოს.

დიდუბეში, ჩვენი კანდიდატი იქნება **გივი ჩხარტიშვილი**, ენერგიული, თანამედროვე ხედვების მქონე ახალგაზრდა, დარწმუნებული ვარ ის დიდი მოტივაციითა და ენერგიით განაგრძობს ჩემი თბილისელების, დიდუბისა და ქალაქის საკეთილდღეოდ საქმიანობას.

საბურთალოზე მაჟორიტარობის კანდიდატად მსურს **ავთანდილ ცინცაძე** წარმოგიდგინოთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ავთოს მიერ საკუთარი რაიონის კიდევ უფრო განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილით, 4 წლის შემდეგ, თითოეული საბურთალოელი იამაყებს.

ჩუღურეთის რაიონში ჩვენი გუნდის მაჟორიტარობის კანდიდატი ამ ულამაზესი რაიონის მოქმედი გამგებელი **ზურაბ ჩიკვილაძე** იქნება. მას ყოველთვის გულთან ახლოს მიაქვს ჩვენი მოქალაქეების პრობლემები, ძალას არ იშურებს საკუთარი რაიონისა და ქალაქის საკეთილდღეოდ.

დარწმუნებული ვარ, ჩემი თბილისელები მხარს დაუჭერენ ამ კეთილსინდისიერ, კვალიფიციურ და პროფესიონალ კანდიდატებს, სიკეთისა და კეთილდღეობის ელჩებს, რომლებიც ამ სიკეთეს თითოეული თბილისელის ოჯახამდე მიიტანენ. ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ და რაც მთავარია, გავიმარჯვებთ უკეთესი თბილისისთვის.







# განვითარება ყველა რეგიონს

## „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატები

რუსთავი - ნინო ლაცაბიძე
გარდაბანი - დავით კარგარეთელი
მარნეული - კენან ომაროვი
ბოლნისი - დავით შერაზადიშვილი
დმანისი - კობა მურადაშვილი
წალკა - ილია საბაძე
თეთრიწყარო - გიორგი წიკლაური
თელავი - ლევან ანდრიაშვილი
ახმეტა - ალექსი ფიცხელაური
ყვარელი - გივი ზაუტაშვილი
ლაგოდეხი - ჯონდო მდივნიშვილი
გურჯაანი - ზურაბ უტიაშვილი
საგარეჯო - ავთანდილ გულიკაშვილი
სიღნაღი - მალხაზ ბეგიაშვილი
დედოფლისწყარო - ნიკოლოზ ჯანიაშვილი
გორი - ვლადიმერ ხინჩეგაშვილი
კასპი - ვახტანგ მაისურაძე
ქარელი - ზაზა გულიაშვილი
ხაშური - თენგიზ ჩიტიაშვილი
ახალციხე - ირაკლი ლაზარაშვილი
ასპინძა - როსტომ მაგრაქველიძე
ბორჯომი - ოთარ არბოლიშვილი
ადიგენი - გოჩა ქიმაძე
ახალქალაქი - მელქონ მაკარიანი
ნინოწმინდა - ანივარდ მოსოიანი
მცხეთა - დიმიტრი ზურაბიშვილი
დუშეთი - მანანა ნარიმანიძე
თიანეთი - ლევან წიკლაური
ყაზბეგი - შალვა ელოშვილი
ქუთაისი - იოსებ ხახალეიშვილი
ბაღდათი - კახა ენუქიძე
ჭიათურა - გივი მოდებაძე
წყალტუბო - გენადი ბალანჩივაძე
საჩხერე - ლევან ივანაშვილი
სამტრედია - დავით ბახტაძე
თერჯოლა - ლაშა გოგიაშვილი
ტყიბული - დავით ჩერქეზიშვილი
ვანი - ალექსანდრე გოგორიშვილი
ხარაგაული - კობა ლურსმანაშვილი
ხონი - ლადო ჯურხაძე
ზესტაფონი - ვასილ გველესიანი
ამბროლაური - ლაშა ჭიჭინაძე
ონი - სერგო ხიდეშელი
ცაგერი - გიორგი ნემსაძე
ლენტეხი - გიორგი ონიანი
ზუგდიდი - მამუკა წოწერია
წალენჯიხა - გოგა გულორდავა
ჩხოროწყუ - დათო გოგუა
ხობი - დავით ბუკია
სენაკი - ვახტანგ გადელია
მარტვილი - თორნიკე ჯანაშია
ფოთი - ბექა ვაჭარაძე
აბაშა - გიგა გაბელაია
მესტია - კაპიტონ ჟორჟოლიანი
ოზურგეთი - ავთანდილ თალაკვაძე
ლანჩხუთი - ალექსანდრე სარიშვილი
ჩოხატაური - დავით შარაშიძე
ბათუმი - არჩილ ჩიქოვანი
ქობულეთი - ლევან ზოიძე
ხელვაჩაური - ზაზა დიასამიძე
ქედა - როლანდ ბერიძე
შუახევი - ომარ ტაკიძე
ხულო - ვახტანგ ბერიძე











### ახმეტის მერობის კანდიდატის ალექსი ფიცხელაურის წარდგენა

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

...„ჩვენ მერებს ვარჩევთ განსაკუთრებული ყურადღებით. მერი და ყველა ხელისუფალი უნდა ემსახურებოდეს ხალხს, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ხალხის არჩეულები, ხალხის დანიშნულები და მსახურები, გარკვეული ვადით. შესაბამისად, მერისადმი ჩვენი დავალება იქნება მაქსიმალური ყურადღება. მერი უნდა შევიდეს თითოეულ ოჯახში, თითოეულ სოფელში. ადგილზე უნდა გადაუწყვიტოს თითოეული პრობლემა, რომელიც ამა თუ იმ ოჯახს შეიძლება ჰქონდეს. ჩვენ, ცენტრალური ხელისუფლება პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ მაქსიმალურ მხარდაჭერას აღმოვუჩენთ ადგილობრივ ხელისუფლებას, გავუზრდით ბიუჯეტს, წამოვა დამატებითი ფინანსური რესურსები იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი პროგრამა დავაფინანსოთ. ყველა შენობას, ყველა ქუჩას უნდა ჩავუტაროთ რეაბილიტაცია, მეტი სკოლა და საბავშვო ბაღები ავაშენოთ და მეტი სამუშაო ადგილი შევქმნათ“.

### გურჯაანის მერობის კანდიდატის – ზურაბ უტიაშვილის წარდგენა

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

...„არჩევნებს რაც შეეხება - ძალიან მნიშვნელოვანია მოახლოებული არჩევნები. თვითმმართველობის არჩევნებისთვის ჩვენ სრული მობილიზება გვაქვს გამოცხადებული. ისევე როგორც ჩვენ, თქვენთან ერთად, თქვენი მხარდაჭერით ძვირფასო გურჯაანელებო, გავიმარჯვეთ შვიდ არჩევნებში, გავიმარჯვებთ მერვე არჩევნებშიც და გავაგრძელებთ ჩვენი ქვეყნის წინსვლას და განვითარებას. ველისციხის პროექტზე მინდა ასევე აღვნიშნო - აღნიშნული პროექტით ჩვენ კიდევ უფრო მეტად გავაცოცხლებთ ამ რეგიონს. შეიქმნება ერთ - ერთი მართლაც გამორჩეული ტურისტული ადგილი. ველისციხეში 30 მილიონი ლარის ინვესტიციას ვგეგმავთ, დაწყებული გვაქვს ამაზე მუშაობა და სამაგალითო ადგილი გახდება ველისციხე“.

**ირაკლი ღარიბაშვილი.**

### თელავის მერობის კანდიდატის – ლევან ანდრიაშვილის წარდგენა

**პახა პუჭავა:**

მე ვიცი, რომ თელავში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ბოლო წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, არის წყალმომარაგება. არ ვიცი, მართლაც არ მაქვს კითხვაზე პასუხი, რატომ არ იყო მანამდე ეს საკითხი მოგვარებული. ბოლო წლების განმავლობაში ვიცი, რომ ეს საკითხი მწვავედ დგას. ცენტრალური მთავრობის მხრიდან ეს საკითხი საჭიროებდა უფრო მეტ აქტიურ ჩარევას და გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ მე გპირდებით, რომ ჩვენ წელსვე დავიწყებთ ამ პროექტს და თელავს ძალიან მალე ექნება 24 საათიანი წყალმომარაგება. - ირაკლი ღარიბაშვილი

ჩვენ გვყავს მერობის ძლიერი კანდიდატი, ძლიერი გუნდი საკრებულოში და დარწმუნებული ვარ, პირველივე ტურში, 2 ოქტომბერს, ერთმანეთს მივულოცავთ გამარჯვებას. თელავი გაიმარჯვებს.

# ამ უბედურ სააკაშვილს სექსუალური გადახრები ხომ არ დაეწყო, მამაკაცების ლამაზი ტუჩებისკენ რომ გაურბის თვალი?

## მიხეილ სააკაშვილი: ლამაზი ტუჩები და თვალები თუა, აგერ კალაძეს უფრო ლამაზი ტუჩები აქვს და ალასანიასაც ჰქონდა უფრო ლამაზი ტუჩები



მოგეხსენებათ, აგვისტო ყველაზე ცხელი თვეა არა მხოლოდ ჩვენში, არამედ უკრაინაშიც. ფაქტობრივად, ამ პერიოდში დიდი სხვაობა არ არის. ჰოდა, რაკი დიდი სხვაობა არ არის, ამიტომაც აურია ისევ ჩვენმა ყოფილმა „ნაჩალნიკმა“, ჩვენმა ყოფილმა თუქსუსმა მიხეილ სააკაშვილმა.

იცით, არ დაიჯერებთ... ვუყურე მის ბოლო დუპლეტობას და შემეცოდა, ეს ჩემის გადანგრეული, ფაქტობრივად ბომჟია უკვე. თუმცა, არ გეგონოთ, რამეს თმობდეს ან გრძნობდეს, ისე უბერავს, ისე იქცევა, ისე ყელყელაობს, გეგონება გორიდან გამოქცეული გორილა კი არა, ცხენზე ამხედრებული ალექსანდრე მაკედონელია. თავისი ჭკუით, აქეთ ილტვის, აქეთ სჭირდება



დედულს, მამულს, ხალხს, ქვეყანას, სამშობლოს, მე რომ მეცოდება, ჩემს (თქვენს) თვალში რომ ბომჟად გადაიქცა (არც ადრე აკლებდა, მაგრამ რა შედარებაა?), ეგ არაფერი, მიხეილს აქეთ ვეცოდებით. 10 წელიწადი იყო პრეზიდენტი, 10 წელიწადი წიხლქვეშ ჰქონდა გაგდებული დედულიც, მამულიც, ბიძულიც და ბაბულიც. ფეხებზე ეკიდა ყველაფერი, ოღონდ თავისი შანტრაბა ყოფილიყო ბედნიერად. მოკლედ, როცა ჩვენს ყოფილ დუპლეტზე ვიწყებ ხოლმე წერას, კლავიატურა მუდამ გამირბის და ეს ბუნებრივიცაა, 10-წლიანი უბედურება მახსენდება.

მიხეილ სააკაშვილი მუდმივად ამტკიცებს, რომ ის არის ძალიან მაგარი ტიპი, ის არც ერთ ქართველ მეფეს არ ჩამოუვარდება არც სიმამაცით, არც ვაჟკაცობით, არც აღმშენებლობით. აკი არაერთხელ განუცხადებია კიდევაც, მე ვარ ქართული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებელი. ნახეთ, რა მაგრად ჟღერს: „ქართული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებელი“. ეს ტიტული კი მას აძლევს უფლებას... უფრო სწორად, მიხეილი აძლევს თავის გოდორივით თავს უფლებას, ყველაზე მაღლა დადგეს, თვით საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტზე, ნიკოლა სარკოზზე მაღლაც კი. აი, რას აცხადებს მიხეილ დიდი:

„სარკოზს ხელშეკრულება თავზე გადავახიე, სადაც კოსოვიზაციის პუნქტი იდო“!

ეს იმ ხელშეკრულებაზეა საუბარი, მეგობრებო, 2008 წლის აგვისტოში მიხეილი რომ შევარდა ცხინვალში, რუსებმა აქეთ რომ დაგვცხეს, დაგვიფრინეს და საფრანგეთის პრეზიდენტს ეხვეწებოდა, ოღონდ ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა თავი დამანებოს, რასაც მეტყვით, იმას გავაკეთებ, თუ გინდათ, მოკასინებსაც აგილოკავთო. მაშინ რაზე მოაწერა ამ დუპლეტმა ხელი, ჯერ კიდევ არ ვიცით, ისეთ დღეში იყო, კოსოვიზაციაზე კი არა, ნებისმიერ „იზაციაზე“ თანახმა იქნებოდა. ახლა იჭიმება ფაჩიკოს გარმონივით, სარკოზს ხელშეკრულება თავზე გადავახიეო. ეს ეხლა „ბლატაობს“, როცა სარკოზის ფასიც ათი შაურია, თორემ მაშინ კი იყო გაღუნული ყავლგასული ბოძივით. რაის თავზე დამხევი ეს იყო, ეს ოჩოპინტრე, გორიდან რომ დაიწყო ცხვირით მიწის თხრა, დიდ დიღომში ძლივს გააჩერეს.

საერთოდ, გიჟებმა სამშობლოს ამოჩემება იციან, ასეთებს ყოველთვის ჰგონიათ, რომ მიწას, დედულს, მამულს და ეგეთ რაღაცებს ართმევენ. ჩემ სოფელში იყო ერთი, მთელი ცხოვრება სამშობლოს ეძებდა, ყოველ დილით შემოირბენდა ხოლმე ყველა უბანსა და იკითხავდა, ხალხო, აქეთ ხო არ ჩამოუვლია სამშობლოსა? ჰა, არც არაგვ ჩამოუვლია? იქნება აიარა და ვერ დაინახეთ? ეეე, თქვენცა ხართ, რააა, საერთოდ არ გიყვართ მამულიო! და... აჰა, ესეც ზუსტად ეგრეა:

„ვერავინ დამიშლის ჩემი სამშობლოსთვის ბრძოლას, რა მუქარის შემცველი განცხადებებიც არ უნდა მოდიოდეს. ვისაც გჯერათ, რომ ამ ქვეყნას უკეთესი მომავალი აქვს... სააკაშვილი არაფერ შუაშია, ხალხი ჩემ სახელს უკავშირებს უკეთეს ცხოვრებას და პერსპექტივას თავისთვის და თავისი შვილებისთვის. თორემ, ლამაზი თვალებისთვის ნამდვილად არავინ გამომყვება, ლამაზი თვალები და ტუჩები თუა, აგერ კალაძეს უფრო ლამაზი ტუჩები აქვს და ალასანიას ჰქონდა უფრო ლამაზი ტუჩები. აქ საუბარია საკუთარი თავის პერსპექტივაზე”.

ოპააა, ამას დაავადება „სამშობლოს“ გარდა სხვა გადახრებიც დასწყებია და შეჰყრია... მეო, ლამაზი ტუჩები არ მაქვსო, რა ვქნა, შეიძლება მათხოჯიც კი ვარ, მაგრამ ხალხს კაი ცხოვრება უნდა და ამიტომ მითხოვენ ასე დაჟინებითო. რა ვქნა, ეგეთი გამაჩინა დედა გიულიმ, კალაძეს უფრო ლამაზი ტუჩები აქვს, ალასანიასაც ლამაზი ტუჩები ჰქონდაო. ჰმ... უკაცრავად კი ვარ, ხალხო, მოსახლეობავ, მაგრამ ამას სექსუალური გადახრები ხომ არ დაეწყო? არა, მონაცემები ჰქონდა, როგორ არა, უცნაურ რაღაცებსაც აკეთებდა, მაგრამ მამაკაცთა ტუჩებისაკენ თვალები თუ გაურბოდა, ეგ არ ვიცოდი. ეხ, რა დროს არ არის ცოცხლი ზიგმუნდ ფროიდი, თორემ ხომ დაუსვამდა ზუსტ დიაგნოზს ამ რამსებარეულს?

ეს კიდევ არაფერი, ნეტავ მხოლოდ ტუჩებზე მისდიოდეს თვალი, ნეტავ მეტს არაფერს აშავებდეს, ნეტავ მუდმივად სიკვდილი და მკვლელობა არ ახსენდებოდეს, ნეტავ სისხლსა და ძალაუფლების დაბრუნებაზე ფიქრი არ უჭამდეს გულსა და არ უღრღნიდეს ტვინსა. მცირე წერილი (პოსტი), რომელიც ახლა უნდა განახოთ, სააკაშვილს „ფეისბუკის“ გვერდზე გაეპარა, პირადად სწერდა ვიღაც დეგენერატს და რამსები აერია. რამდენიმე წუთში კი წაშალა, მაგრამ ჩასაფრებულებმა დაიჭირეს. მოკლედ, ბატონი მიხეილი ამ მცირე წერილში მთლიანად აშიშვლებს თავის ავ ზრახვებს:

„როგორმე უნდა მოხერხდეს, რომ ეს ტრაგედია, რაც საქართველოში ხდება, ივანიშვილს და ქოცებს დამსახურებულად შეეტენოთ, რადგან რეალურად ეს მათი ბრალია. ეს იქნება საბოლოო და შეუვალი განაჩენი, 15000 ადამიანი დაგვეღუპა აფხაზეთში, აქ თვეში 1000 კაცზე და მეტზე გავალთ. მოკლედ, მძლავრი კამპანია გვჭირდება „ივანიშვილი გკლავს“ ეგეთ სტილში“.

აი, აქ მიხეილს ბატონს ვეღარ ვუწოდებ, კი მეცოდება, მაგრამ უნდა გავკიცხო: შე ჩემის ტრამპა-ცუმპავ, რაღაცას რომ გეგმავ, დამალვა არ უნდა შეგეძლოს? ჰა, დაბერდი და დაყ...ევდი?! აფხაზეთში 15 ათასი დაგვეღუპა, აქ თვეში 1000 კაცზე გავალთო. თვეში ათასი კაცი ცოტა არ არი? მოუმატე, თორემ არაფერი გამოვა, თბილისიდან გატყუებენ, დაახლოებით 5 ათას კაცზე უნდა გახვიდე!

ისე, რაღა დაგიმალოთ და... ნამდვილად არ არის ეს საქმე სახუმარო, ამის მიმდევრებს რომ ვუყურებ, მართლა მართლა გავლენ რაღაც რაოდენობაზე. რა, აქამდე არ გადიოდნენ? რა, აქამდე არ იძლეოდა დავალებას, ფეხმძიმე ქალი თუ მოკვდება, კარგი იქნება, მაგრამ ერთი ჟურნალისტის მკვლელობაც არ იქნება ურიგოვო? რა, არ მოკლეს ოპერატორი, რომელიც შემდეგ ჟურნალისტად მონათლეს? არ მისცეს დიდი დოზა და არ მიატოვეს სადღაც ტყეში? სად არიან მისი ჭირისუფალი ე.წ. ჟურნალისტები? რატომ აცვია ინგა გრიგოლიას ყვავილებიანი და ჭრელა-ჭრულა ტანისამოსი? რატომ აღარ გლოვობენ, ჯერ ხომ 40 დღეც არ გასულა? რატომ დაავიწყდა ყველას ის საწყალი ლაშქარავა, რატომ აღარ ახსენებენ საერთოდ? ააა... არ გამოდგა მისი ცხედარი სარევოლუციოდ, ხომ? ვერ დაინახა საზოგადოებამ ამ საქმეში „ქართული ოცნების“ დანაშაული, ხომ? ვერ დაბრალდა ბიძინა ივანიშვილის ოჯახს ეს მკვლელობა და ვერც ახალი „პაწრო” თუ „კაწრო“ მოიძებნა, ხომ? ეგრეა, ჩაუფლავდა მიხეილს ყველა რევოლუციური სცენარი და ახალს ამზადებს, კოვიდი უნდა გამოიყენოს, ხალხი უნდა დააინფიციროს, თვეში ათას კაცზე უნდა გავიდეს, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა, იქნებ ყველა გაწყდეს და თვითონ როგორმე ჩამოვიდეს? ჩვენ სიბოროტის მეტი რა გვინახავს? თან მისი გაკეთებულიც, მაგრამ ასეთი? არა, ასეთი მე პირადად არ მსმენია.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მიხეილ სააკაშვილი მიხვდა, რომ რაღაც არასახარბიელოდ გაეპარა და წაშლილ პოსტს თავის მართლება კი არა, სხვაზე გადაბრალება მოაყოლა:

„სუსმა, როგორც ჩანს, მოახერხა მაინც ჩემი პეიჯის გატეხვა, უკვე მეორეჯერ, რაღაც სრულიად გაურკვეველი ტექსტით.

ახლა მივწერე **Facebook**-ს რომ დამატებით დაცვები დაამატოს.

მაინც არაფერი არ გამოგივათ მეგობრებო, არც ერთ ამ თემაზე, რომელზეც ახლა ნერვიულობთ. რისი თქმა უნდოდათ, ამ ტექსტით, ეგეც ვერ გავიგე ბოლომდე“.

ბატონ მიხეილს რომ დაეწერა, მეზობლის ბავშვები შეიპარნენ ჩემს ოთახში და იმათ დაწერესო, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, ვიდრე ეს, რაც თვითონ მობოდა. თან იძახის, უკვე მეორედ გამიტეხესო, ამ ტექსტით რა უნდოდათ, ეგეც ვერ გავიგე ბოლომდეო. აჰა, კი არის ქლიავი, მაგრამ ახლა მთლად გამოიქლიავა თავი, მეო, აზრზე არა ვარ, რა დაწერესო, ვითომ ვერაფერს მიხვდა... ვითომ ჯერ არავინ მოუკლავს, არავინ დაურბევის და არავინ უცემია. ვალერი გელაშვილის მცემელს უკვირს, არ ვიცი, ამ ტექსტით რის თქმა უნდოდათო.

რატომ ვირეშმაკობ, მიხეილ, ვის აჯერებ, რომ სუსმა „ფეისბუქი“ გაგიტეხა და რაღაც შენს მაგიერ დაწერა? მაგას ვინ ჭამს ბადრი შუბლაძისა და მეგი გოცირიძის გარდა? დასაწყისში დავწერე, ეს უბედური მეცოდება-მეთქი... შენ კი არა, ჩემი ქვეყანა უფრო მეცოდება, ეგეთი გაფუჭებული და დამპალი რომ ეჯდა პრეზიდენტად. მადლობა კიდევ ერთხელ ბიძინა ივანიშვილს, პანჩურით რომ გაგაძევა აქედან, მაგრამ უკმარისობის გრძნობა გვაქვს, რატომღაც არ ჩამოგათრიეს და გლდანის საპყრობილეში არ გამოგკეტეს. მიუხედავად ამისა, მაინც არ ისვენებ, ღორიშვილებს ფულს აძლევ (ისე არავინ მოგემსახურება) და ქვეყანას არევინებ. არევინებ რა, ფეხები არავის მოსჭამოთ, მაგრამ მაინც არ ვარგა, მაინც დროის ხარჯვად და ნერვების მოთოკვად გვიჯდება ეს ყველაფერი.

გიყურებთ, მიხეილ და ვრწმუნდებით, რომ შენისთანა მოღალატე საქართველოს არ ჰყოლია... არა, მოღალატეების მეტი რა გვყავდა, მაგრამ შენ სულ სხვანაირი ხარ, თავი აღმაშენებელი გგონია და ამ დროს ერთი უბრალო ცუცურაკი ხარ, მშიშარა, ჰალსტუხის მღეჭავი, მიწაზე ოთხით მხოხავი. თვეში ათას კაცზე გავალთო, არა? ვაი, შენს პატრონს!



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „მოლოდინის რეჟიმში“, ანუ „თელასი“, „თელმიკო“, „ჯორჯიან უოთერი“, „საქართველოს ფოსტა“... გისმენთ



წინა კვირას სამსახურიდან სახლში საღამოს 9 საათზე დავბრუნდი – გაოფლილი, ტრანსპორტში ნამყოფი – მტვრიანი და გადაღლილი.

მისვლისთანავე მივვარდი ონკანს.

ხრრრ. – უიმედოდ გაისმა მილიდან.

ცოტათი კი გამიკვირდა: „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ იცოდა მესიჯების გამოგზავნა და გაფრთხილება.

– არა უშავს, ცოტა წყალი მაქვს, ხელ-პირს დავიბან, მით უფრო, რომ პანდემიაა, – გავიფიქრე და იმ იმედით დავიძინე, რომ მომდევნო დილით წყალი უკვე იქნებოდა.

დილას, რა თქმა უნდა, წყალი არ მოსულა.

დღის განმავლობაში ჩემს ტელეფონზე რამდენიმე მესიჯი მოვიდა – ალბათ, წყლის კომპანიაა, ვფიქრობდი მე.

მაგრამ იმ საღამოსაც არ მოსულა წყალი.

არც მეორე დღეს.

გამახსენდა ომის მდგომარეობა – ლენინგრადის ბლოკადა.

ვიფიქრე: პოლიტიკურად მდევნიან, იზოლაციაში მაქცევენ, მე მიწყობენ ამ ამბავს... ახლა წახდი, ჩემო ირანდა, ჭკად წაგივიდა საქმე-მეთქი.

და მესამე დღის დილით შიშით და ძრწოლვით მივუახლოვდი ონკანს.

10 საათი იყო. წყლის ონკანში ისევ ჰაერის შიშინი ისმოდა.

სმს-ები კი წკაპაწკუპით მოდიოდა ჩემს ტელეფონზე – „თელასი“, „თელმიკო“, „საქართველოს ფოსტა“ ერთად მიგზავნიდნენ შეტყობინებებს.

დაიფიცეთ: თქვენ რას იფიქრებდით?

ახლა ადამიანი სულ ცუდს ფიქრობს.

ვალიდოლი დავიდე ენის ქვეშ და სმს-ების კითხვას შევუდექი.

„თელასი“ მატყობინებდა, რომ აგვისტოს თვის დავალიანება დასაფარია.

„თელმიკო“ იუწყებოდა: სასწრაფოდ დაფარეთ აგვისტოს თვის დავალიანება.

გასულ, ივლისის თვეში, შეგვატყობინეს, რომ „თელასს“ „თელმიკო“ ცვლიდა. ამიერიდან ელექტროენერგიის საფასურს „თელმიკოს“ გადაუხდიდით, მანამდე კი „თელასის“ მომსახურების საფასური დაფარეთ და რადგან შუა თვიდან „თელმიკომ“ დაიწყო ფუნქციონირება და მომსახურების გადასახადი მასაც გადაუხადეთო.

გაუგებარია, რა აუცილებლობით დაიწყო „თელმიკომ“ შუა თვეში ოპერირება. რატომ ვერ მოითმინა ან „თელასმა“ ან „თელმიკომ“ 15 დღე, მაგრამ, ჯანდაბას, იყოს ისე, როგორც „თელმიკოს“ სურს და მეც, როგორც კანონმორჩილმა, პატიოსნად გადავიხადე ივლისის თვეში ორივეს მოთხოვნილი თანხა.

სხვათა შორის, უნდა ვაღიარო, რომ ივლისში ელექტრომომარაგების კომპანიებთან დაკავშირებით გაწამაწიაში დავიბენი და მხოლოდ „თელასის“ გადასახადი გადამიხდია. ამიტომ ბოლო დღეს ისევ შემახსენა „თელმიკომ“ გადაიხადეო. მეც დაძაბული დღისგან სასოგამოცლილმა, 12-ის ნახევარზე სახლში რომ მივლასლასდი, დავწექი და ტელეფონში წერილებს რომ ჩავხედე, მაშინ აღმოვაჩინე „თელმიკოს“ „თხოვნა“ – სასწრაფოდ გადამიხადე, თორემ ელექტროენერგიას შეგიწყვეტო.

თვალთ დამიბნელდა, პერანგისამარა წამოვხტი, ვტუცე ფეხი ჩუსტებში და ნერვებაშლილი და თმაგაშლილი ქუჩაში გავექანე გადახდის აპარატისკენ.

12 საათამდე მოვასწარი გადახდა და სახლის კიბეებზე რომ ამოვდიოდი, მაშინღა შევამჩნიე, ცალ ფეხზე ჩუსტი რომ მეცვა და მეორეზე ბოტასი, მაგრამ, მიხაროდა – ვალი გადახდილი იყო და „თელმიკო“ კმაყოფილი...

იმ ღამეს მშვიდად დავიძინე, არ მქონდა ვალი, მაგრამ ეს იყო გასულ თვეს.

როგორც გითხარით, ამ თვეშიც იგივე განმეორდა.

ყოველ თვე ორივე კომპანიას რომ უნდა ვუხადო, რა ვალი მაქვს ასეთი? – თერმობირთვული ქარხანა მე არ გამიხსნია და ტანსაცმლის მწარმოებელი ფაბრიკა – რით ვერ ამოვედი „თელასის“ და „თელმიკოს“ ვალიდან-მეთქი, ვიფიქრე და ავკრიფე „თელასის“ ცხელი ხაზის ნომერი – 2779999 – სრულიად უწყინრად.

გარკვევა მინდა, უბრალოდ.

ვრეკავ.

ისმის სასიამოვნო მელოდია და მომხიბლავი ხმა: თქვენ იმყოფებით მოლოდინის რეჟიმში. ოპერატორი მალე გიპასუხებთ.

ეჰ, ჩემო „თელასო“, მოლოდინის რეჟიმში ვარ მთელი ცხოვრება, მაგით გამაკვირვებ? – იქედნურად ვიღიმები და ჯიუტად ველოდები, როდის მიპასუხებს „თელასის“ ოპერატორი, რომ გამარკვიოს – ამ თვეშიც რატომ მავალდებულებენ ორივე კომპანიას გადავუხადო?!

„თელასი“ კი უკვე 20 წუთია, ძველი საათის თუთიყუშივით ყოველ სამ წუთში თითქოს პირდაპირ თავში მიკაკუნებს:

ოპერატორი მალე გიპასუხებთ!

დაწყნარდი ირანდა, ასეა საჭირო, ეტყობა, ბევრი მომხმარებელი აწუხებთ, საკუთარ თავს ვებაასები მე.

პასუხი კი არ არის.

20 წუთის მერე გადავწყვიტე: მოდი, „თელმიკოსთან“ დავრეკავ, იქნებ მისმა პასუხმა გაგარკვიოს, რატომ მოგივიდა ორი კომპანიის გადასახადი, მით უმეტეს, რომ დრო გაქვს, წყალი მაინც არაა, სამი დღის დაუბანელი ამ სიცხეში ისეც ვერ წახვალ სამსახურში, ცხადია, ამას არ იზამ – სხვამ რომ არა, გელა ზედელაშვილი მაინც გამაქილიკებს – კოვიდის შემდეგ ბატონ გელას ყნოსვა გაუმძაფრდა, ხოლო ისედაც მწარე ენა კიდევ უფრო გაუწარდა...

ხოდა, მეც მოტივაცია მაქვს – არ უნდა დამცინონ! „ბრძოლის“, ბრძოლის რა, საკითხის გარკვევის განწყობაც ამაღლებულია. ვთიშავ „თელასის“ ცხელ ხაზს და ვრეკავ „თელმიკოში“ – 25000777.

ტელეფონში ისმის კვლავ მომხიბვლელი ხმა: მოგესალმებათ კომპანია „თელმიკო“. თქვენ იმყოფებით მოლოდინის რეჟიმში. გთხოვთ დაიცადოთ.

თქვენ მაჯობებთ? – ავიძაგრე მე. საღამომდე რომ ვრეკო, მაინც არ მოგეშვებით, – ვთქვი გუნებაში და ჩავუჯექი „მოლოდინის რეჟიმს“...

...ნახევარი საათის მეტი ვერ გავქაჩე.

მაჯობა ოხერმა „თელმიკომ“.

გავთიშე ტელეფონი და ელექტროენერგიის მომწოდებელი ამ ორი კომპანიის ჯინაზე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ დარეკვა გადავწყვიტე – ნახეთ, ესენი თუ არ მიპასუხებენ, – ვთქვი ჩემთვის.

– მოგესალმებათ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცხელი ხაზი. თქვენ ხართ რიგში მე-7. გთხოვთ დაიცადოთ, – გაისმა ხმა.

ოოო, ეს უკვე პროგრესიაა.

წინ გადავდგი ნაბიჯი.

მე-7 ვარ და ოდესმე პირველი ხომ ვიქნები?

მოვკალათდი და მოთმინებით დავწყე ლოდინი ჩემს რიგამდე.

დროდადრო ისმოდა ხმა: თქვენ ხართ რიგში მე-6, მე-5, მე-4, ლამის გული გამიჩერდა, ჰა და ჰა, პირველი ვიქნები...

სანატრელი ხმაც გაისმა: თქვენ ხართ რიგში პირველი.

სული შევიგუბე, თავში აზრები დამიტრიალდა, პირველი კითხვა იქნება: მოგესალმებით, გმადლობთ, რომ მიპასუხეთ, ამით დავიწყებ, – გადავწყვიტე, და უცებ, წკაპ. გაითიშა კავშირი.

ხელახლა დარეკვას აზრი აღარ ჰქონდა.

კიდევ ერთი კომპანია – „საქართველოს ფოსტა“ მყავდა „დასაწიოკებელი“ – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა მოეტანათ იმ დღის დილის 11 საათზე, ახლა უკვე სამი საათი იყო და ფოსტის კურიერი არ ჩანდა.

– ხარჯი ხარჯია, – გავიფიქრე. მოდი, დავრეკავ „საქართველოს ფოსტაში“ იქნებ, იქ მაინც მიპასუხონ და მერე, რომ მიპასუხებენ, მე გავყოყოჩდები და ახალი ძალით შევუტევ კვლავ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ და „თელასსა“ და „თელმიკოს“.

ვრეკავ საქართველოს ფოსტის ცხელ ხაზზე – 2240909.

– მოგესალმებათ „საქართველოს ფოსტა“. გთხოვთ დაგველოდოთ.

სხვა გზა, პრინციპში, არც არის. ისედაც ვიცი, რომ უნდა დაველოდო და მეც ვიცდი. გადის 3 წუთი, ხუთი, ათი და უცებ:

– ოპერატორი თიკო გისმენთ. რით შემიძლია დაგეხმაროთ? – ისმის სანატრელი ხმა.

აჰ, გაიხარე, „საქართველოს ფოსტავ“, აი, ხალხი! გენაცვალეთ, ხმა რომ გამაგონეთ, თქვენი ჭირიმეთ, ეგეც თქვენ, „თელასი“, „თელმიკო“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“, ხომ მიპასუხა „საქართველოს ფოსტამ“? მპუა...

– იცით, მე უნდა მიმეღო პირადობის დოკ...

უცებ გაწყდა კავშირი.

ახლა უკვე ცოტა დავიძაბე.

მაგრამ, კარგი, რა, ნერვებს ხომ არ უნდა აყვე, – ვეუბნები საკუთარ თავს და კვლავ ვრეკავ ენთუზიაზმით: ხომ მიპასუხეს ერთხელ, ხოდა, მეორედაც მიპასუხებენ.

ვრეკავ. ისევ მეუბნებიან, თქვენ იმყოფებით რიგში მე-7. გთხოვთ დაიცადოთ.

ძალა აღარ მაქვს, მაგრამ სხვა რა გზაა, ვზივარ დაუბანელი, თმაგაწეწილი, ნერვებდაძაბული, უწყლოდ, უნუგეშოდ, „მოლოდინის რეჟიმში“ და ისმის ხმა: მოგესალმებათ „საქართველოს ფოსტა“, ოპერატორი მარი გისმენთ.

– მარი, – აღმომხდა მე, – საყვარელო...

– დიახ, ქალბატონო, გისმენთ, – მესმის კატეგორიული ხმა და ვხვდები, რომ აქ ფამილარობა ზედმეტია, შეიძლება, ამჯერად, გაბრაზების გამო გამთიშონ.

– ჩემთვის დღეს 11 საათზე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა მოეტანა თქვენს კურიერს. ახლა უკვე ოთხი საათია, როდის მომიტანენ, ხომ არ იცით?

– იცით, ქალბატონო, თუ უნდა მოეტანათ, მოიტანენ.

– მაგრამ 11 საათზე?..

– ჩვენ ვერ ვუკავშირდებით კურიერებს და არ ვიცით, როდის მოგიტანენ. დაელოდეთ. – მაწყვეტინებს მარი და თიშავს კავშირს.

დავრჩი სახტად.

თვალები გადიდებული მაქვს და თვალის კაკლები ნელ-ნელა წარბებს უახლოვდებიან, ქვედა ტუჩი დაბლა მიიწევს, წნევაც დაბლა-დაბლა მიდის.

არაქათგამოლეული სავარძელზე გადავესვენე.

ონკანიდან ისევ ისმოდა ჰაერის შიშინი.

მწყუროდა, დაღლილობისგან და ბრძოლისგან ძალა მქონდა გამოცლილი და ერთ წერტილს ვიყავი მიშტერებული.

ხელში ტელეფონი მქონდა ჩაბღუჯული. ამ დროს გაისმა ხმა: გამარჯობათ, ოპერატორი თეკო გისმენთ.

როგორც ჩანს, აკანკალებული ხელი ბოლო აკრეფილ ნომერს დაეჭირა და „საქართველოს ფოსტიდან“ მიპასუხეს.

– თეკო, – აღმომხდა მე.

– დიახ, ქალბატონო, გისმენთ, – ისმოდა ნარნარი, კისკისა ხმა.

– მომისმინეთ: 10 საათის მერე ვრეკავ „თელასში“, „თელმიკოში“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ არავინ არ მპასუხობს, თქვენთან ამჯერად, ძლივს დავკავშირდი, არ გამითიშოთ.

– არ ვთიშავთ, ქალბატონო.

– იმის მიუხედავად, რაც ვიწვალე, საერთოდ არ მაქვს ნერვები მოშლილი, თეკო, მაგრამ იქნებ, მიპასუხოთ: გუშინ მომივიდა სმს, რომ დღეს დილის 11 საათზე მივიღებდი ჩემი პირადობის მოწმობას, ახლა 5-ის ნახევარია. მომიტანენ დღეს დოკუმენტს?

– არ ვიცით, ქალბატონო, დაელოდეთ. დღეს თუ არ მოგიტანეს, ხვალ უეჭველად მოგიტანენ, მაგრამ ხვალაც თუ არ მოგიტანენ, მაშინ ჩვენთან უნდა მობრძანდეთ.

– კი, მაგრამ, მაშინ სმს რატომ მიგზავნით, რომ დღეს 11 საათზე მომიტანენ? რა სიძნელეს წარმოადგენდა იმ შინაარსის შეტყობინების გამოგზავნა, რომ ნათლად ეწეროს: ხვალ 11 საათზე თუ არ მოგიტანეს, მოგიტანენ ზეგ ან საერთოდ არ მოგიტანენ. მაშინ ხომ არ დავჯდები და მთელი დღე არ დაველოდები?

– არ ვიცი, ქალბატონო, მე არ მეხება. – მეუბნება ასე 16–17 წლის თეკო. როგორც ჩანს, ამ ბაღლსაც სუსტი ნერვები ჰქონდა და მემშვიდობება ისე, რომ მაინც ვერ ვიგებ, მომიტანენ თუ არა ვადის გასვლის გამო გამოცვლილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელშიც იუსტიციის სახლში 150 ლარი მაქვს გადახდილი...

საბოლოო ჯამში, „თელასის“ და „თელმიკოს“ გადასახადს ვიხდი ცალ-ცალკე, რათა ელექტროენერგია არ გამომირთონ.

ვიხდი და არ ვიცი, რატომ ვუხდი ელექტროენერგიის მომწოდებელ ორივე კომპანიას.

ამასობაში დასუფთავება ცალკე მთხოვს, გადავიხადო თანხა.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზი მიბრძანებს, რომ დავფარო მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური.

ადრე ერთად ვიხდიდი, ახლა თვეში ოთხჯერ თუ ხუთჯერ ვიხდი სხვადასხვა გადასახადს.

რაც შეეხება „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ მეგობრებო, წყალი მოვიდა, ოხ, დიახ, მოვიდა, ოღონდ, მესამე დღეს.

ამოვისუნთქე.

მენიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში „თბილისის ბლოკადა“ ჯერ არ დაწყებულა, ჯერჯერობით ჩემს წინააღმდეგაც არაა გაშლილი ტერორისტული ბრძოლა...

სემეკმა გასულ კვირას „თელასი“ და „თელმიკო“ ზედმეტად გაწერილი თანხების გამო დააჯარიმა, თუმცა ჩვენ არავინ დაგვიბრუნებს გადახდილ ფულს...

ვინაა გამკითხავი?

ვინ მიხედავს კერძო კომპანიებს და ვინ დაიცავს მომხმარებელთა უფლებებს?

ვინც გაუძლებს, ის გადარჩება?..

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# ისრაელში კორონავირუსის საწინააღმდეგო პრეპარატი შექმნეს, რომელმაც მძიმე პაციენტების 90% ხუთ დღეში გამოაჯანმრთელა

## ვუჰანში, ვირუსებზე სახიფათო კვლევებს აშშ აფინანსებდა? – ამერიკელი სენატორის სკანდალური განცხადება



2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსის, კოვიდ-19-ის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა. მას შემდეგ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები ვირუსის წარმოშობის წყაროს დადგენას და სამკურნალო საშუალების პოვნას ცდილობენ.

ბრიტანული გამოცემა **The Independent**-ის ცნობით, ბრიტანეთს კორონავირუსთან ბრძოლის




გეგმა ჯერ კიდევ 16 წლის წინ ჰქონდა, შემდეგ კი ის უბრალოდ, დაკარგა.

გამოცემის ინფორმაციით, კორონავირუსის პანდემიის დროს სამოქმედო გეგმა 2005 წელს, მას შემდეგ შეიქმნა, რაც ჩინეთში ატიპიური პნევმონიის ვირუსი, იგივე **SARS** აღმოაჩინეს.

დაკარგული დოკუმენტი შეიცავდა რეკომენდაციებს თვითიზოლაციის რეჟიმის შემოღების, მოქალაქეთა გადაადგილების შეზღუდვის, ტესტირებისა და დამცავი აღჭურვილობის აუცილებლობაზე.

აქვე საუბარი იყო ტესტირების ჩატარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და დამცავი აღჭურვილობის დიდი მარაგის შექმნაზე. პანდემიის გამოცხადების შემდეგ ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა, რომ მოქმედების გეგმაზე მუშაობა ნულიდან დაეწყო. მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრის აზრით, ამით ბრიტანელებმა ათიათასობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შანსი ხელიდან გაუშვეს. საბოლოოდ, გეგმა იპოვეს, მაგრამ ძალიან გვიან..

ისრაელი კი დროს არ კარგავს და კორონავირუსის სამკურნალო მედიკამენტის შექმნაზე მუშაობს. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ებრაელმა მეცნიერებმა მიზანს მიაღწიეს – ღეროვანი უჯრედების საფუძველზე შექმნილმა წამალმა ტესტირების პირველი ეტაპი წარმატებით გადალახა.

ვინაიდან მასობრივი ვაქცინაციის შემდეგ ისრაელს მძიმე მდგომარეობაში მყოფი კოვიდინფიცირებულები აღარ ჰყავს, კვლევა საბერძნეთის საავადმყოფოებში ჩატარდა.

ისრაელის მედიის ინფორმაციით, ექსპერიმენტული პრეპარატით მკურნალობის შემდეგ მძიმე კოვიდინფიცირებულთა 93%-მა საავადმყოფო ხუთ დღეში დატოვა.

ამჟამად, მედიკამენტი საცდელი პერიოდის მეორე ფაზას გადის.

მთავარი მკვლევარის, ტომერ ბრონშტეინის განმარტებით, კომპანია **Bonus BioGroup** ღეროვან უჯრედებს მრავალი წელია სწავლობს, რომ ძვლოვანი ქსოვილის მიღება შეძლოს. კვლევამ აჩვენა, რომ ღეროვან უჯრედებზე დაფუძნებული პრეპარატი ქირურგიისა და ორთოპედიის გარდა, შეიძლება **COVID**-ის სამკურნალოდაც ძალიან ეფექტური იყოს.

„ღეროვან უჯრედებს იმუნური სისტემის დამამშვიდებელი თვისება აქვთ და სასწრაფო დახმარების მსგავსად მოქმედებენ. მათ დაზიანებული ქსოვილების აღდგენა იმუნური სისტემის დამშვიდებით შეუძლიათ. ჩვენ ამ უჯრედებს პირვანდელი სახით არ ვიყენებთ. პაციენტის სხეულში ანთებითი პროცესების წინააღმდეგ ეფექტის გასაძლიერებლად, მათში გარკვეული ცვლილებები შეგვაქვს. პაციენტები ამბობენ, რომ ნამდვილი სასწაული მოხდა – ბევრ მათგანს კვირების მანძილზე დაძინება არ შეეძლო და სუნთქვა უჭირდა. პრეპარატის მიღებისთანავე, სურათი შეიცვალა. ახლა მათ სუნთქვაც შეუძლიათ, დაძინებაც და სიარულიც, როცა ადრე ნაბიჯის გადადგმაც კი ტკივილს აყენებდათ. უკვე დადასტურებულია, რომ პრეპარატი ეფექტურად კურნავს პნევმონიას და მძიმე პაციენტების 90% თერაპიის დაწყებიდან რამდენიმე დღეში გამოჯანმრთელდა. კორონავირუსის სამკურნალო წამლის ღირებულება საკმაოდ დაბალია, რაც მას ყველასთვის ხელმისაწვდომს ხდის" – ამბობს კვლევის ერთ-ერთი ავტორი იში მარეცკი.


ენტონი ფაუჩი

სანამ ისრაელში კორონავირუსის საწინააღმდეგო პრეპარატი კლინიკური ცდების ეტაპებს გადის, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ძალით იფეთქა დაპირისპირებამ თემაზე – აფინანსებდა თუ არა შტატები ვუჰანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტში სახიფათო კვლევას?

პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მთავარი მრჩეველი ჯანდაცვის საკითხებში, დოქტორი ენტონი ფაუჩი ასეთ ვარაუდებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

### და მაინც, რას გულისხმობს „ფუნქციის შეძენის" კვლევა?

ორგანიზმის მუტაციების შედეგად, ფუნქციების ანუ ახალი შესაძლებლობების შეძენა როგორც ბუნებრივ გარემოში, ასევე ლაბორატორიებში ხდება. ამ დროს მეცნიერები მიზანმიმართულად ცვლიან ორგანიზმის გენეტიკურ კოდს ან მას სხვადასხვა გარემოში განათავსებენ. მაგალითად, მკვლევარები ცდილობენ შექმნან გვალვაგამძლე მცენარეული ჯიშები ან კოლოები ისე შეცვალონ, რომ სხვადასხვა ინფექციის გადატანა ვეღარ შეძლონ.



როდესაც „ფუნქციების შეძენის" კვლევის ობიექტი ადამიანისთვის მავნე ვირუსია, მუტაციის შედეგად უფრო მავნე, გაცილებით გადამდებ და საშიშ ვირუსებს იღებენ.

მეცნიერები განმარტავენ, რომ ასეთი ვირუსების შექმნის პოტენციური რისკები გამართლებულია, რადგან ისინი საშუალებას გვაძლევენ გავიგოთ როგორ იცვლებიან ვირუსები დროთა განმავლობაში, საშუალებას გვაძლევენ შევქმნათ წამლები და ვაქცინები, რომლებიც მათგან დაგვიცავს და შესაბამისად, უკეთ მოვემზადოთ მომავალი ეპიდემიებისა და პანდემიებისთვის.

### აფინანსებს თუ არა აშშ ჩინეთში ვირუსების კვლევას?

დიახ, ამ მიზნით, გარკვეული თანხა მართლაც გამოიყო. დოქტორი ფაუჩი მხოლოდ პრეზიდენტ ბაიდენის მრჩეველი კი არა, ალერგიისა და ინფექციური დაავადებების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორიცაა, რომელიც აშშ-ის „ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის" **(NIH)** ნაწილია. ამ ინსტიტუტმა ნამდვილად გადარიცხა თანხა ამერიკული ორგანიზაციის ანგარიშზე, რომელიც ვუჰანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობდა.

ამ ამერიკულ ორგანიზაციას **EcoHealth Alliance** ქვია და 2014 წელს მან ღამურებში კორონავირუსების კვლევის მიზნით „ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის" ანგარიშიდან 3.7 მილიონი აშშ დოლარი მიიღო.

მიმდინარე წლის მაისში დოქტორი ფაუჩი საზოგადოებას არწმუნებდა, რომ **NIH** არასოდეს აფინანსებდა ვუჰანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის „ფუნქციების შეძენის" კვლევებს. თუმცა, სენატის ერთ-ერთ მოსმენაზე, სენატორმა რენდ პოლმა ამ საკითხთან დაკავშირებით დოქტორ ფაუჩის საჯაროდ ჰკითხა და შეახსენა, რომ კონგრესის მოტყუება დანაშაულია.

**BBC**-სთვის მიცემულ ინტერვიუში ებრაიტმა განმარტა, რომ ჩინელმა მეცნიერებმა ახალი, ხელოვნური ვირუსები შექმნეს, რომლებიც ორიგინალურ ვარიანტებზე უფრო გადამდები და საშიშია.

„ამ სამუშაოს თავისუფლად შეიძლება „ფუნქციის შეძენის" კვლევა ვუწოდოთ" – ამბობს პროფესორი ებრაიტი. მისივე თქმით, ეს შეესაბამება მსგავსი კვლევების 2014 წლის ოფიციალურ განსაზღვრას, როდესაც აშშ-ის მთავრობამ ბიოუსაფრთხოების გათვალისწინებით, ასეთი კვლევების დაფინანსება შეწყვიტა.

აშშ -ის სენატში მოსმენაზე დოქტორმა ფაუჩიმ განაცხადა, რომ ექსპერტებმა არაერთხელ შეაფასეს ჩინური კვლევები და დაასკვნეს, რომ ისინი „ფუნქციის შეძენის" განსაზღვრას არ შეესაბამებიან. გარდა ამისა, ფაუჩიმ აღნიშნა, რომ იმ ვირუსების კორონავირუსად გარდაქმნა, რომლებზეც ექსპერიმენტები ტარდებოდა, მოლეკულურ დონეზე შეუძლებელია, თუმცა დეტალებზე ყურადღება აღარ გაუმახვილებია.

„ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი" და **EcoHealth Alliance** ასევე უარყოფენ, რომ დააფინანსეს ან წაახალისეს ჩინეთში საშიში ვირუსების შექმნა. ამ ორმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მათი ფულით ჩინელი მეცნიერები მოლეკულურ დონეზე სწავლობდნენ ღამურებში ახალ ვირუსებს და ვირუსების ზედაპირზე საცეცისმაგვარი ცილის გაჩენას, რომლის დახმარებითაც ვირუსი უჯრედზე მაგრდება. მათი თქმით, კვლევა არ ითვალისწინებდა მიზნობრივი მუტაციების შექმნას, რომლებიც გავლენას მოახდენენ გარემოზე, ორგანიზმის განვითარებაზე ან ფუნქციურ შესაძლებლობებზე.

ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის დოქტორმა რალფ ბარიჩმა, რომელიც ვუჰანის ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობდა, **Washington Post**-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ 2015 წლის ერთობლივი მუშაობა ჩინელებთან „ჯანმრთელობის ეროვნულმა ინსტიტუტმა" და მისი უნივერსიტეტის ბიოუსაფრთხოების კომიტეტმა შეაფასა და დაასკვნა, რომ კვლევა „ფუნქციის შეძენის" კატეგორიაში არ განიხილება.

გარდა ამისა, დოქტორ ბარიჩის თქმით, „ჩინური პროექტის" ფარგლებში შესწავლილი არც ერთი ვირუსი პანდემიაში დამნაშავე **Sars-Cov-2** კორონავირუსს არ უკავშირდება. დოქტორმა ბარიჩმა განაცხადა, რომ მათ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ვირუსებს ადამიანების ინფიცირების უნარს „შინაგანი მახასიათებლები" აძლევენ.

„ჩვენ არასოდეს შეგვიტანია მუტაციები ვირუსის საცეცებში, რომ მათი უნარები გაგვეძლიერებინა" – განაცხადა ბარიჩმა.

**ნელი თორდია**

# „ქინაქინადან“ „ფაიზერამდე“, ანუ რატომ გამაციმბირეს გაგანია ზაფხულში?





### უმძიმესი პროლოგი

ძალიან ცუდი დრო დაგვიდგა. ცუდიც არის და ცუდიც. მე ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში უკვე დავწერე, როგორ გადავიტანე კოვიდ-19, როგორ დავინფიცირდი, რა სიმპტომები იყო, რა სირთულეები გამოვიარე და ასე შემდეგ. კორონა 11 მაისს დამიდასტურდა, ექიმებმა მითხრეს, 12 დღეში განიკურნები, ანუ მდგომარეობიდან გამოხვალ და შემდეგ სახლიდან გასვლაც შეგეძლებაო. კიდევ კარგი, სოფელში მოვხვდი, კახეთში, ამან უფრო გამიიოლა (ჰაერი თბილისთან შედარებით უკეთესია) ვირუსთან ბრძოლა და როგორც იქნა, ჩავამთავრე 12-დღიანი ციკლი. შემდეგ იყო 2-თვიანი პერიოდი, ორგანიზმიდან ვირუსის სრულად გამოდევნის პროცესი. ამაზე დაწვრილებით უკვე მოგახსენეთ, ახლა მინდა მოგითხროთ პოსტკოვიდურ სიტუაციაზე, რაც არანაკლებ (შეიძლება უფრო მძიმეა) რთულია, ვიდრე კოვიდთან 12-დღიანი ბრძოლა. სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე აღარ ვაპირებდი წერას, უკვე მომბეზრდა სიკვდილზე ფიქრი, აქამდე ასეთი საშინელი პერიოდი არც მე მქონია და არც თქვენ... არ ვიცი, ძველები იტყოდნენ ხოლმე, მე-20 საუკუნის დასაწყისში, უფრო მეტად 20-იან წლებში ხალხი ძაან მაგრად იკაჭებოდაო. სიტყვა „იკაჭებოდა“ ჩვენზე მაინც და მაინც მძაფრ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა, რადგან ის უკვე გაფერმკრთალებული წარსული იყო. მალარიაო, შავი ჭირიო, ციება და ცხელებაო, შიშით იტყოდნენ ხოლმე ბებიები და თავებს გადააქნევდნენ. ჰო, მაშ, მემრე იყო „ქინაქინა“ და „სტრეპტოციდი“. დუტუ მეგრელმა „ქინაქინას“ მოთხრობაც კი მიუძღვნა, სადაც აღწერილია, თუ როგორ ოცნებობს პატარა მიხა ამ წამალზე, რათა დედას დაალევინოს და ფეხზე წამოაყენოს. მაშინაც ბევრი ხალხი გამწყდარა, მაგრამ უკვე მოგახსენეთ, როცა ბებიები ამაზე სწუხდნენ (ზოგიერთი ახლაცა სწუხს), ჩვენთვის, ბავშვებისთვის, თუნდაც შემდეგ ბევრს არაფერს ნიშნავდა. ალბათ გავა დრო, ეს უბედურებაც გადაივლის, კორონასაც დაამარცხებს კაცობრიობა და ჩვენც ხშირად გადავაქნევთ თავებს, გავიხსენებთ, რა იყო და როგორ იყო. ჩვენი შთამომავლები ალბათ მოგვისმენენ (შეიძლება არც მოგვისმინონ), მაგრამ არა მგონია, დიდად განიცადონ. ასეთია ცხოვრება, ყველა ეპოქას თავისი უბედურება სჭირს, ყოველ საუკუნეში რაღაც არასასიამოვნო ხდება და როგორ დავემდუროთ ან განგებას, ან ბუნებას, როცა ყოველივეში ადამიანის ხელი ურევია?!

ჩვენი ყოველდღიური ყოფა რაღაცნაირი გახდა, ნაცრისფერი და ცივი, გეგონება ირგვლივ ყველაფერი გახუნდა, გაცვდა, გაიცრიცა. ყოველ დილით კვდება ვიღაც ახლობელი — მეზობელი, მეგობარი, ნათესავი. ბოლო რამდენიმე დღეა, თბილისში მეზობლები იხოცებიან, დილით გავიღვიძებ, ღმერთს მადლობას ვეტყვი, რომ თვალები გამახელინა, გავალ აივანზე, სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავ და რომელიმე მეზობელი გამომძახებს:

— გაიგე, ბიჭო, ვანო რომ მოკვდა?

— აბა ვანო?

— ეგე, მეექვსეზე რო ცხოვრობდა!

— ვააა, აუუუ... ეგეცა, კაცო, ეგეცა? რამ მოკლა, კორონამ?!

— არ ვიცი, რავი, სოფელში იყო და გული გაუჩერდაო!

— ოოოხ, რა უბედურებაა? ახალგაზრდა კაცი!

ყოველდღე ერთი და იგივე მეორდება — ვანო, შოთა, მალხაზა, ჯემალა, გოგია, ნოდარა, შალიკო, ვალიკო... მიდიან და მიდიან. ჩვენ ნელ-ნელა ვეჩვევით, სიკვდილი ისე გაგვიშინაურდა, თითქოს ყოველივე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. რამ მოკლა, კოვიდმა? ააა... ჰოოო, მაშინ ჰოოო!

სოფელში ვიყავი ამ დღეებში, კახეთს ვესტუმრე. გავიხედე, ლამის მთელი უბანი ჩაწოლილა. ერთგან შევიხედე, კარი შევაღე, ეგრევე აყვირდნენ, გადი, გაგვცილდი, არ შემოხვიდე, კორონა შეგვეყარაო. ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, აქეთ საშუალო ასაკისანი ისხდნენ და ისხდნენ, აზრზე არ იყვნენ, რა უნდა გაეკეთებინათ. ეზოს კუთხეში, მოშორებით ბებია იჯდა, მიწას ჩასჩერებოდა, 86 წლისაა, სასწრაფომ გასინჯა, პირველ ჯერზე არ დაუდასტურდა, სამ დღეში ისევ უნდა გავტესტოთ, ალბათ დაუდასტურდება, სიცხეები აქვსო. იქით მიმჯდარიყო, კაცო, კუთხეში, საცოდავად, აშკარად ეტყობოდა, აღარაფერი აინტერესებდა, უკვე სულერთი იყო, გატესტავდნენ, გამოტესტავდნენ, დაუდასტურდებოდა თუ არ დაუდასტურდებოდა. იაპონური ფილმი გამახსენდა, ჩემ სიჭაბუკეში გადიოდა ხოლმე სოფლის კლუბში, „ლეგენდა ნარაიამაზე“. იაპონიის ერთ-ერთ სოფელში, ნარაიამაში ჰქონდათ ტრადიცია, როდესაც მშობლები მოხუცდებოდნენ, შვილებს ზურგით უნდა აეყვანათ სადმე მაღალ მთაში და იქ დაეტოვებინათ. ფაქტობრივად, ეს იყო ზედმეტი ტვირთის თავიდან მოშორება. ზოგიერთი ჩვენებური ექსპერტი უკვე წერს, რომ დღეს მთელ მსოფლიოში სოფელ „ნარაიამას“ წესი და ჩვეულება მკვიდრდება. ასეთი დასკვნების გაკეთება ცოტა ნაადრევი მგონია, ალბათ მეცნიერები უახლოეს ხანში შემოგვთავაზებენ ისეთ ვაქცინას, რომელიც აღარ იქნება საორჭოფო და საეჭვო.

### რა არის პოსტკოვიდური პერიოდი?

პოსტკოვიდური პერიოდი არის... როგორ გითხრათ, ფილმებში მაინც ხომ გინახავთ, ავტომობილი კაი მაგარ ტლაპოში რომ ეცემა და „ზადნით“ ძნელად გამოდის, ძალიან უჭირს. გინდა გამოსვლა, ბუქსაობ, გცივა, ხან გცხელა, ხან რა გაწუხებს, ხან — რა, შეიძლება უცებ ტემპერატურამ აგიწიოს, შეიძლება დაგიწიოს. სხვათა შორის, აფთიაქებში ელექტრონული სიცხის საზომები რომ იყიდება, მაინც და მაინც ბოლომდე ნუ ენდობით, ამან ხომ ცალკე გამაწამა და ამირია ჟამკარი. შემამცივნებს, გავიზომავ სიცხეს, 35-ს მიჩვენებს, თურმე ერთი პუნქტით იტყუება, უფრო მეტითაც, სინამდვილეში 36,7 გრადუსი მაქვს. კაიხანს მეშინოდა, ემანდ ტემპერატურა არ დამივარდეს, ამ გაგანია სიცხეში არ გავიყინო-მეთქი. ასე ვიყავი პანიკაში, სანამ ნორმალურ, ანუ მამა-პაპურ (დასაბერტყ) საზომზე არ გადავედი.

მოკლედ, პოსტკოვიდურ პერიოდში, რომელიც თურმე 6 თვე გრძელდება და დანამდვილებით არავინ იცის, მართლა 6 თვე გრძელდება თუ არა, პატივცემულმა კოვიდმა (თურმე ამ ვირუსის აუგად მოხსენიებაც არ შეიძლება, სულ უნდა ეფერო, რომ მშვიდობიანად დაგშორდეს) სიცივის შეგრძნება დამიტოვა, გრიპის დროს რომ აქვს ხოლმე ადამიანს. ამ ზაფხულს სიცხე არ მიგრძვნია, ჩემთან ხან გრილა, ხან ცივა. ერთი ხანობა ისიც კი ვიფიქრე, შეიძლება პატივცემული კოვიდი გამიმეორდა, ანუ ხელახლა დამეწყო-მეთქი. გავვარდი მე-8 საავადმყოფოში, გავიკეთე ტესტირება, არაო, არაფერი არ გჭირსო, ვეფხვივითა ხარო. ვააა... არადა, ვატყობ, ვეფხვივით კი არა, ნეფხვივითა ვარ, ვეფხვზე ერთი საფეხურით დაბლა. დავდივარ ექიმებში, ყველას ვეკითხები, ეს რა არი, ხომ შეიძლება, არ იყოს, რამე საშველი არის-მეთქი? ეგა კოვიდმა იცისო. ვიცი, რომ იცის, გავიგე, ვხედავ, ვგრძნობ, განვიცდი, მაგრამ რამე წამალი არსებობს, რომ ეს სიცივის შეგრძნება მომიხსნას? დაიკიდე, ეგრე იცისო, ისე მეუბნებიან, გეგონება პატივცემული კოვიდი ძირიძირობამდე აქვთ გამოკვლეული. ვათვალიერებ სპეციალურ ლიტერატურას, ვსწავლობ, ვეცნობი, ყველგან ერთი და იგივე წერია, შემცივნების შეგრძნება შეიძლება დაგრჩეთ ვირუსული ინტოქსიკაციის გამოო. ჩემი მიხვედრილობით, მე კოვიდმა რაღაც დონეზე მომწამლა. ახლა აღარ მაქვს, წავიდა, გამშორდა, გაქრა, მაგრამ ინტოქსიკაცია დამიტოვა. დრო უნდაო, გაქრებაო, ცოტა ხანს უნდა გაუძლოო. ვუძლებ, მეტი რა გზა მაქვს.

როგორც გამოცდილმა, უნდა გითხრათ, რომ პატივცემული კოვიდი ყველასთვის მაინც ინდივიდუალურია, ეს ვირუსი მსხვერპლს უტევს სუსტ ადგილებში და აუცილებლად ფილტვებში. ორი თვის თავზე ჩავიტარე ყველა სახის გამოკვლევა, ყველაფერი ნორმაში მაქვს, რენდგენი გადავიღე ფილტვებზე — საოცრად სუფთაა, რადგან კაიხანია აღარ ვეწევი. აგერ, სადაცაა მესამე თვე მიილევა და კიდევ ჩავიტარე გამოკვლევა, ამ შემთხვევაშიც ყველაფერი ნორმაში მაქვს, ჩემს ორგანიზმში არც ერთი პარამეტრი არ არის დარღვეული, ყველა მონაცემი ჯდება სტანდარტში... ვააახ, არადა, ვიმეორებ, მაინც ვერ ვარ ვეფხვივით. ყველა მეუბნება, დრო უნდაო, დაელოდეო და მეც ველოდები. თქვენ, ვისაც არ გამოგიცდიათ, ღმერთმა არ გამოგაცდევინოთ, სულ ჯანმრთელად გამყოფოთ, მაგრამ მოდით, დავფიქრდეთ, სად არის გამოსავალი? ჩემი ღრმა რწმენით, გამოსავალი ვაქცინაშია. მესმის, დღეს უამრავი ჭორი ვრცელდება: თითქოს გვჩიპავენ, თითქოს ანაცრელ ადგილზე მეტალი ეწებება, თითქოს ორ წელიწადში აცრილის სხეული დალპება და ასე შემდეგ. ფაქტია, ამ ეტაპზე ვაქცინაცია ამართლებს, გარდაცვალების შემთხვევები თითქმის არ ფიქსირდება. კი იგონებენ ვიღაცები, ჩვენი მეზობლის მამიდაშვილის მულის ბებია გარდაიცვალა აცრის შედეგადო, მაგრამ მსგავს ზღაპრებს არ უნდა დავუჯეროთ. დასაწყისშიც გითხარით, მსგავსი გასაჭირი კაცობრიობამ რამოდენიმეჯერ გამოიარა — იყო შავი ჭირი, ქოლერა, იყო ჩუტყვავილა, იყო მალარია და ასე შემდეგ. მოდით, გადავხედოთ სტატისტიკას, რამდენი დაავადებისგან გვიხსნა ვაქცინამ, ეს არის 14 დაავადება, რომელიც მხოლოდ ვაქცინით დამარცხდა:

1) პოლიომიელიტი,
2) ტეტანუსი,
3) წითელა,
4) წითურა,
5) ყბაყურა,
6) ჩუტყვავილა,
7, 8) A და B ჰეპატიტი,
9) ჰემოფილუსის გრიპის B კატეგორია,
10) სასუნთქი გზების გადამდები ინფექცია-ჭოოპინგ ჩოუგჰ,
11) პნევმოკოკური დაავადება,
12) როტავირუსი,
13) დიფტერია,
14) გრიპი.

შეიძლება არ დაიჯეროთ, ყოველ ვაქცინაციას თან სდევდა ჭორები, რომ ეს იყო ეშმაკისეული, ადრე დაჩიპვის შესახებ არაფერი იცოდნენ. სხვათა შორის, ყოველი საუკუნის 20-იან წლებში კაცობრიობა დგებოდა ვირუსული საშიშროების წინაშე. მაგალითად, 1918 წელს დაიწყო ესპანური გრიპი, ე.წ. „ესპანკა“ და 50 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. შემდეგ იყო ჩუტყვავილა, ბავშვთა ასაკის მწვავე ვირუსული დაავადება. ნახეთ, რას წერდა იმდროინდელი ქართული პრესა:

„ჩვენ დროში, უცხო სახელმწიფოებში ძნელათ შეხვდებით იმისთანა ბავშს, რომ ყვავილი აცრილი არა ჰქონდეს. ამიტომაც ძლიერ იშვიათია რომ იქ კაცი ყვავილისაგან ჰკვდებოდეს. მეტადრე განათლებულ ქვეყნებში დიდი ყურადღებაა მიქცეული იმაზე, რომ ყველა ბავში უეჭველათ აცრილი იყოს. მაგალითათ ნემეცების სახელმწიფოში, გერმანიაში, ამ 24 წლის წინეთ იმისთანა კანონი გამოიცა, რომლის ძალითაც ყველა ბავშვისთვის ყვავილი უნდა აეცრათ და ხელმეორეთაც მეათე წელიწადზე. ნემეცების ქვეყანაში ყვავილი იშვიათათღა იჩენდა ხოლმე თავს, მერე კი მისი ხსენება სრულებითაც მოისპო. სამწუხაროთ ქართველებში დღესაც ძლიერ ბევრ ოჯახს იპოვით, სადაც არც ერთ ბავშს ყვავილი არა აქვს აცრილი. რაც შეეხება მეორეთ აცრას, ამაზე ხომ სრულებით არავინ ფიქრობს; არამც თუ გლეხებში, თავად-აზნაურობაშიაც ძნელათ თუ იპოვით ორჯელ აცრილ ბავშს. გაუნათლებელი ხალხი ცრუმორწმუნეობით არის შეჯაჭვული. ცრუმორწმუნე კაცს ყვავილის აცრა დიდი ცოდვა ჰგონია“.

აჰა, გეცნობათ, მეგობრებო? მას შემდეგ, რაც ეს დაიწერა, საუკუნეები გავიდა, ტექნოლოგიები და ტექნიკა არნახული სისწრაფით განვითარდა, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენში და არა მხოლოდ ჩვენში აზროვნება საერთოდ არ დაძრულა ადგილიდან. აბა, რას მივაწეროთ იგივე მიდგომები და იგივენაირი, უფრო სასწაულებრივი ჭორიკნობა, ვითომც აცრილი ხალხი იხოცება და ხელისუფლება ამას მალავს? მაყვალა ძალომ თქვა, რომ მისი რძლის დეიდის ბიძაშვილის მამიდას აცრის შემდეგ წელი ასტკივდა და აწი დროა, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადოთ. სხვათა შორის, ამ მხრივ ბევრი ექიმიც სცოდავს, ზოგიერთნი ფარულად, ზოგიერთნი ღიად ეწევიან აგიტაცია-პროპაგანდას, რომ არავინ არ უნდა აიცრას, რომ ეს არის ძალზედ საშიში, რომ მიდის საყოველთაო დაჩიპვა და ასე შემდეგ. დამიჯერეთ, ეს ყველაფერი დიდი სიბნელე და გაუნათლებლობაა.

●

გუშინ კიდევ გავეცანი პოსტკოვიდურ ნაშრომებს. თუ რამეს ტოვებს პატივცემული კოვიდი, უპირველესად უნდა ებრძოლოთ სითხით, დღეში მინიმუმ 2 ლიტრა წყალი. თუ სიცხე შეგაწუხებთ, დასაშვებია „პარაცეტამოლი“ ან „ანალგინი“. დანარჩენი, როგორც ამბობენ, დროის საკითხია.

მე ამ ეტაპზე ისეთი შეგრძნება მაქვს, გეგონება გამაციმბირეს და სასჯელს ვიხდი. ვნახოთ, ალბათ მალე დავბრუნდები მზიურ საქართველოში.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# საბედისწერო შემთხვევები, რომლებსაც შეეძლოთ ისტორიის მსვლელობა შეეცვალათ

არსებობს უამრავი შემთხვევა რომელსაც ისტორიის მსვლელობის შეცვლა შეეძლო. უარესობისკენ თუ უკეთესობისკენ რთული სათქმელია.

1914 წლის ივნისში სარაევოს ქუჩებში ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობა მსოფლიო ომის დაწყების საბაბი გახდა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ჰიტლერის აღზევებას, II მსოფლიო ომსა და თანამედროვე სამყაროს ამ ფორმით ჩამოყალიბებას. თუმცა ეს ყველაფერი შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა ერთ მოუხერხებელ მსახურს. 1913 წლის ნოემბერში ერცჰერცოგი ფერდინანდი დიპლომატიური ვიზიტით ესტუმრა პორტლენდის ჰერცოგს. სტუმართმოყვარეობის მაქსიმალურად წარმოჩენის მიზნით ჰერცოგმა სახელგანთქმული სტუმარი თავის მამულში დაპატიჟა ხოხბებზე სანადიროდ. ვრცელ


ფრანც ფერდინანდი

მინდვრებზე სეირნობისას ერთ-ერთი მსახური, რომელსაც იარაღი მიჰქონდა, წაბორძიკდა. შედეგად ხელში ჩაბღუჯული თოფი გაუვარდა და მიწაზე დაცემისას ორივე ლულიდან ერცჰერცოგის მიმართულებით მოხდა გასროლა. ამ წაბორძიკებას მსოფლიოს შეცვლა შეეძლო. ფერდინანდი რომ დაღუპულიყო ან მძიმედ დაჭრილიყო ჰერცოგის მამულში, მემკვიდრე სავარაუდოდ მისი ძმიშვილი ჩარლზი იქნებოდა, რომლის მკვლელობის მცდელობასაც სულ სხვა შედეგი ექნებოდა ან საერთოდ წარუმატებლად დასრულდებოდა. ამის სანაცვლოდ, ტყვია ფრანც ფერდინანდს რამდენიმე დიუმით აცდა. ერცჰერცოგი სამშობლოში ჯანმრთელი დაბრუნდა, ცხრა თვის შემდეგ კი მსოფლიო ომმა მოიცვა. უცნობი მსახური ყველას დაავიწყდა.

1931 წლის 13 დეკემბერს ნიუ-იორკში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას შეეძლო ძირეულად შეეცვალა XX საუკუნის ისტორიის მსვლელობა. ამ ინციდენტამდე ორი დღით ადრე 57 წლის უინსტონ ჩერჩილი თავის მეუღლე კლემენტინასთან და ქალიშვილ დიანასთან ერთად გემით Lloyd Europa ნიუ-იორკში ჩავიდა. დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე, ჩერჩილმა ქუჩის გადაკვეთა გადაწყვიტა, სავალი ნაწილის შუამდე მისულმა შუქნიშანს ყურადღება არ მიაქცია და ჩვეულებისამებრ მარცხნივ გაიხედა. როგორც ჩანს, ჩერჩილს ის აღარ გაახსენდა, რომ ამერიკაში მანქანები მარჯვენა მხარეს მოძრაობენ. იმავე ადგილისკენ თავისი მანქანით ვინმე ედვარდ კანტასანო მიემართებოდა, რომელიც „დიდი დეპრესიის“ გამო უმუშევრად იყო დარჩენილი, მანამდე კი სატვირთო მანქანის მძღოლი და ავტომექანიკოსი იყო. ედვარდ კანტასანო ავარიის გარეშე რვა წლის განმავლობაში დადიოდა, მაგრამ ამჯერად შეჯახებისგან თავის არიდება შეუძლებელი იყო, ჩერჩილი მისი ავტომობილის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა. ჩერჩილი ტკივილსგან შოკში იყო ჩავარდნილი, თუმცა აღელვებულ მძღოლს მაინც ამხნევებდა – არაფერი მჭირსო. სხეულის სერიოზული დაზიანება ჩერჩილს არ აღმოაჩნდა, მას შუბლის არეში მცირე ჭრილობები და ორი ნეკნის მოტეხილობა დაუდგინეს. ჩერჩილის მკურნალობის პერიოდში პოლიციამ რამდენჯერმე დაკითხა ედვარდ კანტასანო. ჩერჩილმა მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და განაცხადა, რომ ის შუქნიშნის ამკრძალავ სიგნალზე გადადიოდა, რის შემდეგაც კანტასანოს ყველა ბრალდება მოუხსნეს. 2008 წლის იანვარში ბრიტანულმა ვიდეოთამაშების მწარმოებელმა **Codemasters** გამოუშვა თამაში „**Turning Point: Fall of Liberty**“, რომლის სცენარი ალტერნატიულ ისტორიას ეფუძნებოდა.

1965 წელს თეთრკანიანების აღმატებულობის მქადაგებელმა იან სმიტმა უკანონოდ გამოაცხადა როდეზია (1980 წლიდან ზიმბაბვე) დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლად. მისმა ქმედებებმა გამოიწვია ხანგრძლივი სამოქალაქო ომი, ზიმბაბვეს წარმოშობა და რობერტ მუგაბეს აღზევება. თუმცა შეიძლებოდა, ყველაფერი სრულიად სხვაგვარად განვითარებულიყო. ერთმა უკმაყოფილო მცველმა კინაღამ დროზე ადრე დაასრულა ომი, როცა სმიტის მოკვლა გადაწყვიტა. 1976 წელს პიტერ გოდვინი სამხედრო სამსახურს იხდიდა როდეზიის ბრიტანული სამხრეთ აფრიკის პოლიციაში და სმიტის მცველად განაწილეს. ომის გაჭიანურებითა და სამხედრო სამსახურში გაწვევით გაღიზიანებული გოდვინი მიხვდა, რომ ადვილად შეეძლო სმიტის მოკვლა. მას ვაზნებით სავსე იარაღი ჰქონდა და სამხედრო წვრთნაც უკვე გაევლო. სმიტი რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით იდგა. მოგვიანებით ამ მომენტის აღწერისას გოდვინი წერდა, რომ ხელი რევოლვერის ბუდეში ჩაიყო და ამ დროს დაინახა, რომ სმიტი თვალებში უყურებდა. ის თითქოს თხოვდა გოდვინს, მიეცა საშუალება, რომ ამ გამანადგურებელი ომისგან უფრო ღირსეულად დაეღწია თავი. სმიტის პირადმა მცველმა გადაწყვიტა, ოთახში დაბრუნებულიყო. ომი კიდევ მომდევნო ოთხი წელი გაჭიანურდა და საბოლოოდ პარტიზანმა რობერტ მუგაბემ მოახერხა თავისი ძალის განმტკიცება უფრო მშვიდობიანი ზიმბაბველების ხარჯზე. გოდვინს რომ სასხლეტისთვის ხელი გამოეკრა, შესაძლოა დღეს არც არაფერი გვცოდნოდა აფრიკის უსასტიკესი დიქტატორის შესახებ.


11 სექტემბერი, ნიუ-იორკი

მარკ როსინის 11 სექტემბრის ტერაქტის შეჩერება შეეძლო. ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ყოფილმა აგენტმა 90-იანების მიწურული და 2000-იანების დასაწყისი ტერორისტების დევნაში გაატარა. თანაც საუბარი არ არის წვრილმან ჯიჰადისტებზე. ერთხელ, როსინის თქმით, ცოტა დააკლდა, რომ 9/11 აერიდებინა. 2001 წლის ივლისში აშშ-ის საზღვარი გადმოკვეთეს ხალიდ ალ-მიდჰარმა და ნავაფ ალ-ჰაზმიმ. ფსბ-ში იცოდნენ, რომ ორივე მათგანს კავშირი ჰქონდა რადიკალურ ისლამთან და მხარს უჭერდნენ ტერორიზმს. ამ დროს როსინი მიამაგრეს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს „ალეკის სადგურს“ – რაც ბინ ლადენსა და მის მოკავშირეებზე მოთვალთვალე აგენტების კოდური სახელი იყო. როცა როსინიმ ალ-მიდჰარსა და ალ-ჰაზმზე შეიტყო, მან და ცსს-ში მომუშავე მისმა კოლეგამ დაგ მილერმა გადაწყვიტეს, ფსბ-სთვის შეეტყობინებინათ. მათ შეადგინეს მოხსენების ესკიზი თავიანთი ხელმძღვანელებისთვის, მაგრამ ცსს-მ გაგზავნაზე უარი განუცხადა. რამდენიმე თვის შემდეგ ალ-მიდჰარი გაუჩინარდა. მალევე მან მსოფლიო სავაჭრო ცენტრს თვითმფრინავი დააჯახა. როსინისა და მილერს მოხსენების გაგზავნა რომ მოესწროთ, შესაძლოა სამიათასი ადამიანი სიკვდილისგან ეხსნათ.


ბენიტო მუსოლინი

ვაიოლეტ გიბსონს მუსოლინის მოკვლის შანსი ჰქონდა. მუსოლინის ფაშისტური მთავრობა პასუხისმგებელი იყო დაახლოებით სამი მილიონი ადამიანის სიკვდილზე, მისი გერმანიისადმი მხარდაჭერამ კი ხელი შეუწყო ჰიტლერის გენოციდური რასიზმის დაკანონებას. თუმცა ამ ხოცვა-ჟლეტისა და ტანჯვის აცილება შეიძლებოდა 1926 წელს, როცა ფსიქიკური აშლილობის მქონე ვაიოლეტ გიბსონმა ესროლა მუსოლინის და კინაღამ მოკლა კიდეც. 50 წლის მდიდარი საზოგადოების წევრი ირლანდიელი ქალი შეპყრობილი გახლდათ პარანოიდული რელიგიური დელუზიებით. ის I მსოფლიო ომის შემდეგ რომში ჩავიდა, რათა მონასტერში ეცხოვრა. დროის უმეტეს ნაწილს ხერხების დამზადებასა და აბრაამის მიერ ისააკის შეწირვის ამბის კითხვას უთმობდა, ზოგჯერ კი ხელში ჩაბღუჯული დანით დასეირნობდა. ვაიოლეტი ორჯერ მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, თუმცა საზოგადოებისთვის საშიშად არ ჩათვალეს. ერთ დღეს კი იარაღი აიღო და რომის ქუჩებში ხეტიალი დაიწყო. მალე შეამჩნია მუსოლინი, რომელიც საავადმყოფოს გახსნას ესწრებოდა. ვაიოლეტმა თავში დაუმიზნა და გაისროლა. ერთი წამით ადრე მუსოლინი შემობრუნდა და მოკვლის სანაცვლოდ ტყვიამ მხოლოდ ცხვირი დაუზიანა. მეორედ სროლას რომ შეეცადა, იარაღი გაიჭედა, ხოლო მესამე შანსი აღარ მიეცა, რადგან ხალხი თავს დაესხა და კინაღამ ჩაქოლეს. ბედიის ირონიით, ქალი მუსოლინის ფაშისტურმა პოლიციამ იხსნა. მათ ამბოხებული დააკავეს და ინგლისში დააბრუნეს, სადაც შეშლილად გამოაცხადეს და საავადმყოფოში იძულებით მოათავსეს. მუსოლინის ამ ყველაფრის შედეგად მხოლოდ ცხვირი გაეკაწრა.


უინსტონ ჩერჩილი

1962 წლის 27 ოქტომბერს ვალენტინ სავიცკიმ გააკეთა ის, რასაც ისტორიაში ვერცერთი ადამიანი ვერ დაიკვეხნის: მან კინაღამ მთელი მსოფლიო გაანადგურა. ისტორიით დაინტერესებული ადამიანებისთვის ეს თარიღი კუბის სარაკეტო კრიზისითაა ცნობილი. ერთმა ამერიკულმა თვითმფრინავმა საბჭოთა საჰაერო სივრცე დაარღვია, ცოტა ხნით ადრე კი მეორე ჩამოაგდეს კუბაში. შუაგულ ოკეანეში ამერიკულმა გემმა „**USS Beale**“-მა სიღრმული ბომბები დაუშინა რუსულ ბირთვულ წყალქვეშა ნავს, რათა ზედაპირზე ამოეყვანა. პატარა საკონტროლო ოთახში კაპიტანი ვალენტინ სავიცკი გარემომცველი სამყაროსგან მოწყვეტილი გახლდათ. ის ხედავდა, როგორ ფეთქდებოდა სიღრმული ბომბები და თავს იყრიდნენ ავიამზიდები, შესაბამისად დაასკვნა, რომ III მსოფლიო ომი დაიწყო. მან გააკეთა ის, რასაც მის ადგილას ალბათ ნებისმიერი ხელმძღვანელი ოფიცერი იზამდა – ბირთვული ნაღმის გაშვება ბრძანა. აფეთქების შედეგად „**USS Beale**“-ზე ყველა დაიხოცებოდა, თანაც აუცილებლად მოყვებოდა საპასუხო დარტყმა.

საბედნიეროდ, სავიცკის ჰყავდა სანდო თანამეთაური, ვასილ არხიპოვი, რომელმაც იერიში გადააფიქრებინა. სანაცვლოდ ზედაპირისკენ გაეშურნენ და ნახეს, რომ III მსოფლიო ომი არ დაწყებულა და გეზი რუსეთისკენ აიღეს. სხვაგვარად რომ მომხდარიყო, დღეს თქვენ ცოცხალი არ იქნებოდით.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# ავღანური ვენდეტა




სამწუხარო რეალობაა — მსოფლიოში ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულმა ორგანიზაციამ, რომელსაც 20 წელი ებრძოდნენ 50 ქვეყნის კოალიციური ჯარები, სულ რაღაც ორიოდ თვეში შეძლო მოქმედი ხელისუფლების დამხობა და ძალაუფლების ხელში აღება, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ისა და ავღანეთის ხელისუფლება დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ ავღანეთის სამთავრობო ჯარები სრულ მზადყოფნაში იყვნენ და თალიბებს უპრობლემოდ გაუმკლავდებოდნენ. იმედის საფუძველი კი ნამდვილად ჰქონდათ. ავღანეთის სამთავრობო შეიარაღებულ ძალებში 300 ათასზე მეტი სამხედრო მსახურობდა, თალიბანს კი მხოლოდ 60 ათასი მებრძოლი ჰყავდა.



კრიტიკული სიტუაციის დადგომის შემდეგ, გასულ კვირას, ჟურნალისტებმა ჰკითხეს ჯო ბაიდენს, შეიცვალა თუ არა მისი მიდგომა ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების გაყვანაზე. ამაზე პრეზიდენტმა ასე უპასუხა: „...არა, არ შეცვლილა. ჩვენ გავწვრთენით ავღანეთის ჯარი, ჩავაცვით, შევაიარაღეთ. ტრილიონი დოლარი დავხარჯეთ (ოფიციალური მონაცემებით 2,5 ტრილიონი — გ.ბ.), ათასობით ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, დაიჭრა. მათი ჯარი გაცილებით დიდია, ვიდრე თალიბების. ახლა თავად მიხედონ თავს, ბოლომდე იბრძოლონ. ავღანეთში ყველა ლიდერი უნდა გაერთიანდეს, ხოლო სამთავრობო ჯარს ჰქონდეს ბრძოლაში გამარჯვების სურვილი“. ერთი შეხედვით ლოგიკური პასუხია, მაგრამ ამერიკელი ჟურნალისტები თავიანთი ქვეყნის ხელისუფლების მოქმედებით უკმაყოფილონი არიან. მათი თქმით, ახლა აშშ-ის პარტნიორი ქვეყნები ყურადღებით აკვირდებიან მოვლენების განვითარებას და ფიქრობენ, გაჭირვების დროს მათაც ხომ არ მიატოვებს აშშ. „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს: „... თალიბანმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ავღანეთის და აშშ-ის ხელისუფლებას“.

რამ გამოიწვია ავღანეთის სამთავრობო ჯარების დემორალიზაცია და წარუმატებლობა, დღემდე პასუხგაუცემელია. „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, ბაიდენის ადმინისტრაციისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა მოვლენების მსგავსი განვითარება. ამერიკელი ჟურნალისტი მაიკლ ვასიურა აცხადებს: „მე, პირადად, ვწუხვარ, რომ აშშ-მ 20 წელში ვერ მოახერხა ავღანეთის თანამედროვე ქვეყნად გარდაქმნა. ბევრი ნიუანსი ვერ და არ იქნა გათვალისწინებული“. რა ჰქონდა მხედველობაში კოლეგას, არ დაუკონკრეტებია. ავღანეთის უკვე ყოფილი პრეზიდენტი აშრაფ განი იძულებული გახდა, დახმარება ეთხოვა იმ „შერისხული“ საველე მეთაურებისთვის, რომლებიც კორუფციაში იყვნენ ჩაფლულები და სისასტიკითაც გამოირჩეოდნენ. ამის გარდა, აშშ-ის ავიაცია კვლავ დაეხმარა ავღანეთის სამთავრობო ჯარებს და მათ მოახერხეს რამდენიმე ასეული თალიბის ლიკვიდირება, მაგრამ ფართომასშტაბიანი დახმარება არ გაუწევიათ.

დიდიბრიტანელი პოლიტიკოსები აკრიტიკებენ აშშ-ს ავღანეთიდან ჯარების გაყვანის გამო. იქაური პრესა კი საუბრობს ამერიკის სრულ წარუმატებლობაზე, როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. შესაძლოა, კრიტიკა სამართლიანიც იყოს, მაგრამ არაფერს ამბობენ



კოალიციური ჯარების ყოფნის პერიოდში ავღანეთში ფართომასშტაბიან კორუფციაზე. გავრცელებული ინფორმაციით, თალიბანის შემოსავალი რეკეტით წლიურად მინიმუმ 1,8 მლრდ დოლარი იყო. აღარაფერს ვამბობთ ნარკოტიკების „ბიზნესზე“. თალიბანის გააქტიურების მიზეზი მათ ფინანსურ შემოსავლებშიც არის მოსაძიებელი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ასე შეაფასა ავღანეთში განვითარებული მოვლენები: „აშშ-ის 20-წლიანი ისტორიული ექსპერიმენტი ავღანეთში კრახით დასრულდა“. მისი სიტყვები, ფაქტობრივად, სრულად გამოხატავს რუსეთის ხელისუფლების პოზიციას.

ავღანეთის სამთავრობო ჯარების სამხედროებმა ბოლო ერთ კვირაში ერთბაშად ათი (!) დიდი ქალაქი დატოვეს. ზოგიერთი მათგანი საერთოდ უბრძოლველად დათმეს. ამის გარდა, ადგილზე ტოვებდნენ შეიარაღებას, სამხედრო ტექნიკას, რითიც ამდიდრებდნენ თალიბანის არსენალს. სწორედ ნადავლი ტენიკით გადაადგილდებოდნენ თალიბები, ახდენდნენ მათ საჯაროდ დემონსტრირებას და ამაყობდნენ კიდეც. მოსახლეობის დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, სამთავრობო ჯარებმა ვერ შეძლეს საბრძოლო სულისკვეთების გამოვლინება. უფრო მეტიც, მცირე საფრთხის შემთხვევისთანავე იარაღს ყრიდნენ და თალიბებს ტყვედ ბარდებოდნენ.

ჯერ კიდევ გასულ შაბათს თალიბები 60 კილომეტრით მიუახლოვდნენ ქაბულს. ექსპერტები განიხილავდნენ გეგმას, როგორ შეძლებდა მოქმედი ხელისუფლება დედაქალაქის დაცვას. კვირა დილით მოხდა მოვლენა, რომელსაც ნამდვილად არავინ მოელოდა — თალიბები ქაბულში შევიდნენ. უფრო მეტიც, დაიკავეს პრეზიდენტის სასახლე. აშრაფ განიმ სცადა მოლაპარაკება, მაგრამ მალე დატოვა ქვეყანა და დროებით უზბეკეთს შეაფარა თავი. სამთავრობო ჯარებმა არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწიეს თალიბებს. 7 ნაწილიდან რომელიც დედაქალაქს იცავდა, ექვსმა ბრძოლის გარეშე დაყარა იარაღი და დანებდა თალიბანს. გასულ კვირას ტელეკომპანია „ალ ჯაზირას“ ინფორმაციით, განიმ შესთავაზა თალიბებს ქვეყნის ერთობლივად მართვა ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ. მაგრამ თალიბები მოლაპარაკებებს არავისთან აპირებდნენ.

ავღანეთში დღეს უკვე ახალი ხელისუფლებაა თალიბანის სახით. ქაბულის დაკავების შემდეგ, პირველ რიგში, მათ ციხიდან ყველა პატიმარი გამოუშვეს. სამთავრობო ჯარს, ვინც იარაღი დაყარა, ამნისტიას შეჰპირდნენ. ქალაქში ქაოსმა დაისადგურა. აეროპორტში ზედახორა შეიქმნა, თალიბების მოწინააღმდეგეები ცდილობენ, როგორმე წავიდნენ ნებისმიერ ქვეყანაში. საავტომობილო გზებზე საცობები წარმოიქმნა. თუმცა გაქცევის მსურველებს თალიბები გზას უკეტავენ და აიძულებენ ქვეყანაში დარჩენას. დაიწყო სახლებისა და დაწესებულებების ძარცვა. კვირაორშაბათს რამდენიმე მოროდიორი ადგილზე დახვრიტეს თალიბებმა.

ავღანეთში მყოფი დიპლომატიური კორპუსის დიდი ნაწილი ქვეყანაში დარჩენას არ აპირებს. გასულ კვირას წასასვლელად (გასაქცევად) სამზადისი დაიწყო ავღანეთში აშშ-ის საელჩომ. ევაკუაციის განსახორციელებლად, ჯო ბაიდენის ბრძანებით, 3 ათასი საზღვაო ქვეითი გაგზავნეს. ქვეყანაში ვითარების რადიკალურად გამწვავების გამო მათი რაოდენობა გააორმაგეს. შიგნით საელჩოში უკვე დაწვეს ყველანაირი დოკუმენტაცია (მათ შორის, აშშ-ის დროშებიც), წაშალეს კომპიუტერულ აპარატურაში ყველანაირი ინფორმაცია, რათა თალიბებს არ ეგდოთ ხელთ და სათავისოდ არ გამოეყენებინათ. რუსეთის გარდა, ყველა დიდი ქვეყნის საელჩო, ელჩების მეთაურობით, უკვე ევაკუირებულია.

დიპლომატებმა კი უშველეს თავს, მაგრამ რა ბედი ელის ადგილობრივ მოსახლეობას, გაურკვეველია. სიტუაცია ავღანეთში ყოველ წუთს იცვლება. ფართომასშტაბიანი ბრძოლები შეწყდა, მაგრამ ქაბულში კვლავ ისმის სროლებისა და აფეთქების ხმები.



თალიბები არ მალავენ, რომ ქვეყანაში თავიანთი მკაცრი კანონების დამყარებას აპირებენ.

დონალდ ტრამპმა, რომელმაც ხელიდან არ გაუშვა ბაიდენის გაკრიტიკების შანსი, განაცხადა: ... ავღანეთში ახლა განვითარებული მოვლენები ისტორიაში შევა, როგორც ამერიკის სამარცხვინო მარცხი“. ტრამპმა ბაიდენის გადადგომაც მოითხოვა. ქაბულის დაცემისთანავე თეთრი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სპონტანური საპროტესტო აქცია გაიმართა ავღანეთში ბაიდენის ადმინისტრაციის არასწორი პოლიტიკის გამო. პრეზიდენტ ჯო ბაიდენს მომხდარ მოვლენებზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია, რადგან შვებულებაშია. თუმცა უშიშროების საბჭოს წევრებს უკვე ესაუბრა.

პოლიტოლოგების თქმით, ბაიდენს მოსახლეობისთვის ბევრი საკითხის განმარტება მოუწევს — რისთვის დაიხარჯა კოლოსალური თანხა, რისი გულისთვის დაიღუპნენ ამერიკელი ჯარისკაცები... მათი შეფასებით, ბაიდენს გაუჭირდება კითხვებზე პასუხის გაცემა. ბაიდენის პოლიტიკის კომპლექსურ ჩავარდნად აფასებენ ექსპერტები თალიბანის ავღანეთის სათავეში მოსვლას. მათ გაიხსენეს 1975 წელს ვიეტნამიდან აშშ-ის გასვლა და მას ახლანდელ, უფრო სამარცხვინო სიტუაციას შეადარეს. ასევე აღნიშნეს, რომ 1989 წელს საბჭოთა ჯარებმა ავღანეთი ღირსეულად დატოვეს და მათ შემდეგ ქვეყანაში 7 წელი შედარებით სტაბილური ვითარება იყო.

ავღანეთში მომხდარმა სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალებამ სასწორზე შეაგდო ჯო ბაიდენის პოლიტიკური კარიერა. ამას ემატება მისი შვილის, ჰანტერის თავგადასავლები. გავრცელდა ლას-ვეგასში გადაღებული კადრები, სადაც ჰანტერი ვიღაც ქალს (სავარაუდოდ, მსუბუქი ყოფაქცევის) უყვება, როგორ დაკარგა ნარკოთრობის მდგომარეობაში მყოფმა ნოუთბუქი, სადაც თავისი სექსუალური თავგადასავლები ჰქონდა ჩაწერილი.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ავღანეთში და რა გაგრძელება მოჰყვება. ავღანეთი კვლავ ინარჩუნებს „დენთის კასრის“ ქვეყნის სტატუსს, რომელიც ჯერ არ აფეთქებულა..

**გია ბურდული**
551 71 27 07

# წარსულის ტექნოლოგიები

### სტამბოლის გასაოცარი მიწისქვეშა წყალსაცავები

სტამბოლის მიწისქვეშეთში არსებული წყალსაცავი ცისტერნები უზარმაზარი სივრცეა კოლონებითა და რომლებიც ბიზანტიის იმპერიის დროს არის შექმნილი კონსტანტინეპოლში. მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია.

მიწისქვეშა წყალსაცავებიდან ყველაზე ცნობილია ცისტერნა ბაზილიკა, რომელიც აია სოფიას ტაძრის მახლობლად მდებარეობს. მის ჭერს ამაგრებს 8 მეტრი სიმაღლის 336 კოლონა, ხოლო კედლები, რომელთა სისქე 4 მ-ია, დამზადებულია ცეცხლგამძლე აგურისგან და დაფარულია ჰიდროსაიზოლაციო ხსნარით. საინტერესოა, რომ ეს კოლონები გადმოტანილია უძველესი დანგრეული ტაძრებიდან.

### ძველი დროის ციმბირელი ქირურგების ინსტრუმენტები

სულ ცოტა ხნის წინათ ნოვოსიბირსკელმა არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ სამხრეთ ციმბირის ტერიტორიაზე 2,5 ათასი წლის წინათ ქირურგები ურთულეს ოპერაციებს აკეთებდნენ, მათ შორის, თავის ქალის ტრეპანაციასაც. ამასთან, მათ ჰქონდათ ინსტრუმენტები, რომლებიც ევროპაში ჯერ კიდევ არ არსებობდა.



მეცნიერების თქმით, ჩვ.წ. აღმ-დე პირველი ათასწლეულის ბოლოსთვის ქირურგების არსენალში იყო ძვლის საჭრელი დანა, ხერხები, მჭრელი ინსტრუმენტები, სამედიცინო ზონდები და თანამედროვე სკალპელის ანალოგი — ლანცეტი. ასეთივე ინსტრუმენტებით სარგებლობდნენ ევროპაშიც. ერთადერთი გამონაკლისია ხერხები, რომლებიც იმდროინდელ ევროპაში არ გამოიყენებოდა.

### სპილენძისგან – ოქრო

ბევრი მკვლევარის აზრით, უძველესმა ქურუმებმა იცოდნენ სპილენძისგან ხელოვნური ოქროს მირების საიდუმლო. მაგრამ ოქროს ჭარბ რაოდენობას შეეძლო ქვეყნებისა და იმპერიების ეკონომიკების დანგრევა და ამიტომ ამ საიდუმლოს ყველანაირად მალავდნენ. რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ 296 წელს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც უნდა გაენადგურებინათ ყველა ხელნაწერი ოქროს მიღების შესახებ. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ მიზნით გაანადგურეს ალექსანდრიისა და კართაგენის ბიბლიოთეკები. საინტერესოა, რომ ეს ცოდნა უძველესი დროიდან შეიძლება მოდიოდეს. ითვლება, რომ ეგვიპტის ცივილიზაცია ჩვ.წ. 5 ათასი წლით ადრე იღებს სათავეს. თუმცა, მრავალი წყარო მიუთითებს იმაზე, რომ ამ დრომდე დიდი ხნით ადრე ეგვიპტის ტერიოტორიაზე უკვე არსებობდა მარალგანვითარებული ცივილიზაცია. ცნობილი ფილოსოფოსი და მეცნიერი დიოგენე ამტკიცებდა, რომ ეგვიპტელები ასტრონომიულ დაკვირვებებს ალექსანდრე მაკედონელის დაბადებამდე 49 ათასი წლით ადრე აწარმოებდნენ, რომელიც ჩვენს ერამდე 356 წელს დაიბადა. ბერძენი ფილოსოფოსი სიმპილიუსი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში ცხოვრობდა, წერდა, რომ ეგვიპტელები კოსმოსს 630 წლის განმავლობაში შეისწავლიდნენ!

### პანოიაშის განსაწმენდელი

პანოიაშის უძველესი განსაწმენდელი პორტუგალიაში მდებარეობს. იგი სამი უზარმაზარი მეგალითისგან შედგება, რომელთა ზედაპირზეც სხვადასხვა იდუმალი ღრმულები და ნაჭდევებია...

ერთ-ერთ ქვაზე ამოტვიფრულია ნაწერები ლათინურ და ბერძნულ ენებზე და აღწერილია ის რიტუალები, რომლებიც აქ ტარდებოდა. ნაწერების დანახვისას ისეთი გრძნობა ჩნდება, თითქოს ისინი მოგვიანებით, რომის ბატონობის პერიოდშია გაკეთებული.

ცნობილია, რომ განსაწმენდელი ჩვენი ერის დასაწყისში არსებობდა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ის სხვა, ტექნიკური საჭიროებებისთვის გამოიყენებოდა. შესაძლოა, ეს უძველესი ქარხნის ან ნაგებობის ნარჩენები იყოს. ამოუცნობი მარტო ამ ფიგურების დანიშნულება კი არ არის, არამედ ისიც, თუ როგორ არის დამზადებული ყველა წვრილმანი — ხარისხიანად და დეტალურად, ყოველივე ამის გაკეთება პრიმიტიული ინსტრუმენტებით ხომ შეუძლებელია...



### ალექსანდრე მაკედონელის წყალქვეშა ნავი

წყალქვეშა ფლოტის შესახებ ყველა წიგნი თუ სტატია იმისი თხრობით იწყება, როგორ ჩაყვინთა პირველად წყალქვეშ (მაშინდელი შესაბამისი მოწყობილობით) ალექსანდრე მაკედონელმა, რომელიც ჩვენს ერამდე IV ს-ში ცხოვრობდა. ამ წიგნებისა და პუბლიკაციების ავტორები ეყრდნობიან შუა საუკუნეების ნახატებს, რომლებზეც ეს პროცესია გამოსახული. გარდა ამისა, უძველესი ლეგენდების თანახმად, ქალაქ ტროაზე (ლიბანი) შეტევის განხორციელების დროს, ჩვ.წ. აღმ-დე 332 წელს, მაკედონელის ჯარისკაცები წყლიდან უტევდნენ მოწინააღმდეგეს — ისინი შუშის სათავსოებით ამოდიოდნენ წყლიდან.

XIII ს-ში მცხოვრები ფრანცისკანელი ბერის როჯერ ბეკონის ნაკლებად ცნობილ ხელნაწერშიც მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელის წყალქვეშა ნავის შესახებ. ავტორი ამბობს, რომ წყალქვეშ მოგზაურობისას არსებობს ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც ადამიანს შეუძლია ფსკერამდე მიღწევა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ამ ინსტრუმენტებს, მათ შორის, წყალქვეშა ნავებს, იყენებდა ალექსანდრე მაკედონელი წყალქვეშა სივრცეების შესასწავლად. მითებმა და ლეგენდებმა მათ შესახებ შუა საუკუნეებამდე მოაღწია, მაგრამ იმ დროისთვის უკვე დაკარგული იყო ტექნოლოგიები და შესაბამისი ცოდნა, ამიტომ იმ დროის მხატვრები და მწერლები ლეგენდებს უკვე მათი დროის შესაბამისი ცოდნის საფუძველზე გადმოგვცემდნენ.

### ატლანტიდის საჰაერო ხომალდები

ნათელმხილველ ედგარ კეისის ხილვების თანახმად, ატლანტიდელებს ჰქონდათ სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აეროპლანებს უწოდებდნენ, იმ დროისთვის კი საჰაერო ხომალდებს. თუმცა, ამ საჰაერო ხომალდებს არა მხოლოდ ჰაერით შეეძლოთ გადაადგილება. კეისი ამბობდა იმასაც, რომ ატლანტიდაში სატრანსპორტო საშუალებებისთვის ფართოდ გამოიყენებოდა ელექტროენერგია, არსებობდა დისტანციური ფოტოგრაფირება, შეეძლოთ ტექსტების კითხვა არა მარტო დისტანციურად, არამედ კედლის იქითაც და დაძლეული იყო გრავიტაცია.

# 21 დოლარი 120 ჩასუნთქვისთვის

## როგორ შოულობენ ფულს შვეიცარიელები ალპური ჰაერისგან

ალპების ატმოსფეროს ჩასუნთქვა ახლა უკვე ნებისმიერ მსურველს შეუძლია. შვეიცარიელებმა უჩვეულო სტარტაპი ჩაუშვეს: კომპანია **Swiss Alpine Air**-მა ინტერნეტის საშუალებით მთის ჰაერის გაყიდვა დაიწყო.

„ყოველწლიურად შვეიცარიის ალპებში ჩამოდიან ტურისტები, რათა ულამაზესი ხედებით დატკბნენ და მთის სუფთა ჰაერი ჩაისუნთქონ, — ნათქვამია კომპანია **Swiss Alpine Air**-ის საიტზე. — ეს, უბრალოდ, ჩვენს ხელთ არსებული სუფთა ჰაერის ექსპორტია. ჩვენს უკვე ვახორციელებთ შვეიცარიის მთის წყაროს წყლის, ყველისა და შოკოლადის ექსპორტს. მაშ, რატომ არ უნდა გავიტანოთ ქვეყნის გარეთ ჰაერი? ის ხომ მსოფლიოში საუკეთესოა“.

საიტზე შეიძლება ბალონის შეძენა, რომელშიც დაახლოებით 7 ლ ალპიური ჰაერია ჩატუმბული. ეს დაახლოებით 120 ჩასუნთქვაა ან 10 წუთი ინჰალაცია. თითოეული ბალონი, რომელიც 21 დოლარი ღირს, ინდივიდუალური ნიღბით არის აღჭურვილი.

ამჟამად მოხერხებული შვეიცარიელები ცუგის კანტონის ედლიბახის დასახლებიდან, თავიანთი პროექტისთვის ინვესტორებს ეძებენ. კომპანიის საიტზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ მთის ჰაერის ძირითადი მომხმარებლები ჩინელები გახდებიან, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად აწყდებიან ატმოსფეროს დაბინძურებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ამასთან, ცნება „ალპური სიგრილე“ დიდი ხანია, კრებსით სახელად იქცა და სარეკლამო სფეროში აქტიურად გამოიყენება, რაც ახალგაზრდა შვეიცარიული ფირმის მარკეტოლოგებს ამოცანას უადვილებს.

თუმცა ეს ამ ტიპის პირველი პროექტი არ არის და ჩინელებზე გამდიდრება 2015 წელს კანადურმა კომპანია **Vitality air**-მა დაიწყო, რომელიც კანადის მთების ჰაერით ვაჭრობდა. პირველი პარტია, რომელიც ხუთასი ბალონისგან შედგებოდა, ოთხ დღეში გაიყიდა. ჩრდილოამერიკელი ბიზნესმენები დღესაც წარმატებით განაგრძობენ საქმიანობას.

1929 წელს საბჭოთა მწერალმა ალექსანდრ ბელიაევმა ფანტასტიკური რომანი — „ჰაერის გამყიდველი“ გამოაქვეყნა. წიგნის სიუჟეტის მიხედვით ინგლისელი ბიზნესმენი ბეილი იაკუტიაში მდებარე თავის საიდუმლო ფაბრიკაში ატმოსფერულ ჰაერს კუმშავდა, ხოლო, როდესაც მსოფლიოში ჟანგბადი საკმარისი აღარ იყო, მისი გაყიდვა დაიწყო.



**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

**— რა არის კანონისა და სამართლის ანალოგია?**

— კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).

თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე, სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია).

სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.

* * *

**— ვინ არიან კერძო სამართლის სუბიექტები?**

— 1. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ.

2. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან, ასევე, წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

3. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

* * *

**— რა არის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე- 11 მუხლი:

1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა — უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.

2. მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

3. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

4. არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი:

1. ქმედუნარიანობა, ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია.

3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა.

4. ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ — მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილის პირობებს, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.



5. მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება.

6. 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუუნაროდ ითვლება.

* * *

**— მაინტერესებს პირადი არაქონებრივი უფლებების თემა.**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი:

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

* * *

**— რა განსხვავებაა იპოთეკასა და გირავნობას შორის?**

— იპოთეკით იტვირთება უძრავი ქონება, გირავნობით-მოძრავი ქონება. მაგალითად, მიწა იტვირთება იპოთეკით, ავტომობილი-გირავნობით.

* * *

**— ჩემი არასრულწლოვანი შვილიშვილი უნდა გავატანო ახლობელს შვედეთში თავის მშობლებთან. რა საბუთები დაგვჭირდება?**

— თქვენს არასრულწლოვან შვილიშვილს პირველ რიგში უნდა აუღოთ ბიომეტრიული პასპორტი. ამისათვის საჭიროა მისი ორივე მშობლის თანხმობა. მათ ეს თანხმობა უნდა განაცხადონ ნოტარიუსთან სკაიპის საშუალებით. ეს თანხმობა თარგმნილ უნდა იყოს თურქულ ან ინგლისურ ენებზე. თარგმანი უნდა დადასტურდეს, ასევე, სანოტარო წესით. მშობლებმა, ასევე, თანხმობა უნდა განაცხადონ იმის შესახებ, რომ თქვენი არასრულწლოვანი შვილიშვილის თურქეთში წაყვანას და / თუ საჭიროა, წამოყვანასაც/ ანდობენ ამ ახლობელს. ეს თანხმობაც სკაიპითა სანოტარო დადასტურებით კეთდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიხვდით ალბათ; თქვენი შვილიშვილის თურქეთში გასაგზავნად გჭირდებათ პასპორტი და მშობლების თანხმობები.

* * *

**— ხდება თუ არა სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო?**

— ხდება. წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას სისხლის სამართლის კოდექსიდან.

მუხლი 74. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო

1. სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს მსჯავრდებული, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა სასჯელის მოხდასთან და, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, თუ მას აქვს დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია, ამასთანავე, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია.

3. ამ მუხლის საფუძველზე სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულს, გამოჯანმრთელების შემთხვევაში, შეიძლება კვლავ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი, თუ არ გასულა ამ კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

4. სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი — 65 წლიდან, მამაკაცი — 70 წლიდან), თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.

5. ამ მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით განსაზღვრული საკითხების განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

6. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები არ ვრცელდება ამ კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასჯელზე.

7. ამ მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებისას შესაძლებელია იგი დამატებითი სასჯელის მოხდისაგანაც გათავისუფლდეს.

# მილიარდერები ჯურღმულებიდან

## აფრიკის უმდიდრესი ადამიანები


ფოლორუნშო ალაკიჯა

დიდებული უდაბნოები, ოკეანე, ჯუნგლები, ძვირადღირებული კურორტები, პლანეტის უმდიდრეს ადამიანთა ვილები, ექსტრემალური გართობა და მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტები — ეს აფრიკაა. ბავშვთა შრომის ექსპლუატაცია, კორუფცია, სასმელი წყლის უკმარისობა, შიმშილი და ანტისანიტარია — ესეც აფრიკაა. 1,3 მლრდ-იანი კონტინენტი პარადოქსულია: მდიდარი მადნეულისა და ატლანტისა და


ალიკო დანგოტე

ინდოეთის ოკეანეებში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გასასვლელების მიუხედავად, აფრიკის კონტინენტი უღარიბესია.

მილიარდერების რაოდენობით აფრიკა მსოფლიოს ბევრ ქვეყანას ჩამორჩება, მაგრამ ისინი აქაც მრავლად არიან... ზოგი მათგანი გავლენიან ოჯახში დაიბადა, ზოგმა კი თვითონ გაიკვლია გზა.

„**Forbes**“-ს მონაცემებით, 2021 წლისთვის ყველაზე მდიდარი აფრიკელი 61 წლის ნიგერიელი ალიკო დანგოტეა (ქონება 12,1 მლრდ დოლარი).

მეორე ადგილზეა ნასეფ სავირისი (8,5 მლრდ დოლარი). ის სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი კომპანიის „**Adidas**“-ის 6 პროცენტს ფლობს.

მესამე ადგილზეა **De Beers**-ის ალმასების მწარმოებელი კომპანიის მემკვიდრე, სამხრეთაფრიკელი ნიკი ოპენჰაიმერი, რომელიც 720 კვ მილ მიწას ფლობს სამხრეთ აფრიკაში, ბოსტვანასა და ზიმბაბვეში.

### მშვიდი და ზრდილობიანი

2021 წელს ალიკო დანგოტე აფრიკის ყველაზე მდიდარი ადამიანი მეათედ გახდა. ბიზნესიმპერია **Dangote Group**-ი დასავლეთ აფრიკაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამრეწველო კონგლომერატია.

მამა ადრე გარდაეცვალა და მეწარმეთა ოჯახში იზრდებოდა, რამაც განსაზღვრა მისი მომავალი ბედი. მისი მთავარი მიზანი ფული გახდა. 21 წლის ასაკში ბიძისგან ფული ისესხა და ნიგერიაში სასოფლო-სამეურნეო საქონელი ჩაიტანა. ბიზნესი წარმატებული აღმოჩნდა.

მოგვიანებით დანგოტემ საკუთარი ცემენტის ქარხნების აგება და შეძენა დაიწყო. საწარმოები გახსნა სენეგალში, ტანზანიაში, კამერუნში, ზამბიაში, კონგოში, ეთიოპიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში...

მილიარდერი ფინანსებს დებს ნავთობის მრეწველობაში, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების წარმოებაში და მსოფლიოში სიდიდით მესამე შაქრის ქარხნის მფლობელია.


იზაბელ დუშ სანტუში

მისი მრავალრიცხოვანი პროექტები ნიგერიის საფონდო ბირჟის კაპიტალიზაციის მეოთხედს შეადგენს.

ფინანსური იმპერიის დამაარსებელს ახასიათებენ, როგორც „მშვიდსა და ზრდილობიანს“.

დანგოტეს უყვარს ძვირადღირებული ნივთები. ის ნიგერიის დედაქალაქში უზარმაზარი სახლის მფლობელია, აქვს კერძო თვითმფრინავი და იახტა.

ბიზნესმენი აქტიურად არის დაკავებული ქველმოქმედებით. დანგოტეს ფონდი ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს ხარჯავს საავადმყოფოების ასაშენებლად და შიმშილობასთან ბრძოლაში.

კონფერენციებსა და ფორუმებზე მაგნატი მუდმივად მოუწოდებს ქვეყნის ხელისუფლებას ადამიანური კაპიტალის განვითარებისკენ.

### დანაშაული და სასჯელი

შავი კონტინენტის კიდევ ერთი მილიარდერია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯეიკობ ზუმა, რომელმაც ქონება მრავალრიცხოვანი კორუფციული მაქინაციებით დააგროვა.

როცა ზუმა კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს კორუფციაში, მან თავი გადაირჩინა და თან პრეზიდენტის სკამის დაკავება შეძლო. მოწინააღმდეგეები პოლიტიკურ დევნაში დაადანაშაულა, მოწმეთა ჩვენებებზე კი განაცხადა, რომ ისინი შეთითხნილი იყო. 2009 წელს ჯეიკობმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში 23 მილიონი დოლარი დახარჯა. ვილა, რომელიც დუბაიში მდებარეობს, ზუმას 330 მილიონი დოლარი დაუჯდა.

2018 წლის დასაწყისში ზუმა იძულებული გახდა, პოსტი დაეტოვებინა.

2021 წლის 29 ივნისს ზუმას 15 თვით პატიმრობა მიესაჯა სასამართლო სისტემის უპატივცემულობის გამო — ის არ გამოცხადდა სხდომაზე, რომელიც კორუფციას ეხებოდა.


ჯეიკობ ზუმა

### აფრიკის პრინცესა რუსული პასპორტით

ანგოლის ყოფილი პრეზიდენტის ქალიშვილი იზაბელ სუშ სანტუში ბაქოში დაიბადა და დღემდე რუსული პასპორტი აქვს. მისი ქონება 2,2 მლრდ დოლარია.

განათლება საინჟინრო სფეროსა და ბიზნეს-მენეჯმენტში ლონდონში მიიღო. ის წარმატებული ბიზნესვუმენია. დააარსა საკუთარი კომპანია **Unitel**, რომელიც ანგოლაში უმსხვილესი მობილური ოპერატორი გახდა.

2003 წელს დუშ სანტუში ხელოვნების ნაწარმოებთა კოლექციონერს, კონგოელ სინდიკ დოკოლოს გაჰყვა ცოლად. ზეიმი საცოლის მამას 23,5 მლნ დოლარი დაუჯდა. ათი წლის იუბილეს ასობით სტუმარი სამი დღე აღნიშნავდა სან-მიგელის ციხესიმაგრის ტერიტორიაზე, ლუანდაში.

იზაბელს უყვარს ძვირფასი ნივთები და ძვირადღირებული სანახაობები. ამის გამო პრესის წარმომადგენლებმა „პრინცესაც“ კი შეარქვეს. მან მილიონი დოლარი გადაუხადა ამერიკელ მომღერალს მერაია ქერის ერთ-ერთ საღამოზე მონაწილეობისთვის.

დუშ სანტუშსა და დოკოლოს სამი შვილი ჰყავთ და მუდმივად ლუანდას, ლონდონს, ლისაბონსა და იოჰანესბურგს შორის უწევთ მგზავრობა.

იზაბელ დუშ სანტუში აფრიკის ქვეყნების ქალების პროფესიული თვითრეალიზაციის აქტიური მხარდამჭერია და თავს წარმოაჩენს, როგორც შრომისმოყვარე ბიზნეს-ლედი, რომელმაც წარმატებას პატიოსანი გზით დამოუკიდებლად მიაღწია.

### მოდის კანონმდებელი

აფრიკის მეორე უმდიდრეს ადამიანად 70 წლის ნიგერიელი ფოლორუნშო ალაკიჯა მიიჩნევა. შემოქმედებითი მოღვაწეობა და კარიერა ბიზნესში მან 1974 წელს დაიწყო. მუშაობდა ჩიკაგოს პირველ ნაციონალურ ბანკში, მოგვიანებით სამკერვალო კომპანია **Supreme Stitches**-ი დააარსა. ახლა ფირმას **Rose of Sharon House of Fashion** ჰქვია. ფოლორუნშო ნიგერიის ტანსაცმლის დიზაინერების ასოციაციის პრეზიდენტი და მეურვეა.

დღეისათვის ალაკიჯა ელიტურ წრეებში პატივსაცემი მეწარმეა და მისი ინტერესები მოდის, ნავთობისა და გაზის, საცალო ვაჭრობის, პოლიგრაფიის და კერძო უძრავი ქონების სფეროებს მოიცავს. ის იკავებს **FAMFA Oil**-ის ნავთობმოპოვებითი ოჯახური ბიზნესის აღმასრულებელი დირექტორის პოსტს, რომლის ღირებულება 600 მილიონ დოლარს აჭარბებს.

ფოლორუნშო ალაკიჯას მამას რვა ცოლი და 52 შვილი ჰყავდა, რომელთა შორის მხოლოდ მან მიაღწია ასეთ წარმატებას.

ქალს ძალიან უყვარს სიმდიდრე და ბევრ ფულს ხარჯავს თავისთვის და ახლობლებისთვის. მას კერძო თვითმფრინავი ჰყავს, რომელიც 46 მლნ დოლარი ღირს, ოთხივე ვაჟს კი „მერსედეს-ბენცის“ მარკის ავტომანქანები აჩუქა...

ალაკიჯამ დააარსა ფონდი **Rose of Sharon Foundation**, ქვრივებისა და ობლების დასახმარებლად, რომელიც გასცემს სტიპენდიებსა და გრანტებს ბიზნესის წარმოებისთვის. მისმა კომპანიამ 2014 წელს მნიშვნელოვანი თანხა შესწირა ნიგერიის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

**Africa Renewal**-ის ანგარიშის თანახმად, ყოველწლიურად მატულობს აფრიკელი მილიონერების რიცხვი. ამან, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს კონტინენტის მდგომარეობა, რადგან გავლენიანი პირები ფულს არა მარტო ბიზნესში დებენ, არამედ ქველმოქმედებაშიც, რაც კონტინენტს უკეთესი მომავლის შანსს აძლევს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატა ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
http://www.saertogazeti.ge E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99